

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა აქტუალური საკითხები

Topical issues in psychology and educational
sciences



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
2021

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა აქტუალური საკითხები

Topical issues in psychology and educational
sciences

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

29 დეკემბერი 2021

კონფერენციის ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას სამეცნიერო კრებული კონფერენციის სარედაქციო კოლეგია (შემდგომში-კოლეგია) შემდეგი შემადგენლობით:

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ბრიგადის ბენეჩალი მამია ბალახაძე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორი

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

კოლკოვნიკი დავით რაზმაძე ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორის მოადგილე

სტილისტი / კომპიუტერული უზრუნველყოფა

სალგოვე კოკიაშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის მთავარი სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

კოლკოვნიკი ფურაბ ფერაქიძე ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მმართველების უფროსი

ნანი არაბული

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მმართველების კოორდინატორი

რომეო ბაღდავა

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მმართველების ასოცირებული კოორდინატორი

ვეთვიან ჭიბრიჭვილი

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მმართველების უფროსი

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მმართველების კოორდინატორი

შალვა ჯულაყიძე

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მმართველების ასოცირებული კოორდინატორი

ვიცე-კოლკოვნიკი გიორგი სხირთლაძე

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მმართველების უფროსი

მინილ შავთვალაძე

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მმართველების კოორდინატორი

კოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ენითაშვილი

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი



სარჩევი

| | |
|---|----|
| სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტების კომპოზიცია: თვითრეგულაციური მიდგომა მარიაში რევიზილი | 7 |
| იუნკერის სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორები თამარ რევიზილი | 15 |
| ახარბული თამაშების რეკლამა და არასრულწლოვანთა დაცვა საქართველოში ბიორბი ყიფიანი | 21 |
| ლიდერობის როლური დიფერენციაცია და აკადემიური მოსწრება თინათინ კროპაძე | 29 |
| ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია და ფსიქოლოგიის როლი: ბამონჯევი და პერსპექტივები ნელი მერაბიშვილი | 37 |
| ზოგადი განათლების მიზნის მიღწევის სირთულეები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ნინო ქიტოშვილი | 43 |
| კოფიტიური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების გამოყენება განათლებაში ლელა აბდუშელიშვილი | 52 |
| კანდემიის (COVID-19) გავლენა ოჯახში ძალადობაზე ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია | 56 |
| სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური გამძლეობა რამაზ შალუაშვილი | 61 |
| მოზარდობის ასაკის ფსიქოლოგიური მახასიათებლები ნანა გობიჩაშვილი | 67 |
| აუტიზმის სპექტრის აშლილობის შემთხვევაში გავრცელებული თავისებურებები მანია ბაგნიძე | 75 |
| ობაჰან საბარეო კოლიტიკა და „ჭკვიანი ძალის“ კონცეფცია ანი კობახიძე | 82 |

Table of Content

| | |
|---|----|
| Composition of student’s motivational components: Self-regulated learning approach Mariami Revishvili, Mzia Tsereteli _____ | 8 |
| Factors Affecting Junkers Learning Tamar Remishvili _____ | 16 |
| Gambling Advertising and Minor Protection in Georgia Giorgi Kipiani _____ | 22 |
| Leadership role differentiation and academic achievement Tinatin Kropadze, Maka Khoroglishvili, Elina Shavdatuashvili _____ | 30 |
| Youth Professional Orientation and the Role of the Psychologist: Challenges and Perspectives Neli Merabishvili _____ | 38 |
| Difficulties in achieving the goal of general education in the school Nino Kitoshvili _____ | 44 |
| Using Instruments of Positive Psychology in Education Lela Abdushelishvili _____ | 53 |
| Impact of pandemic (COVID-19) on domestic violence Olga Tsiskarishvili-Soselia _____ | 57 |
| Psychological endurance of military servicemen Ramaz Shaluashvili _____ | 62 |
| Psychological characteristics of adolescence Nana Gogichashvili _____ | 68 |
| Peculiarities of education of children with autism spectrum disorder Maia Gagnidze _____ | 76 |
| Foreign Policy of the Barack Obama Administration and the Concept of “Smart Power” Ani Kobakhidze _____ | 83 |

სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტების კომპოზიცია: თვითრეგულაციური მიდგომა

მარიამი რევიშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბანათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი**

გზია წერეთელი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტთა სწავლის მოტივაციური კომპოზიციის შეფასება თვითრეგულაციის თვალსაზრისით, კერძოდ, კი სწავლის თვითრეგულაციაში შემავალი მოტივაციური კომპონენტების და მათი წონის იდენტიფიცირება, აგრეთვე მოტივაციურ კომპონენტებს შორის მიმართებების დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო დაეფუძნა პინტრიჩის შეხედულებებს სწავლის თვითრეგულაციისა და მოტივაციის შესახებ და შესაბამისად, გამოყენებული იყო მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომლის ადმინისტრირება განხორციელდა ონლაინ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის 560 სტუდენტმა (მათგან 433 ქალმა და 127 მამაკაცმა), საშუალო ასაკით 20წ. ($SD=1.65$).

კვლევის მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა IBM-SPSS-vol23. აღწერითი ფაქტორული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თვითრეგულაციის მოტივაციური კომპოზიცია ორი ძირითადი ბლოკისგან შედგება, პირველში, რომელიც ხსნის დისპერსიის 47%-ს, ერთიანდება შემდეგი ოთხი კომპონენტი: შინაგან მიზანზე ორიენტირება, დავალების ღირებულება, კონტროლის შესახებ რწმენები და თვითეფექტურობა სწავლაში, ხოლო მეორე ბლოკში კი, რომელიც ხსნის დისპერსიის 21%-ს, ერთიანდება ორი კომპონენტი: გარეგან მიზანზე ორიენტირება და ტესტის მიმართ შფოთვა. აღსანიშნავია, რომ კომპონენტების სიძლიერე განსხვავებულია როგორც ერთმანეთისგან, ასევე სქესის მიხედვით. მიღებული შედეგების ახსნა ნაცადია, როგორც სტუდენტთა დახელოვნებისა და მიღწვის მიზნებით, ასევე მოტივაციის სხვა კოგნიტური თეორიების ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: თვითრეგულაცია, თვითრეგულირებადი სწავლა, მოტივაციური კომპონენტები.

Composition of student's motivational components: Self-regulated learning approach

Mariami Revishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Educational psychology PHD-student

Mzia Tsereteli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Prof, Doctor of Psychological sciences

Abstract

The purpose of this research is to evaluate undergraduate students of Georgian higher institutions in terms of self-regulation. Particularly, to identify motivational components and their significance in self-regulated learning, also to establish a relationship between motivational components.

The research methodological framework is based on Pintrich's approaches of self-regulated learning and motivation. Therefore, online form of Motivational Strategies for Learning Questionnaire was used. 560 of average 20-year-old (SD =1.65) undergraduate students (433 women and 127 men) of Georgian higher Institutions participated in the research.

For the analysis of research data, a statistical program IBM-SPSS-vol23 was used. On the basis of the exploratory factor analysis (EFA) the following conclusions have been made: motivational composition mainly consists of two block. The first block, which indicates 47% of the dispersion, is combined with four blocks: Intrinsic goal orientation, Task value, Control of learning beliefs, and Self-efficiency for learning and Performance. The second block which indicates 21% of the dispersion, is combined with two components: Extrinsic goal orientation and Test anxiety. It is significant to mention that the value of the components varies both from one another and also from gender. The outcomes are tested both for the purposes of the student mastery and performance as well as in the context of other theories of cognitive theories of motivation.

Keywords: self-regulation, self-regulated learning, motivational components

შესავალი

მოტივაცია სტუდენტთა წარმატებისა და წარუმატებლობის ერთ-ერთი ძლიერი დეტერმინანტია (Suzanne Hidi 2000). მაღალი აკადემიური მოტივაცია დაკავშირებულია სტუდენტთა მაღალ ჩართულობასთან სასწავლო აქტივობებში და მაღალ აკადემიურ მიღწევებთან (Connell 1991) (A. T. Wigfield 2016) (Zimmerman 1990). მოტივაციის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია განათლების ფსიქოლოგიისათვის, როგორც სწავლა-სწავლების მეცნიერული მოდელირებისათვის, ასევე საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა დონეზე სწავლა-სწავლების პრაქტიკის დახვეწისა და განვითარებისათვის. მოტივაციის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია იმ პიროვნული და კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მოტივაცია აღმოცენდება და მოქმედებს. ეს შეიძლება იყოს სასწავლო ამოცანები და სიტუაციები, პიროვნული მისწრაფებები, სასწავლო მიზნები და სხვ. ამ კონტექსტში ერთ-ერთ საინტერესო მიდგომას წარმოადგენს თვითრეგულაციის თეორია, კერძოდ, კი მოტივაცია პიროვნების თვითრეგულაციის კონტექსტში. სწორედ ამიტომ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ პინტრიჩის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ მოდელზე, რომელიც ფსიქოლოგიაში არსებულ ძირითად სოციო-კოგნიტურ თეორიებს ეყრდნობა (P. R. Dale H. Schunk 2002).

სწავლის კონტექსტში თვითრეგულაცია განიხილება როგორც თვითრეგულირებადი სწავლა. ეს არის პროცესი, რომელსაც დროსაც შემსწავლელი სასწავლო მიზნების მისაღწევად საკუთარი კოგნიციის, ემოციისა და ქცევის გააქტიურებასა და მათზე კონტროლს ახდენს (J. R. Dale H. Schunk 2008). ამ პროცესში კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ მოტივაციაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითრეგულაცია დასწავლადი და განვითარებადი უნარია, რომელიც, საჭირო და დროული ინტერვენციებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ დაიხვეწოს.

პინტრიჩის აზრით, სწავლა-სწავლების პროცესების გაგებისა და ახსნისთვის აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ როგორც შემსწავლელთა კოგნიტურ ელემენტებსა და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებულ კონტექსტუალურ ფაქტორებზე, ასევე - შემსწავლელთა მოტივაციურ ელემენტებზე (Paul R. Pintrich 1993), ვინაიდან სწორედ შემსწავლელთა მოტივაციური და ემოციური კომპონენტები იწვევენ ან/და ფასილიტატორის როლს ასრულებენ შემსწავლელთა კოგნიტური პროცესების გააქტიურებისთვის (Suzanne Hidi 2000).

აკადემიურ კონტექსტში მოტივაცია შესაძლებელია განიმარტოს როგორც შემსწავლელთა სურვილი ჩაერთონ დამონაწილეობა მიიღონ, ჩადონ ძალისხმევა და რესურსი სწავლა-სწავლების პროცესში წარმართულ დავალებებსა და აქტივობებში (P. R. Pintrich 1996). მოტივაცია არის ძალა, რომელიც შემსწავლელს აიძულებს დაინყოს, მიეცეს წამოწყებულ საქმეს და მიიყვანოს იგი საბოლოო შედეგამდე (P. R. Dale H. Schunk 2002). უნდა აღინიშნოს, რომ მოტივაცია არ არის პიროვნული ნიშანი, იგი დიდწილადაა დამოკიდებული კონტექსტზე, მაგ., ისეთ მნიშვნელოვან გარემო მახასიათებლებზე, როგორებიცაა: საგნის სპეციფიკა, მასწავლებელთან დაკავშირებული ფაქტორები, შესასწავლი მასალის ბუნება და სხვა. შემსწავლელთა მოტივაცია ცვალებადია და შესაძლებელია ერთ კონკრეტულ საგანში მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეს დაბალი მოტივაცია ჰქონდეს სხვა საგანში (Garcia 1996).

პინტრიჩის თანახმად, მოტივაცია მრავალფაქტორიანი კონსტრუქტია (Paul R. Pintrich 1993). მის მიერ შემოთავაზებული მოტივაციური კომპონენტები არსებული სოციო-კოგნიტური თეორიების ძირითად დაშვებებს ეყრდნობა. ერთის მხრივ, კოგნიტურ ფაქტორებზე საუბრისას, პინტრიჩი იშველიებს მოლოდინი X ღირებულების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შემოთავაზებულ კომპონენტებს (Paul R. Pintrich 1993), როგორებიცაა: 1) შემსწავლელთა **მოლოდინის კომპონენტები**, რომლებიც აერთიანებს რწმენებს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ, რომ შემსწავლელს შეუძლია თავი გაართვას დავალებებს თუ სხვა სასწავლო აქტივობებს (Eccles 2002); 2) შემსწავლელთა **ღირებულების კომპონენტი**, რომლებიც აერთიანებს შემსწავლელთა რწმენებს, თავად შესასრულებელი დავალებისა თუ სხვა სასწავლო აქტივობები მნიშვნელოვნების, საინტერესობისა და აზრიანობის შესახებ (Eccles 2002) (A. E.-D. Wigfield 1997). მეორეს მხრივ, სტუდენტთა მოტივაციური ელემენტების ახსნისთვის, პინტრიჩი გვთავაზობს, რომ ყურადღება მივაქციოთ სტუდენტთა სოციალურ და ემოციურ ფაქტორებს: 3) შემსწავლელთა **აფექტურ კომპონენტებს**, რომლებიც აერთიანებს შემსწავლელთა რწმენებსა და ემოციური შეფასებებს საკუთარი თავისა და შესასრულებელი დავალების ან/და სხვა სასწავლო აქტივობების შესახებ (Eccles 2002).

ამდენად, თვითრეგულაცია განვითარებადი უნარია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის წარმართვისა და ორგანიზების პროცესში. მისი მოქმედების ძალა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა შემსწავლელი დამოუკიდებელი სწავლისა და ცხოვრების ეტაპზე გადადის. ამდენად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის წლებში, თვითრეგულირებადი სწავლა უაღრესად კრიტიკული ხდება. სწორედ ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო

დანესებულების ბაკალავრიატის სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტების შეფასება, მათ შორის ურთიერთმიმართების დადგენა და სქესთა შორის განსხვავებების გამოვლენა.

კვლევის მეთოდი

კვლევის ინსტრუმენტი. კვლევის მიზნების მისაღწევად, გამოყენებული იყო მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის კითხვარი (The Motivates Strategies for learning Questionnaire), რომელის ავტორია პოლ პინტრიჩი. კითხვარის თეორიული ჩარჩო მოტივაციის შესახებ არსებულ ძირითად სოციო-კოგნიტურ თეორიებს ეყრდნობა (P. R. Pintrich 1991).

კითხვარი ორი ძირითადი სკალისგან შედგება: მოტივაციური კომპონენტების სკალისა და სწავლის სტრატეგიების სკალისგან. მათი გამოყენება მკვლევარს შეუძლია როგორც ერთად, ასევე - ცალ-ცალკე. მოტივაციური სკალა აერთიანებს სამ მოტივაციურ კომპონენტს, ესენია: ღირებულების კომპონენტი, მოლოდინების კომპონენტი და აფექტური კომპონენტი (P. R. Pintrich 2004). კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იყო კითხვარის მოტივაციური სკალა. იგი სულ 31 დებულებას მოიცავს, რომლებიც ექვს ძირითად სუბ-სკალაზეა გადანაწილებული. შემსწავლელთა ღირებულების კომპონენტს მიემართება **1) შინაგან მიზანზე ორიენტირების; 2) გარეგან მიზანზე ორიენტირებისა და 3) დავალების ღირებულების სუბ-სკალები**, რომლებიც მოიცავს შემსწავლელთა აღქმებსა და რწმენებს იმის შესახებ, თუ რატომ არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, რა მიზეზები განაპირობებს მათ ჩართულობას. შინაგან მიზანზე ორიენტირებულობა მიმართულია დაოსტატების მიზანზე და გულისხმობს, რომ სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა დაოსტატების, გაგებისა და ცოდნის შექმნასთან არის დაკავშირებული, ხოლო გარეგან მიზანზე ორიენტირებულობა ასახავს, რომ შემსწავლელი სასწავლო პროცესში ჩართულია ქულის/ჭილდოს მიღების, სხვასთან კონკურენციისა და შეჯიბრების მიზნით (შესრულების მიზანი). დავალების ღირებულება კი ზომავს შემსწავლელთა შეფასებებს თავად სასწავლო პროცესში მიმდინარე დავალებებისა და სხვა აქტივობების შესახებ; რამდენად მიიჩნევენ შემსწავლელი, რომ დავალება მნიშვნელოვანი და საინტერესოა (P. R. Pintrich 1991).

შემსწავლელთა მოლოდინის კომპონენტს მიემართება შემდეგი ორი სუბ-სკალა: **4) კონტროლის შესახებ რწმენები და 5) თვითრეგულირება სწავლაში**. კონტროლის შესახებ რწმენები ასახავს შემსწავლელის აღქმებს, თუ რამდენად სჭერა მას, რომ მის მიერ განეული ძალისხმევა და მცდელობები სასწავლო პროცესში გამოიწვევს პოზიტიურ შედეგს. რაც შეეხება სუბ-სკალას - თვითრეგულირება სწავლაში - ის ასახავს შემსწავლელთა რწმენებს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, კერძოდ, კი რამდენად მიაჩნიათ შემსწავლელებს, რომ შეუძლიათ გარკვეულ დავალებებსა და სასწავლო აქტივობებს თავი წარმატებით გაართვან (P. R. Pintrich 1991).

შემსწავლელთა აფექტური კომპონენტი იზომება **6) ტესტის შესახებ შფოთვის** სუბ-სკალაზე, რომელიც ასახავს, თუ რამდენად ნუხს და შფოთავს შემსწავლელი შესასრულებელ დავალებებსა და სხვა სასწავლო აქტივობებზე (P. R. Pintrich 1991).

კითხვარში მოცემული თითოეული დებულებისთვის რესპოდენტმა უნდა შეარჩიოს მისთვის სასურველი საგანი/კურსი და დებულებებზე პასუხი გასცეს მხოლოდ შერჩეულ საგანთან/კურსთან მიმართებით. (P. R. Pintrich 1991)

კვლევის მონაწილეები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 17 სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის 560 სტუდენტმა. მათგან მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 433 რესპოდენტი (N=433; 77%), ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენელი კი - 127 რესპოდენტი (N=127; 23%). კვლევის მონაწილეთაგან 56%-ს შეადგენდნენ 16-დან 20-წ-მდე სტუდენტები; 43%-ს შეადგენდნენ 21-დან 25-წ-მდე სტუდენტები; ხოლო 1%-ს შეადგენდნენ 26-დან 30 წ-მდე სტუდენტები (M_ასაკი=20,23;SD=1,65).

კვლევის პროცედურა. კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იყო ანკეტირების მეთოდი, მოტივაციისა და თვითრეგულირებაში სწავლის თვითადმინისტრირებადი კითხვარი. გლობალური პანდემიის (covid-19) პირობების გათვალისწინებით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით დაეგზავნათ კითხვარის ონლაინ ვერსია. კითხვარის თავდაპირველ ბლოკში რესპოდენტები ეცნობოდნენ ინფორმაციული თანხმობის ფორმას, სადაც განმარტებული იყო კვლევის მიზნები და ინსტრუქცია, ხოლო ინფორმაციული თანხმობის ფორმაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, რესპოდენტები ავსებდნენ 31 დებულებიან კითხვარს. რესპოდენტს მოეთხოვებოდა შეერჩია მიმდინარე სემესტრის საგნებიდან ერთ-ერთი და კითხვებზე პასუხი გაეცა შერჩეულ საგანთან მიმართებით. კითხვარის სრული ადმინისტრირება დაახლოებით 10-20 წთ.-ს მოიცავდა. მონაწილეები თითოეულ დებულებას აფასებდნენ ლაიკერტის ტიპის 7 ბალიან სკალაზე, სადაც 1

ნიშნავს -„სრულიად არ შემესაბამება“, ხოლო 7-„სრულიად შემესაბამება“

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იყო სტატისტიკური პროგრამა IBM-SPSS-vol23. მოტივაციის კომპონენტების შესაფასებლად გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკის მეთოდები, შეფასდა, აგრეთვე, თითოეული კომპონენტი სქესის მიხედვით. ამისთვის გამოყენებული იყო საშუალოთა განსხვავებების t კრიტერიუმი. მოტივაციური კომპონენტების კომპოზიციის დასადგენად გამოყენებულ იყო ახსნითი ფაქტორული ანალიზი, კერძოდ, ძირითადი კომპონენტების ანალიზის მეთოდი (Principal Component Analysis).

მიღებული შედეგები

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტების კომპოზიციის შეფასებისთვის გამოყენებული იყო ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (Principal Component Analysis) მეთოდი. თავდაპირველად შევამოწმეთ Kaiser-Meyer-Olkin-ის (Kaiser 1974) მაჩვენებელი (.715), რომელიც სასურველია, რომ აღემატებოდეს .6-ს, ასევე შეფასდა სტატისტიკური მნიშვნელობა Bartlett-ის ტესტის (Bartlett 1954) გამოყენებით, რომელმაც გვიჩვენა რომ შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($<.001$). ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის შედეგად, ვარიანტის ბრუნვით, გამოიკვეთა 2 ძირითადი კომპონენტი 1-ზე მეტი კუთრი წონით (eigenvalues) - 2.825 და 1.280, რომლებიც მონაცემთა ვარიანტურობის, შესაბამისად, 47% და 21%-ს ხსნიდა. ამგვარად, ორი ფაქტორი ჯამურად ცვლადების დისპერსიის საკმაოდ მნიშვნელოვან წილს, კერძოდ, 68,4%-ს ხსნის (იხ. ცხრილი N1).

ამგვარად, ახსნითი ფაქტორული ანალიზის შედეგად კომპონენტების ორი ძირითადი ბლოკი გამოიყო, პირველ მოტივაციურ კომპონენტთა ბლოკში ერთიანდებიან ფაქტორები: შინაგან მიზანზე ორიენტირებულობა, გარეგან მიზანზე ორიენტირებულობა, დავლების ღირებულება, კონტროლის შესახებ რწმენები და თვითფექტურობა სწავლაში. პირველი მოტივაციური ბლოკისთვის ყველაზე მაღალი კუთრი წონის მქონე აღმოჩნდა ფაქტორი - **თვითფექტურობა სწავლაში**, რაც ასახავს შემსწავლელის რწმენებსა და სუბიექტურ აღქმებს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ, თუ რამდენად სჯერა შემსწავლელს, რომ შეუძლია სასწავლო პროცესში არსებულ დავალებებს/აქტივობებს თუ სხვა გამონვევებს გაუმკლავდეს. ასევე მაღალი კუთრი წონის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა **დავლების ღირებულების ფაქტორი**, რაც მოიცავს შემსწავლელის სუბიექტურ აღქმებსა და შეხედულებებს, თუ რამდენად საინტერესოდ, სასარგებლოდ, გამოსადეგად მიაჩნევს ის სასწავლო პროცესში არსებულ დავალებებსა და სხვა აქტივობებს. ასევე, მაღალი კუთრი წონის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა **შინაგან მიზანზე ორიენტირებულობა**, რაც მიუთითებს, რომ შემსწავლელი სასწავლო პროცესში ჩართულია საკითხში დაოსტატების, გაგების, ცოდნის დაგროვების, დახელოვნების მიზნით. რაც შეეხება **გარეგან მიზანზე ორიენტირებულობას**, რომელიც მიუთითებს, რომ შემსწავლელი ორიენტირებულია ჯილდოს/ქულის მიღებაზე, სხვებთან შეჯიბრსა და კონკურენციაზე, პირველ მოტივაციურ ბლოკში ეს ფაქტორი შედარებით დაბალი კუთრი წონითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ბუნებაში მხოლოდ შინაგანი ან გარეგანი მიზნით ორიენტირებულ შემსწავლელებს არ ვხვდებით და როგორც წესი, შემსწავლელებს გარკვეული დოზით ორივე ტიპის მიზანი ამოძრავებთ. და ბოლოს, პირველ მოტივაციურ ბლოკში ასევე მაღალი კუთრი წონის ფაქტორი აღმოჩნდა **კონტროლის შესახებ რწმენები**, რაც ასახავს შემსწავლელის სუბიექტურ რწმენებსა და აღქმებს განუვლი ძალისხმევისა და ვარჯიშის, მცდელობების შესახებ; თუ რამდენად სჯერათ რომ სასწავლო პროცესში მათი მცდელობები პოზიტიურ შედეგს გამოიღებს.

მეორე მოტივაციური ბლოკში გაერთიანდა ორი ძირითადი ფაქტორი, სადაც ყველაზე მაღალი კუთრი წონის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა **ტესტის მიმართ შფოთვა**, რაც ორ მნიშვნელოვან მომენტზე მიუთითებს: 1) შემსწავლელის ნეგატიური კოგნიციები - წუხილი ტესტირების, სასწავლო აქტივობის შესახებ და 2) შემსწავლელის აფექტები - შფოთვა ტესტირების და სხვა სასწავლო აქტივობების მიმართ. მსგავსად პირველი მოტივაციური ბლოკისა, აქაც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა **გარეგან მიზანზე ორიენტირება**, თუმცა ეს ფაქტორი ამ ბლოკში გაცილებით უფრო ძლიერადაა გამოხატული.

პირველი მოტივაციური ბლოკში შემავალი ფაქტორები და მათი კუთრი წონები ნათლად ასახავს შემსწავლელის შინაგან ორიენტაციებს, აგრეთვე, საკუთარი შესაძლებლობების, უნარების, მცდელობებისა და ძალისხმევების მისეულ აღქმებს. იგი ასევე მოიცავს დახელოვნების შესაძლებლობებისა და დავალებების მიმზიდველობისა და სარგებელიანობის შესახებ რწმენებს. ამდენად, უპირიანი იქნება, თუ პირველ მოტივაციურ ბლოკს ვუნოდებთ შემსწავლელის „მე-ზე“ დაფუძნებულს. მეორე მოტივაციური ბლოკის შემთხვევაში წამყვანი ფაქტორები აღმოჩნდა ტესტის მიმართ შფოთვა და გარეგან მიზანზე ორიენტირებულობა, ორივე ფაქტორის

შემთხვევაში მნიშვნელოვანია სიტუაციური ფაქტორები, მაგალითად, როგორცაა, თავად დავალება, ტესტირება, ჯილდოები/ქულები და ა.შ. ასევე, სხვებთან შეჯიბრების, კონკურენციის შესაძლებლობა, სხვებისთვის საკუთარი კომპეტენტურობის მოდელირება და ა.შ. ამდენად, მეორე მოტივაციური ბლოკს შეგვიძლია ვუწოდოთ „სხვებზე“ დაფუძნებული მოტივაციური ბლოკი.

ცხრილი N1 სტუდენტთა მოტივაციურ ფაქტორთა კომპოზიცია

| ფაქტორები | 1 კომპონენტი | 2 კომპონენტი |
|-----------------------------|--------------|--------------|
| შინაგან მიზანზე ორიენტირება | 0.821 | |
| გარეგან მიზანზე ორიენტირება | 0.411 | 0.651 |
| დავალების ღირებულება | 0.843 | |
| კონტროლის შესახებ რწმენები | 0.674 | |
| თვითფექტურობა სწავლაში | 0.867 | |
| ტესტის მიმართ შფოთვა | | 0.899 |

შენიშვნა: ფაქტორების გამოყოფის მეთოდი: პრინციპული კომპონენტების ანალიზი

ბრუნვის მეთოდი: ვარიანტის კაიზერის ნორმალიზაცია

ბრუნვების რაოდენობა- 3


ანალიზის შემდგომ ეტაპზე სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა თითოეული ფაქტორის საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა. ქვემოთ წარმოდგენილია ეს შედეგები, ასევე მოცემულია საშუალოთა შორის განსხვავება სქესის მიხედვით (იხ. ცხრილი N2.)

ცხრილი N2 აღწერითი სტატისტიკები რესპოდენტთა სქესის მიხედვით

| ფაქტორები | M_საერთო (SD) N=560 | M_(მდედრობითი) (SD) N=433 | M_მამრობითი (SD) (SD) N=127 | t ¹ |
|-----------------------------|------------------------|------------------------------|--------------------------------|----------------|
| შინაგან მიზანზე ორიენტირება | 5.50(1.08) | 5.55(1.07) | 5.34(1.11) | -1.9 |
| გარეგან მიზანზე ორიენტირება | 5.18(1.25) | 5.23(1.21) | 5.01(1.37) | -1.76 |
| დავალების ღირებულება | 6.12(1.03) | 6.20(.99) | 5.85(1.09) | -3.45** |
| კონტროლის შესახებ რწმენები | 5.78(.99) | 5.84(.95) | 5.57(1.10) | -2.64** |
| თვითფექტურობა სწავლაში | 5.64(1.04) | 5.69(1.01) | 5.45(1.13) | -2.25** |
| ტესტის მიმართ შფოთვა | 3.97(1.39) | 4.02(1.35) | 3.80(1.51) | -1.59 |


შენიშვნა: ** p<.005

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ქართველი სტუდენტები ყველაზე მაღალ ქულას „მე-ზე“ დაფუძნებული მოტივაციური კომპონენტებიდან დავალების ღირებულების ფაქტორზე იღებენ, ასევე მაღალია საშუალო მაჩვენებლები კონტროლის შესახებ რწმენების, თვითფექტურობა სწავლაში ფაქტორებსა და შინაგან მიზანზე ორიენტირებულობის ფაქტორზე. ხოლო, „სხვებზე“ დაფუძნებულ მოტივაციური კომპონენტების შემთხვევაში ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი ტესტის მიმართ შფოთვის ფაქტორზე ფიქსირდება (იხ. გრაფიკი N1).



გრაფიკი N 1 მოტივაციური ბლოკები, ზოგადი მონაცემების მიხედვით

რაც შეეხება სქესთა შორის განსხვავებებს, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფაქტორის შემთხვევაში გოგონათა საშუალო მაჩვენებლები აღემატება ბიჭების საშუალო მაჩვენებლებს (იხ. გრაფიკი N2).



გრაფიკი N 2 მოტივაციური ბლოკები, სქესთა შორის განსხვავებები

სქესთა შორის განსხვავებების სანდოობის შესაფასებლად გამოვიყენეთ t კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის. ექვსივე მოტივაციური ფაქტორის შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ემპირიულად მიღებული საშუალო მაჩვენებლები აღემატება მამრობითი სქესის წარმომადგენლების საშუალო მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი N2). თუმცა სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ სამი ფაქტორის შემთხვევაში, ესენია: დავალების ღირებულების ფაქტორი ($t(558)=-3.45, p<.005$); კონტროლის შესახებ რწმენების ფაქტორი ($t(558)=-2.64, p<.005$) და ფაქტორი - თვითფექტურობა სწავლაში ($t(558)=-2.25, p<.005$).

დასკვნა

კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ქართველ სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტები ორი ძირითადი ბლოკისგან შედგება, პირველი ბლოკი „მე-ზე“ დაფუძნებულია და აერთიანებს ფაქტორებს: შინაგან და გარეგან მიზანზე ორიენტირებას, დავალების ღირებულებას, კონტროლის შესახებ რწმენებსა და თვითფექტურობას სწავლაში. „მე-ზე“ დაფუძნებულ მოტივაციურ ბლოკში ყველაზე მაღალი კუთრი წონა აღმოაჩინდა ფაქტორს თვითფექტურობა სწავლაში. მეორე ბლოკი - „სხვებზე“ დაფუძნებული მოტივაცია - აერთიანებს ფაქტორებს ტესტის მიმართ შფოთვა, რომელსაც ყველაზე მაღალი კუთრი წონა აქვს და გარეგან მიზანზე ორიენტირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარეგან მიზანზე ორიენტირებულობის ფაქტორი წარმოდგენილია ორივე მოტივაციურ ბლოკში, რაც ლოგიკურია, ვინაიდან ჩვეულებრივ, შემსწავლელს მეტ-ნაკლები ხარისხით ორივე მიზნობრივი ორიენტაცია ამოძრავებს.

მიღებული სურათის ასახსნელად შესაძლოა მოვიშველიოთ მიზანზე ორიენტირებულობის თეორია, რომელიც ამბობს, რომ შემსწავლელებს ახასიათებთ ორი ტიპის მიზანი, ესენია დახელოვნების, რაც გულისხმობს რომ შემსწავლელი სწავლისას ორიენტირებულია ცოდნის შექმნაზე, გარკვეული უნარების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, დაოსტატებაზე, საკითხის უკეთ გაგებაზე. სავარაუდოა, რომ ქართველ სტუდენტთა მოტივაციური კომპონენტების პირველ ბლოკს - „მე-ზე“ დაფუძნებულს, სწორედ ამ ტიპის სასწავლო მიზანი ედოს საფუძვლად. ხოლო, მიზანზე ორიენტირებულობის თეორიის მეორე ტიპის მიზნის, შესრულების მიზნის მიხედვით, შემსწავლელი ორიენტირებულია საკუთარი კომპეტენციის ჩვენებაზე, სხვებთან კონკურენციაზე, სხვებთან შედარებაზე. შესრულების მიზანი თავის მხრივ, იყოფა ორ სახედ, ერთ-ერთი მათგანია თავის არიდების მიზანი, რაც გულისხმობს, სასწავლო აქტივობების, დავალებების და ა.შ. თავის არიდებას გარკვეული მიზეზების გამო, მაგალითად, საკუთარი არაკომპეტენტურობის დამალვის მიზნით და ა.შ. სავარაუდოა, რომ ქართველ სტუდენტთა შემთხვევაში, მეორე მოტივაციური ბლოკს - „სხვებზე“ დაფუძნებულს - სწორედ შესრულების მიზანი ედოს საფუძვლად.

სტატისტიკური გაზომვის შედეგად აღმოჩნდა, რომ წამყვან მოტივაციურ კომპონენტებს ქართველი სტუდენტების შემთხვევაში დავალების ღირებულება, კონტროლის შესახებ რწმენები და თვითფექტურობა

სწავლაში წარმოადგენენ. ამასთანამსამი ფაქტორის შემთხვევაში გოგონების საშუალო მაჩვენებლები აღემატება ბიჭების საშუალო მაჩვენებლებს. აღნიშნული ფაქტორები აერთიანებენ შემსწავლელის სუბექტურ აღქმებსა და რწმენებს საკუთარი შესაძლებლობების/უნარების შესახებ, რამდენად სჯერა თავად შემსწავლელს, რომ შეძლებს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ დავალებებს/აქტივობებსა და გამონკვევებს გაუმკალავდეს; რამდენად საინტერესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევს შემსწავლელი სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ დავალებებს და ასევე, რამდენად სჯერა შემსწავლელს, რომ მის მიერ გაღებული ძალისხმევა, მცდელობები და ვარჯიში პოზიტიურ შედეგს გამოიწვევს. ამდენად, მე-ზე დაფუძნებული მოტივაციური ბლოკი გოგონებში უფრო მკვეთრადაა გამოვლენილი, ვიდრე- ვაჟებში.

ფაქტორული ანალიზის შედეგად, გამოვლინდა სამი წამყვანი ფაქტორი ქართულ სტუდენტთა „მე-ზე“ დაფუძნებული მოტივაციური კომპონენტების კომპოზიციაში, ეს ფაქტორები გახლდათ შინაგან მიზანზე ორიენტირებულობა, დავალების ღირებულება და თვითფექტურობა სწავლაში. მიუხედავად ამისა, გაზომვის შედეგებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვნების მიხედვით წინ, კონტროლის შესახებ რწმენების ფაქტორმა წამოინია შინაგან მიზანზე ორიენტირებულობის ფაქტორის ხარჯზე. მსგავსი შედეგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სტუდენტთა შინაგანი მოტივირების საკითხს სწავლა-სწავლების პროცესში, რათა თვითრეგულაციური სწავლის მოტივაცია აღიძრას. სამომავლოდ, საინტერესოა ამ მიმართულებით დამატებითი კვლევის ჩატარება. მიღებული შედეგები ცხადყოფს მოტივაციის როლს სწავლის თვითრეგულაციაში და გვიჩვენებს მოტივაციის კომპონენტთა კომპოზიციას სწავლის თვითრეგულაციის მექანიზმში მათი წონის/გავლენის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bartlett, M.S. 1954. "A Note on the Multiplying Factors for Various Chi Square Approximations." *Journal of the Royal Statistical Society* 296-299.
- Connell, James P. Wellborn, James G. 1991. "Competence, autonomy, and relatedness: A motivational analysis of self-system processes." In *Self processes and development*, by M. R. Gunnar & L. A. Sroufe, 43-77. Lawrence Erlbaum Associates, Inc.
- Dale H. Schunk, Judith R Meece, Paul R. Pintrich. 2008. "Motivation in Education: Theory, Research, and Applications, 15th Edition." 158. Upper Saddle River: N.J.: Pearson/Merrill Prentice Hall.
- Dale H. Schunk, Paul R. Pintrich, Judith L. Meece. 2002. *Motivation in Education: Theory, research and applications* (2nd ed.). Englewood Cliffs: Prentice Hall Merrill.
- Eccles, J. S., Wigfield, A. 2002. "Motivational beliefs, values, and goals." *Annu. Rev. Psychol* 109-132.
- Garcia, Teresa Pintrich, Paul R. 1996. "The effects of autonomy on motivation and performance in the college classroom." *Contemporary Educational Psychology* 477-486.
- Kaiser, H. 1974. "An Index of Factorial Simplicity." *Psychometrika* 6-31.
- Paul R. Pintrich, Ronald W. Marx, Robert A. Boyle. 1993. "Beyond cold conceptual change: the role of motivational beliefs and classroom contextual factors in the process of conceptual change." *Review of Educational Research* 167-199.
- Pintrich, P. R. 2004. "A conceptual framework for assessing motivation and self-regulated learning in college students." *Educational Psychology Review* 387-407.
- Pintrich, P. R., Schunk, D. H. 1996. "Motivation in Education: Theory, Research & Applications." Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Pintrich, P. R., Smith, D. A. F., Garcia, T., & McKeachie, W. J. 1991. "A manual for the use of the Motivated Strategies for Learning Questionnaire (MSLQ)." Ann Arbor, MI: National Center for Research to Improve Postsecondary Teaching and Learning.
- Suzanne Hidi, Judith M. Harackiewicz. 2000. "Motivating the Academically Unmotivated: A Critical Issue for the 21st Century." *Sage Journals* 151-179.
- Wigfield, A., Tonks, S., and Klauda, S. L. 2016. "Expectancy-value theory." In *Handbook of Motivation in School*, 2nd Edn, by K. R. Wentzel and D. B. Mielecpesnm, 55-74. New York: NY: Routledge.
- Wigfield, Allan Eccles, Jacquelynne S. Yoon, Kwang Suk Harold, Rena D. Arbreton, Amy J. A. Freedman-Doan, Carol Blumenfeld, Phyllis C. 1997. "Change in children's competence beliefs and subjective task values across the elementary school years: A 3-year study." *Journal of Educational Psychology* 451-469.
- Zimmerman, B. J. 1990. "Self-regulated learning and academic achievement: An overview." *Educational Psychologist* 3-17.

იუნკერის სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორები

თამარ რამიშვილი სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის აქტუალობა განპირობებულია კვლევის ობიექტის არეალში მყოფი სტუდენტების, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდისა და ჩამოყალიბების პრობლემაზე, რაც თავის მხრივ კორელაციაშია მაღალკვალიფიციური საზოგადოებების ფორმირებასთან. კვლევის დაგეგმვის პირველ ეტაპზე გამოიკვეთა პრობლემა: საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სტუდენტების სწავლის შედეგებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რის შედეგადაც ისინი იჩერებენ სტუდენტის სტატუსს, იცვლიან სპეციალობას, იყენებენ მობილობას ან საერთოს წყვეტენ სწავლას.

კვლევის მიზანია საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერების, პოსტმოდერნული თაობის სტუდენტების, სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება, კვლევა და ანალიზი. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და კურსდამთავრებულთა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2020 წლის ბოლოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან (სულ 562 სტუდენტი, მათ შორის 82 იუნკერი).

საკვანძო სიტყვები: თავდაცვის აკადემია, იუნკერი, უმაღლესი საგანთლება, სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორები, სწავლების ხარისხი, პოსტანამედროვე თაობა.

Factors Affecting Junkers Learning

Tamar Remishvili
Doctor of Social Sciences
Expert of Quality Assurance of
National Defense Academy of Georgia

Abstract

The urgency of the research is due to the problem of raising and forming of students in the research area, as qualified, competitive specialists in accordance with the requirements of the market economy, which is in coloration with the formation of highly qualified society. At the first stage of the research, the problem was identified: different factors affect the learning outcomes of students in the Georgian Higher Education system, as a result they suspend their student status, change their specialty, use their mobility or they leave the university at all.

The aim of the research is to identify, systematize and analyze the factors affecting the learning outcomes of postmodern generation students, especially Junkers of National Defense Academy of Georgia. Based on the research results, develop appropriate recommendations that will help to improve the quality of education at the Academy and ensure the personal and professional development of graduates.

Quantitative research was conducted at the end of 2020 with students from Higher Education Institutions of Georgia (total 562 students, 82 Junkers among them).

Keywords: Defense Academy, Junker, Higher Education, factors affecting learning outcomes, quality of learning, postmodern generation.

სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (აკადემია), მათი რაოდენობრივ-თვისობრივი შესწავლა, შედეგების ანალიზი და მისი შედარება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან საშუალებას მოგვცემს ეფექტურად იქნეს მიღწეული სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების მიერ. კვლევისას გამოყენებულ იქნა როგორც პირველადი, ასევე მეორადი მონაცემები. პირველადი მონაცემების შესაგროვებლად ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურირებული კითხვარის შედგენას და გამოკითხვის ჩატარებას. ამის შემდეგ, მოხდა მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და მონაცემთა ანალიზი.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სტუდენტებზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან წევრებზე. სტუდენტთა მიღწევებზე გავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკური გარემო ფაქტორები და სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ფაქტორები, როგორცაა მშობლების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, თანატოლთა და ოჯახის ურთიერთობები, პირადი უნარები, საზოგადოება, ასევე სხვადასხვა კლუბები და ორგანიზაციებში მონაწილეობა, რაიონული და რეგიონალური მხასიათებლები, საცხოვრებელი ადგილის ყველა გარემოება, კულტურა, რელიგია, მედია და სხვა, სატელევიზიო პროგრამაც კი ახდენს სხვადასხვა სახის ზემოქმედებას სწავლის შედეგების მიღწევაში უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა ზეგავლენის გამო ბევრ სტუდენტს შესაძლოა დაბალი აკადემიური მოსწრება ჰქონდეს ან, საერთოდ, ვერ მიიღოს კვალიფიკაცია, ასევე, სტუდენტები სარგებლობენ მობილობით და მობილობით მოსარგებლე სტუდენტებისთვის უმეტეს შემთხვევაში ხანგრძლივდება სწავლის პერიოდი და სხვ.

დღეს საქართველოს სხვადასხვა უსდ-ებში პროგრამები შედგება სხვადასხვა მოდულისგან/სასწავლო კურსისგან და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე. საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლებელია იყოფოდეს ბლოკებად ან ჯგუფებად, რომლებიც სწავლის განსაზღვრულ შედეგებს უნდა შეესაბამებოდეს (ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კრიტიკულ აზროვნებას). უნივერსიტეტები თვითონ აღწერენ თითოეული კურსის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციას.

კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო 2018 წელს გამოქვეყნებულმა რაოდენობრივმა კვლევამ „სტუდენტთა ფინანსური პრობლემები უმაღლესი განათლების დაწესებულებებში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მალაიზიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 480 სტუდენტმა. კვლევა მიზნად ისახავს იმ ფინანსური პრობლემების იდენტიფიცირებას, რომლებსაც სტუდენტები ეჯახებიან უსდ-ებში სწავლის პერიოდში. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას შეექმნა ფინანსური პრობლემები შეზღუდული ფინანსური რესურსისა და საცხოვრებელი პირობების მაღალი ღირებულების გამო. მათი ხარჯების დონე კვლავ კონტროლდება და მოქცეულია სტუდენტურ საზღვრებში, თუმცა ფინანსების რაციონალურად მართვა დადებითად აისახება სტუდენტების ფინანსურ სიტუაციაზე.

სტატიაში „სოციო-ეკონომიკური ფაქტორების როლი კუვეიტის სახელმწიფოს უმაღლესი განათლების ხელშეწყობაში“ ავტორს საღვათად არვიშგანხილულია ქვეყნის კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევა მიზნად ისახავდა, დაედგინა მშობლების განათლების, სოციალური და ფინანსური სტატუსის გავლენის დონე უფროსკურსელ სტუდენტებზე, როგორც სტუდენტების აკადემიური ხარისხის მიღების მოტივაციის წყარო. კვლევაში ჩართული იყო 313 უფროსკურსელი სტუდენტი, რომლებიც შემთხვევით იქნა შერჩეული, ასევე ჩატარდა გასაუბრება ყველა მათგანთან.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მშობლების გავლენა სტუდენტის აკადემიურ მიღწევებზე ხორციელდება უფროსკურსელი სტუდენტის დამოკიდებულებისა მშობლების მიმართ და იმ გარემოს საშუალებით, რომელშიც სტუდენტები იზრდებიან. არსებობს ძლიერი გავლენა და პოზიტიური მოტივაცია სტუდენტების დამოკიდებულების განვითარებისთვის. უფრო მეტიც, კვლევაში ნაჩვენებია სხვა ფაქტორები, როგორცაა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სტუდენტების სოციალური წარმომავლობა, სტუდენტების აკადემიური მიღწევები, გარდა ორივე მშობლის საგანმანათლებლო მიღწევებისა, რომლებიც გავლენას ახდენს სტუდენტების გადამწყვეტილებებზე.

განათლების სფეროში ჩატარებული კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავენ სტუდენტის სწავლის მიღწევების შეფასებას, ხშირად ანალიზებენ, თუ რომელი საგანმანათლებლო გარემოს ფაქტორები ახდენენ ყველაზე დიდ გავლენას სტუდენტის მიღწევებზე. ამგვარი ფაქტორების დადგენა და მათი გავლენის შეფასება მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს სტუდენტის მიღწევების ცვლილების კონტროლი. გამოკითხვების უმეტესობამ აჩვენა, რომ სტუდენტთა მიღწევებზე გავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკური გარემო ფაქტორები და

სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

პირველადი მონაცემების მისაღებად გამოიკითხა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის 81 იუნვერი და საქართველოს სხვადასხვა უსდ-ს 562 სტუდენტი.

აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, ისევე როგორც სხვა უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს¹ მექვეყნო და მეშვიდე დონის აღმწერების შესაბამისად და მათში გაერთიანებულია „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარისა“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ განზოგადებული სწავლის შედეგები.

აკადემია არის ერთ-ერთი სპეციფიკური უსდ საქართველოში. კვალიფიკაციასთან ერთად ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ იუნკრებს ენიჭებათ ლეიტენანტის² წოდება. თავდაცვის სამინისტრო 100%-ით აფინანსებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამას, იქნება ეს აკადემიური თუ არააკადემიური. იუნკრები უზრუნველყოფილი არიან ჯანმრთელობის დაზღვევით, სტიპენდიით, კორპორატიული ტელეფონის ნომრებით, პირადი ლეპტოპებით, ბიბლიოთეკით, საერთო საცხოვრებელით, კვებით, სპორტული დარბაზით, საცურაო აუზით და სხვა ბენეფიტებით.³

აღსანიშნავია, რომ ეს ძალიან დიდი სტიმულია იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს ქვეყნის თავდაცვის განვითარების მიმართულებით და, ასევე, შანსია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ იღებენ უმაღლეს განათლებას. მართალია, აკადემიაში პროფილი სამხედროა, თუმცა იგი ინტეგრირებულია სამოქალაქო განათლებასთან, რაც ორმაგად მომხიბვლელს ხდის აკადემიაში სწავლებას და იქ ცხოვრებას. აკადემიაში ყველა იუნკრს აქვს შექმნილი პირობა იმისთვის, რომ გახდეს წარმატებული ოფიცერი, იზრუნოს ფიზიკურ მომზადებაზე და განათლებაზე.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა არ ხდება სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო, სტატუსის შეწყვეტა მხოლოდ ჯანმრთელობის გაუარესობის ან დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. მაგალითისათვის საკმარისი იქნება შემდეგი მონაცემები, 2011 წლიდან ყოველწლიურად 80-90 იუნკერი ირიცხება აკადემიაში. დღემდე მხოლოდ 26 მათგანს აქვს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული სასწავლო მივლინების გამო.

რესპონდენტთა ასაკი შემდეგნაირადაა გადანაწილებული: იუნკერთა 53% - 21-23 წლის, 33,3% - 18-20 წლისა და 7,4% 30 წელზე უფროსი ასაკისა; მხოლოდ 8,6%-ი დაოჯახებული, დაახლოებით 88% მრავალრიცხოვანი ოჯახიდანაა. მშობლების დაახლოებით 46%-ს აკადემიური უმაღლესი განათლება აქვს, 27,2%-ის დედას და 24,7%-ის მამას - პროფესიული განათლება, 24,7%-ის დედას და 29,6%-ის მამას - სრული ზოგადი განათლება, მშობელთა მხოლოდ 1%-ს - საბაზო განათლება. 42 %-ის დედა და 33,3%-ის მამა უმუშევარია; 6%-ის დედა და 9,9%-ის მამა პენსიონერია⁴

კითხვარის მეორე ნაწილი საგანმანათლებლო პროგრამის დეტალებს შეისწავლის. კითხვაზე - „იცნობთ თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს“- რესპონდენტთა 88,9 %-მა დადებითად უპასუხა; აკადემიაში სწავლის პერიოდში რესპონდენტთა საშუალო შენონილი ქულა GPA შემდეგნაირადაა გადანაწილებული: 31,7%-ს - 2,5-3 ქულა, 30,2%-ს -3-3,5 ქულა, ხოლო 22,2%-ს - 3,5-4 ქულა აქვს უმაღლესი 4 ქულიდან, ამ მონაცემების გაანალიზებით და აკადემიაში იუნკერთა შეფასების პროცედურების⁵ გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ იუნკრები (84.1%) მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

კითხვარის მესამე ნაწილი სოციალური ფაქტორების შეფასებას ეხება. კითხვაზე „რომელი სოციალური

1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოა აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

2 ლეიტენანტი (ფრანგ. Lieutenant) — უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება მრავალი ქვეყნის არმიაში. პიველად გამოიყენეს საფრანგეთში XV საუკუნეში ასეულის მეთაურთა მოადგილე-ბი-სათვის (lieu — ადგილი და tenant — დაკავება). XV საუკუნის ბოლოდან ოცმეთაურთა სამხედრო წოდებაა. ქართულ ჯარში არსებობს ლეიტენანტის ორი ხარისხი: ლეიტენანტი და უფროსი ლეიტენანტი (სამართალდამცველ სტრუქტურებში არსებობს ასევე, უმცროსი ლეიტენანტის ხარისხი). უმცროსი ლეიტენანტის წოდებას ნატოს ჯარების უმრავლესობა არ იცნობს. ლეიტენანტისა და უფროსი ლეიტენანტის სამხედრო კოდია „OF-1“ <https://eta.edu.ge/ge/news/read/1117/saqartvelos-tavdacvis-dzalebs-93-leitenanti-sheemata>.

3 არაპირდაპირი ფულადი და არაფულადი ანაზღაურება, რომელსაც თანამშრომელი იღებს იმისათვის, რომ გაუჩნდეს კომპანიაში უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩენის სურვილი. ის მოიცავს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა, ანაზღაურებადი დასვენების დღეები და ა.შ. <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=5515>

4 მოქალაქეთა სისტემატური მატერიალური (ფულადი) უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (საბჭოთა კავშირში აძლევდნენ ნამსახურობისათვის, მოხუცებულებს, ინვალიდებს, ოჯახის წევრებს ოჯახის მარჩენლის გარდაცვალების ან ომში დაღუპვის შემთხვევაში და სხვ.) (განმარტებითი ლექსიკონი <http://www.ena.ge/explanatory-online>).

5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს (მუხლი 43, პუნქტი 6. სტუდენტის უფლებები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=87>).

ფაქტორები ახდენენ მნიშვნელოვან დადებით და უარყოფით გავლენას სწავლის შედეგებზე?“, აკადემიის იუნკერთა 49,4%-მა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს დღის დატვირთული რუტინა და მხოლოდ 8,6 %-ზე მოქმედებს მნიშვნელოვნად უარყოფითად მშობლების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. იუნკერთა 18,5%-ის აზრით სწავლის შედეგებზე მოქმედებს ფინანსური მოტივაცია. კითხვაზე „როგორ მოქმედებს მათ სწავლის შედეგებზე თანატოლების გავლენა, ოჯახის ურთიერთობები, აკადემიის გარემო, გარანტირებული დასაქმება და პირადი უნარები?“, დაახლოებით 8 %-მა აღნიშნა, რომ ოჯახის ურთიერთობები და თანატოლთა გავლენა მნიშვნელოვნად უარყოფითად მოქმედებს მათი სწავლის შედეგებზე, დაახლოებით 4 % კი აღნიშნავს, რომ აკადემიის გარემო და მათი პირადი უნარები ახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მათი სწავლის შედეგებზე.

სხვა უსდ-ს სტუდენტთა 47% მრავალრიცხოვანი ოჯახიდანაა. რესპონდენტთა 45.4%-ის ოჯახში იგი თავად არის ერთადერთი სტუდენტი. 38,6%-ის ოჯახში 2 სტუდენტი/მოსწავლეა, 12,5%-ის ოჯახში - 3 სტუდენტი/მოსწავლე, რესპონდენტთა მხოლოდ 3%-ის ოჯახშია სამზე მეტი სტუდენტი/მოსწავლე. ნათელია, რომ დღევანდელი ქართული ოჯახისთვის ერთი სტუდენტის უზრუნველყოფა ფინანსური თვალსაზრისით ბევრად მოსახერხებელია.

რესპონდენტთა მშობლების ნახევარზე მეტი დასაქმებულია: 49,5 %-ის დედა და 59,1%-ის მამა. გამოკითხულთა მხოლოდ 3-3%-ს ჰყავს პენსიონერი/ სო-ციალურიად დაუცველი დედა, ხოლო 2-2% პენსიონერი/სოციალურიად დაუცველები მამა.

კითხვარის მეორე ნაწილი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს. კითხვაზე-„იცი თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს“-რესპონდენტთა 62,5 %-მა დადებითად უპასუხა. სამწუხაროდ გამოკითხულთა უმრავლესობა ვერ ასახელებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების არცოდნის მიზეზს.

რესპონდენტთა საშუალო შენობილი ქულა GPA შემდეგნაირადაა გადანა-წილებული: 23 %-ს - 2,5-3 ქულა, 20,5%-ს -3-3,5 ქულა, ხოლო 19,9 %-ს 3,5-4 ქულა აქვს უმაღლესი 4 ქულიდან, ამ მონაცემების გაანალიზებით და სტუდენტთა შეფასების პროცედურების⁶ დავასკვნით, რომ რესპონდენტთა 63,4% წარმატებით აღწევს საგან-მანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს.

კითხვარის მესამე ნაწილი სოციალური ფაქტორების შეფასებას ეხება. კითხვაზე-„რომელი სოციალური ფაქტორები ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სწავლის შედეგებზე“-რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ მოეწინააღმდეგებინათ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მოქმედებს სწავლის შედეგებზე. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 31,7%-ზე გავლენას პირადი უნარები ახდენს, 21%-ზე - დასაქმების მოტივაცია, 10%-ზე უნივერსიტეტის გარემო ახდენს გავლენას, რესპონდენტთა დაახლოებით 11% ფიქრობს, რომ სწავლის შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშობლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სწავლის გადასახადი.

სტუდენტებმა დამატებით აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმება, მოტივაცია, პანდემია და ონლაინ სწავლება, ასევე „მუშაობის აუცილებლობა, სწავლის გადასახადის დაფარვის მიზნით; შვილები, ყოველდღიური სტრესი, ლექტორის გავლენა, რასისტული, არასამართლიანი მიდგომა, სასწავლო პროცესის კონსერვატიულობა, განათლების დაუფასებლობა;“ საინტერესოა კომენტარები „ჩემი ოჯახის მოლოდინის გასამართლებლად ვსწავლობ“, „მშობლის ჩართულობა“, „დამოუკიდებლად ცხოვრება“.

სტუდენტებსა და იუნკერების სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორების შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ იუნკერების სწავლის შედეგებზე გავლენას ახდენს დღის რუტინა განსხვავებით სხვა უსდ-ების სტუდენტებისგან. მიღებული ინფორმაცია აკადემიის პერსონალს დაეხმარება სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებაში, რაც გამრდის კურსდამთავრებულთა ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფას და მათი პიროვნული და პროფესიული განვითარების შესაძლებ-ლობას. ასევე, აბიტურიენტებს და მათ მშობლებს კვლევის შედეგები მისცემს სრულყოფილ სურათს აკადემიაში სწავლის შედეგების მიღწევაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ;

რეკომენდირებულია აკადემიის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა და მონვეულმა პერსონალმა, მასწავლებლებმა და ინსტრუქტორებმა გამოიყენოს მთელი რიგი სპეციფიკური ცოდნა და უნარები იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორების უარყოფითი გავლენა. ამისათვის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაცია სისტემატურად უზრუნველყოფს პერსონალისთვის იუნკერთა გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიწოდებას. საგანმანათლებლო პროგრამების/ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება ხდება 4 დონიანი მოდელით (რეაქცია, სწავლება, ქცევა და შედეგი). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სისტემატურად ხდება ინსტრუქტორებისა და

6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს (მუხლი 43, პუნქტი 6. სტუდენტის უფლებები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=87>)

მასწავლებლების მომზადება/გადამზადება სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში. აკადემიაში დანერგილია ინსტრუქტორებისა და მასწავლებლების ქოუჩინგის პრაქტიკა. მიმდინარე წელს შემუშავდა სატრენინგო პროგრამა, რომლის მიზანია ტრენერების მომზადება აკადემიაში. პროგრამა ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიდგომებს, იგი განხორციელდება კვალიფიციური ტრენერისა და ფსიქოლოგის მიერ. ტრენერის თანამედროვე უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები დარგობრივ ცოდნას და გამოცდილებას გაავრცელებენ აკადემიაში, რაც სასწავლო პროცესს მეტად ეფექტიანს გახდის.

გამოყენებული ლიტერატურა

რემიშვილი თ., სწავლის შედეგებზე მოქმედი სოციალური ფაქტორები უმაღლესი განათლების სისტემაში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2021.

ქეცბაია კ., განათლების სოციოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020.

კაჭკაჭიშვილი ი., სოციალური თეორია. თბილისი, 2008.

გრძელიძე ი., ბუჩაშვილი გ., ქარჩავა მ., უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები 2019.

ENQA Agency Review: National Center for Educational Quality Enhancemen. Brussels, Belgium, Retrieved from <https://enqa.eu/wp-content/uploads/2019/05/External-Review-Report-NCEQE-Final.pdf> (გადამოწმებულია 10.12.2021)

აზარტული თამაშების რეკლამა და არასრულწლოვანთა დაცვა საქართველოში

გიორგი ყიფიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აბსტრაქტი

მეცნიერული კვლევა მიუთითებს, რომ ბავშვები და ახალგაზრდები 18-დან 24 წლამდე განსაკუთრებით მონყვლადებიარია სარისკო ქცევის მიმართ და აზარტული თამაშების რეკლამა მნიშვნელოვნად განაპირობებს პათოლოგიურ გემბლინგს. ESPAD 2019 კვლევის ანგარიში აჩვენებს, რომ საქართველოს სკოლის ასაკის მოზარდებში 12%-მდეა პათოლოგიურ მოთამაშეთა რიცხვი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 35 ევროპულ ქვეყანაში. მაუწყებლობის კანონით 2020 წლის სექტემბრიდან დღის საათებში შეზღუდული უნდა იყოს აზარტული თამაშების რეკლამა, მაგრამ ბავშვებს მაღალი წვდომა აქვთ ამ რეკლამაზე, რადგან ის ყველა სახის მედიაშია, განსაკუთრებით კი დღის საათებში ქართულ ტელეარხებზე. არავითარი რეგულირება არ გამოიყენება იმ რეკლამების მიმართ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მავნე ზეგავლენა ახალგაზრდებზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული რეკლამების ანალიზი ადასტურებს, რომ რეკლამის ტექსტები აზარტულ თამაშებს განიხილავს როგორც დაუსრულებელ გართობას და სპორტული აქტივობა, ქმნის აზარტული თამაშების არარეალისტურ ხედვას, რადგან მაღავს რისკს და ავრცელებს ილუზიას, რომ ყველა იგებს. მეტიც, ასეთი რეკლამები ხშირად განთავსებულია საბავშვო გადაცემების დროს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც მოახდენს აზარტული თამაშების რეკლამის რეგულირებას 2022 წლის მარტიდან, სტატია მოუწოდებს იმ აზარტული თამაშების რეკლამის სასწრაფო შეზღუდვას, რომელსაც ძლიერი ზემოქმედება აქვს ახალგაზრდობაზე.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა დაცვა, პათოლოგიური გემბლინგი, რეკლამა, სარისკო ქცევა, მავნე ზეგავლენა

Gambling Advertising and Minor Protection in Georgia

Giorgi Kipiani


Ivane Javakhishvili State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

Abstract

Scientific research suggests that children and young people from 18 up to 24 are especially vulnerable to risky behaviour and gambling advertising substantially contributes to pathological gambling. ESPAD 2019 report states, that Georgia reaches highest number of young problem gamblers among 35 European countries - 12 % of school age adolescents. Law of Georgia on Broadcasting prohibits gambling ads during daytime from 1 September, 2020; but children still have very high exposure to gambling advertising, because gambling advertising is everywhere in all types of media, especially in daytime TV. No measures are implemented against the ads, which may have harmful influence on young people. Our analysis of Georgian TV ads texts shows that gambling is promoted as everyday fun and sport activity, ads create an unrealistic view of gambling, as they hide risk and promote illusion that everyone wins. Moreover, such ads are transmitted in air during child programs. Georgian Parliament passed law which aims gambling advertisement regulation from March 2022, article calls for more urgent regulation of gambling ads highly influential for young people.

Keywords: Minor protection, Pathological gambling, advertisement, Risk behaviour, Harmful influence

საქართველოში მედიის მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვა წლების განმავლობაში ნაკლებ პრიორიტეტულად მიიჩნეოდა მედია კომპანიების ინტერესებთან შედარებით. არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი 2001 წელს მიიღეს (მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2001), ამართული თამაშები შეტანილი იყო შესაძლო მავნე ზემოქმედების მქონე აქტივობათა რიგში და დღის საათებში უნდა მომხდარიყო ამ სფეროს რეკლამის შეზღუდვა. მედიის სფეროში ამ კანონმა მხოლოდ წელიწადნახევრის განმავლობაში იმოქმედა კომუნიკაციების კომისიის შექმნის შემდეგ და 2006 წელს პრაქტიკულად გაუქმდა (ყიფიანი 2021, 357). საქართველოს ტელეარხებით 2010 წლიდან ამართული თამაშების რეკლამა შეუზღუდავად გადაიციეოდა დღის საათებში. საზოგადოების მოთხოვნის მიუხედავად საქართველოს პარლამენტში ორჯერ - 2013 და 2019 წელს ჩავარდა ამართული თამაშების რეკლამის შემზღუდავი კანონპროექტი (წულაია 2019, 2).



ფოტო 1. ამართული თამაშების რეკლამა საბავშვო ტელეარხის ტრანსლირების წინ ინტერნეტის საიტზე.

მხოლოდ 2020 წლიდან ამოქმედდა ევროპის საბჭოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით და ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსის მიღების შემდეგ არასრულწლოვანებისთვის სახიფათო ინფორმაციის შეზღუდვის ღონისძიებები. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის 3 პუნქტი ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციად მიიჩნევს ამართული თამაშების პროპაგანდას (ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2020). მაუწყებლობის კანონის 56 მუხლის პირველი პუნქტის კ) პუნქტის 2020 წლის სექტემბრიდან დღის საათებში შეზღუდული უნდა ყოფილიყო ამართული თამაშების რეკლამა და რეკლამის განთავსება მხოლოდ 24 საათიდან არის დაშვებული (კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2005), თუმცა ამართული თამაშების რეკლამის შეზღუდვის ნაწილში კანონის აღსრულება მაინც არ მომხდარა. 2020 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელმაც 2022 წლის მარტიდან უნდა საერთოდ შეზღუდოს ამართული თამაშების სატელევიზიო და ონლაინ რეკლამა, თუმცა არსებული კანონის აღსრულების საკითხზე არ უმსჯელია არც აღმასრულებელ და არც საკანონმდებლო ხელისუფლებას.


უნდა აღინიშნოს, რომ მედიაში ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მცირეწლოვანთა დაცვის საკანონმდებლო ღონისძიებები გააპროტესტეს როგორც მაუწყებლებმა, ასევე სამოქალაქო სექტორმა, 2020 წელს სარჩელი შეტანილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოში (საკონსტიტუციო სარჩელი 1537, 2020), ხოლო 2021 წლის დეკემბერში 19 არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარმა მედიის ადვოკატების კოალიციამ განცხადებაში უარყოფითად შეაფასა ამართული თამაშების რეკლამის შეზღუდვა (კოალიციის განცხადება, 2021). საქართველოს კანონმდებლობის ისტორიაში უკვე არსებობს 2006 წლის პრეცედენტი, როდესაც გაუქმდა არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებები. ამ ფაქტების გათვალისწინებით საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ ისევ გაგრძელდეს ამართული თამაშების რეკლამირება. ასევე უნდა აღინიშნოს, მედიის მავნე ზემოქმედებისგან ახალგაზრდობის დაცვის მიზნით უპირატესად რელიგიური ორგანიზაციები აქტიურობენ, ხოლო სამოქალაქო სექტორის სხვა აქტივისტები არ იჩენენ ინიციატივას არც კანონმდებლობის გაუმჯობესების და არც კანონის დაცვის თვალსაზრისით. საქართველოში ამართული თამაშების, გემბლინგის

რეკლამა ყოველ ნაბიჯზე იყო და საერთოდ არ იზღუდებოდა, მხოლოდ 2019 წლიდან შეიზღუდა გარე რეკლამა, ტელეეთერსა და ინტერნეტში კი ისევ გაგრძელდა.


დღესდღეობით ონლაინ-გემბლინგი მთლიანად არის აკრძალული მსოფლიოს 39 ქვეყანაში; სხვა ქვეყნებში კი აზარტული თამაშების რეკლამა მნიშვნელოვნად არის შეზღუდული, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში. ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში აზარტული თამაშებისა და აზარტული თამაშების გასამართი ადგილების რეკლამა აკრძალულია. ბულგარეთში აკრძალულია აზარტული თამაშების პირდაპირი რეკლამა, განსაკუთრებით, თუ ის მიმართულია არასრულწლოვნებისადმი. ჰოლანდიაში “რეკლამის შესახებ” კანონის” თანახმად, რეკლამის შინაარსი არ უნდა აცდუნებდეს მაყურებელს, რომ აზარტულ თამაშებში მოგების შედეგად, შესაძლებელი იქნება მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება; რეკლამა ასევე არ შეიძლება მიმართული იყოს არასრულწლოვანი პირებისადმი (Regulus partners, 2019, 10-15).

ევროპის ქვეყნებში რეკლამა ჩაითვლება არასრულწლოვანებზე მიმართულად და ჯარიმდება, თუ რეკლამის ტრანსლირება ხდება საბავშვო გადაცემის ჭრის დროს, უშუალოდ გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ; თუ რეკლამაში მონაწილეობს 25 წლამდე პირი ან პირი, რომელიც გამოიყურება 25 წლამდე; რეკლამა განთავსებულია ბავშვებისთვის განკუთვნილი პროდუქციის ინტერნეტის გვერდებზე; რეკლამაში გამოყენებულია ბავშვებისთვის მიმზიდველი ტექნიკები ან მასალა (მულტფილმები, პერსონაჟები); თუ რეკლამა შეიცავს ახალგაზრდულ მუსიკას, მოდას ან ახალგაზრდული კულტურის სხვა ელემენტებს ან ასოცირებულია ამ სფეროს დეტალებთან; თუ პერსონაჟების თავგადასავალს აღწერენ ფანტაზიურ სამყაროში, გამოიყენება ფერადოვანი და ნახატი ფილმების გრაფიკა, სპორტულ ღონისძიებათა დროს რეკლამა ასევე აკრძალულია. თუ რეკლამა ახდენს უფასო თამაშის ან ბონუსების გამოყენების შეთავაზებას, ის პოტენციალურ რისკის შემცველად ჩაითვლება, და ამიტომ შეზღუდულია, ისევე როგორც განცხადებები მოგების სწრაფი მიღების შესახებ. რეკლამებში განთავსებული უნდა იყოს პასუხისმგებლიანი თამაშის მონოღებია, მაგალითად „ითამაშეთ ზომიერად“ (Regulus partners, 2019, 15-22).

ფსიქოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ მოზარდობის ასაკი ითვლება კრიტიკულად ქცევითი დამოკიდებულების ისეთი ფორმების ჩამოყალიბებისთვის, როგორიც არის პრობლემური გემბლინგი. კვლევა აჩვენებს, რომ მოზარდებს იზიდავს რისკი და ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ მათი ქცევის შედეგებს (Andrie et al., 2019). აზარტული თამაშების რეკლამა მნიშვნელოვნად განაპირობებს პათოლოგიურ გემბლინგს. ბავშვები და ახალგაზრდები 18-დან 24 წლამდე განსაკუთრებით მონყვლადები არიან სარისკო ქცევის მიმართ. პათოლოგიური გემბლინგი 2-ჯერ უფრო ხშირია 35 წლამდე ასაკში, ვიდრე 35 წლის შემდეგ. მოზარდებში აღინიშნება გემბლინგის უფრო მაღალი პრევალენტობა, ვიდრე ზრდასრულ პოპულაციაში (Molinaro et al., 2014). მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ 10 აზარტული მოთამაშეთაგან ერთი პრობლემური ხდება (Report on Problem Gambling Services 2017,18). სხვა ადიქციებთან შედარებით პრობლემურ მოთამაშეებში ყველაზე მაღალია თვითმკვლელობათა რიცხვი, პრობლემურ მოთამაშეთაგან 5-დან ერთს აქვს თვითმკვლელობის მცდელობა.



ფოტო #2. საბავშვო ფილმების საიტი აზარტული თამაშების ორი სხვადასხვა კომპანიის რეკლამით



ფოტო #3. საბავშვო ფილმების საიტი

რეკლამა ახდენს აზარტული თამაშების ნორმალიზაციას იმდენად, რომ ბავშვები ფიქრობენ, რომ აზარტული თამაშები მცირე თანხით დიდი ფულის მოგების კარგი შანსია (Macgregor et al., 2020). ამდენად უბიძგებს ზოგიერთ ახალგაზრდას აქტიურად ჩაერთოს აზარტულ თამაშებში (Final Synthesis Report 2020, 55). ახალგაზრდები მეტ ყურადღებას აქცევენ აზარტული თამაშების დადებით შედეგებს და გამაფრთხილებელი ინფორმაცია ვერ აბალანსებს აზარტულ მარკეტინგს (Valentine, 2016). აზარტული თამაშების რეკლამა წაახალისებს ხშირ მონაწილეობას თამაშებში, რადგან გემბლინგს ახასიათებს, როგორც ჩვეულებრივ, ხშირ და ყოველდღიურ აქტივობად. კვლევა აჩვენებს, რომ რაც მეტად ხდება აზარტული თამაშების ნორმალიზება რეკლამირების შედეგად, მით მეტი ახალგაზრდა ხდება პრობლემური მოთამაშე (Wardle, 2019). ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამჟამად არ თამაშობენ, რეკლამასთან კონტაქტი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მომავალში აზარტული თამაშებში ჩართვის ალბათობასთან და ვისზეც იქნება მიმართული დღეს რეკლამა, ხვალ გახდებიან პრობლემის მქონე მოთამაშეებად (Critchlow N. et al 2019, 98).

საქართველოში წლების განმავლობაში წარმოებულმა აზარტული თამაშების რეკლამა გამოიღო კიდევ უარტოფითი შედეგი - ESPAD 2019 კვლევის ანგარიში აჩვენებს, რომ საქართველოს სკოლის ასაკის მოზარდებში 12%-მდეა პრობლემურ მოთამაშეთა რიცხვი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 35 ევროპულ ქვეყანაში, როდესაც ამ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 8 %-ს არ აღემატება (ESPAD 2019 Report 2020, 16). 2019 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით თბილისის 10 სკოლის 500 მოსწავლიდან თბილისში 14-დან 18 წლამდე მოზარდების 48% ონლაინ აზარტულ თამაშებს თამაშობს. ასაკის მატებასთან ერთად მოთამაშე მოზარდების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება, - ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც „აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრმა“ ჩაატარა.“ (გურგენიძე, 2019). კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა 59 % სლოტ თამაშებს ირჩევს, რომელიც ექსპერტთა აზრით, ყველაზე მეტად იწვევს დამოკიდებულებას აზარტული თამაშების მიმართ.

როგორც ვხედავთ, კვლევა ადასტურებს, რომ ახალგაზრდებზე რეკლამა საკმაოდ მძიმე გავლენას შეიძლება ახდენდეს, კვლევა ასევე ადასტურებს, რომ საქართველოში პრობლემური გემბლინგი საკმაოდ გავრცელებულია მოზარდებში. ამიტომ ჩვენს მიერ კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოხდა 2021 წლის დეკემბერში საქართველოს სატელევიზიო არხებსა და ინტერნეტში გასული რეკლამის შინაარსობრივი ანალიზი.


განხორციელდა სათამაშო ბიზნესის 8 კომპანიის სარეკლამო კლიპების შინაარსის ანალიზი 6 ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო არხზე („იმედი“, „მთავარი არხი“, „ტვ-პირველი“, „ფორმულა“, „რუსთავი-2“, „GDS“), რომლებიც ჯამში საქართველოს სატელევიზიო აუდიტორიის 70 %-ს ფარავს (კვლევის შედეგები, 2021), ასევე სარეოტინგო საიტ top.ge-ს მიხედვით ყველაზე პოპულარულ ინტერნეტის საიტებზე (adjaranet.com, myvideo.ge, movie.ge, imovies.cc, poti.ge, mykadri.com), რომლებიც საბავშვო ტელეარხების ან ფილმების ტრანსლირებას ახდებს.

ჩვენმა შედეგებმა აჩვენა, ყველა სატელევიზიო არხის საბავშვო პროგრამის დროს გადაცემული სარეკლამო დროის 30 %-დან 60 % მდე აზარტული თამაშების რეკლამას დაეთმო, ხოლო ინტერნეტის საიტებზე, სადაც საბავშვო ფილმების ჩვენება ხდება, ფილმის დაწყებამდე რეკლამის 80 % აზარტული თამაშებს ეხება.

აზარტული თამაშების რეკლამის ტექსტებში აზარტული თამაშები გაიგივებულია სპორტთან - „სპორტი გართობაა, გართობა სპორტია“. რეკლამების ტექსტები მოიცავს აზარტული თამაშების შესახებ მხოლოდ დადებით შინაარსს და საერთოდ არ არის გაფრთხილება პოტენციურ რისკზე - „გაერთე უსასრულოდ“, „მოიგე შენი წილი“, „ გაერთე შენს გემოზე“. ეს მაშინ, როდესაც პასუხისმგებლიანი თამაშის ევროპული სტანდარტი ზომიერების დაცვის მოწოდებას და გარკვეულ ეტაპზე თამაშის შეზღუდვასაც გულისხმობს. სარეკლამო ტექსტების უმეტესობა ამასთან ერთად მიუთითებს უფასო თამაშის შესაძლებლობაზე - კერძოდ, ასახელებს მომენტალური პრიზების, უფასო თამაშის, უფასო პრიზების, უფასო სპინების ყოველდღიურად მიღების შესაძლებლობას. აზარტული თამაშების დროს მოგების სიადვილეზე მიუთითებს შემდეგი წინადადებები - „გათამაშება, რომელშიც ყველა გამარჯვებულია“, „გახდი მილიონერი ერთი სპინით“, „მოიგე შენი წილი“, „გახდი შემდეგი მილიონერი“.

პრაქტიკულად ყველა რეკლამა შეიცავს ერთ ელემენტს მაინც, რომელიც ჩაითვლება ბავშვებზე მიმართულად, კერძოდ, ნახატ ფილმებს ან საბავშვო სათამაშოს მსგავს მატარებელს (ფოტო 1), თოვლის პაპის გამოსახულებას, სანტა ლენდს. პირველ ფოტოზე გამოსახული რეკლამა უშუალოდ ტელევიზიით საბავშვო ტელეარხის ტრანსლირების წინ გადაიციმა. ინტერნეტში კი განლაგებულია სპეციალურ საბავშვო საიტებზე (ფოტო 2, 3). პრაქტიკულად ყველა ფილმის დემონსტრირებას თან ახლავს აზარტული თამაშის რეკლამა. მეორე ფოტოზე ჩანს, რომ საბავშვო ფილმების გვერდზე განთავსებულია აზარტული თამაშების ორი კომპანიის ტიხარი, რომელთაგან ერთი ახდენს სანტა ლენდის ჩვენებას, ხოლო მეორე კი 30 მილიონი უფასო სპინის რეკლამას. მესამე ფოტო ასევე საბავშვო ფილმების საიტს წარმოადგენს, სარეკლამო ბანერი კი ყოველ დღიურად 50 უფასო სპინს პირდება მომხმარებელს. მეოთხე ფოტოზე ასევე საბავშვო ფილმების საიტზე განთავსებული აზარტული თამაშების რეკლამა აპელირებას სპორტზე ახდენს და ყოველდღიურად 100 ლარის საჩუქარს პირდება.

მომხმარებელს. როგორც ვხედავთ, რეკლამის ეს მაგალითები უშუალოდ ბავშვებზე მიმართულად ჩაითვლება, რამდენიმე ძლიერი ზეგავლენის მქონე ელემენტს შეიცავს, რომელიც ახალგაზრდებზე ეფექტურად მოქმედებს და როგორც წესი, სხვა ქვეყნებში მიიჩნევა აკრძალულად რეკლამაში გამოყენებისათვის. პრაქტიკულად საქართველოში 10 წელზე მეტია მიმდინარეობდა აზარტული თამაშების სარეკლამო კომპანია, რომელიც არსებითად არასრულწლოვანებზე იყო მიმართული, რადგან მედიაში, ქუჩებში, სკოლების მახლობლად, ავტობუსებზე განთავსებული იყო ბავშვებისთვის მიმზიდველი შინაარსის მქონე მასალები.



ფოტო #4. საბავშვო ფილმების საიტი

ამდენად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკმაოდ მაღალია ახალგაზრდებში პრობლემური და პათოლოგიური გემბლინგის ჩამოყალიბებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კიდევ ახალგაზრდების უფასო დახმარება ამ დამოკიდებულებისგან განსათავისუფლებლად რამდენიმე წლის განმავლობაში.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, აზარტული თამაშების სატელევიზიო და ინტერნეტ რეკლამა საქართველოში მიმართულია პირდაპირ არასრულწლოვანებზე, სარეკლამო ტექსტები აზარტული თამაშების მხოლოდ დადებით შედეგებს მიუთითებს, ქმნის ილუზიას ადვილი მოგების შესახებ, როდესაც

მოგებას მცირე ალბათობა აქვს, საერთოდ არ აფრთხილებს შესაძლო რისკის შესახებ. პრაქტიკულად არცერთი ადამიანის უფლებების დამცველი, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია არ გამოხატავს აქტიურ პროტესტს, რომ საბავშვო გადაცემების დროსაც კი გადაიცივებ აზარტული თამაშების რეკლამა. მედიაში არ ხდება იმ ფაქტების გაშუქება, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსი თითქმის ყოველ წუთში ირღვეოდა და ირღვევა დღესაც ტელეარხების უმეტესობის მიერ. ყოველივე ეს მეტყველებს, რომ საქართველოში აზარტული თამაშების რეკლამის რეკლამის შეზღუდვის მონინააღმდეგეთა ძალები საკმაოდ სერიოზულია და მუწყებლების, აზარტული ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის ნაწილის ზენლოით რეკლამის შეზღუდვა მედია სივრცეში პრაქტიკულად არ ხდება, კანონი შეიძლება შეიცვალოს და ვერც ამოქმედდეს 2022 წლის მარტიდან, ისევე როგორც ეს უკვე მოხდა მუწყებლობის კანონთან დაკავშირებით 2005-2009 წლებში.

ამდენად, აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვა სასწრაფოა დღის საათებში, მითუმეტეს, რომ კანონი ითვალისწინებს შესაბამის ზომებს, ამისათვის აღმასრულებელი ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს ინტერნეტისა და ტელეეთერის მონიტორინგი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბავშვის უფლებათა კოდექსი., 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>
- გურგენიძე, ც. (2019). საზიფათო აზარტული თამაშები და მოზარდები. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/29882182.html>
- კანონი მუწყებლობის შესახებ. 2003., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=62>
- კონსტიტუციური სარჩელი N1537. “მზს მთავარი არხი”, “მზს ტელეკომპანია პირველი”, “მზს ტელეკომპანია კავკასია”, “მზს ფორმულა”, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევიდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10119>
- კვლევის შედეგები, 2021. <http://www.tvmr.ge/ka>
- კოალიციის 2021 წლის 4 დეკემბრის განცხადება <http://mediacoalition.ge/ge/a/48686246>
- მაწვე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ., 2001 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15652?publication=5>
- ყიფიანი გ. ზნეობრივი სტანდარტები და სატელევიზიო მედიის რეგულირების პრიორიტეტები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. ამერიკის შესწავლის საკითხები, VIII, 2021, გვ.: 355-362 / Journal of American Studies, VIII, 2021, p.: 355-362
- წულაია გ. 2019., აზარტული თამაშები ქვეყნის ეკონომიკას საფრთხეს უქმნის. რეზონანსი, 18.09.2019, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=79050.
- Andrie, E. K., Tzavara, C. K., Tzavela, E., Richardson, C., Greydanus, D., Tsolia, M., & Tsitsika, A. K. (2019). Gambling involvement and problem gambling correlates among European adolescents: Results from the European network for addictive behavior study. *Social Psychiatry and Psychiatric Epidemiology*, 54(11), 1429–1441. <https://doi.org/10.1007/s00127-019-01706-w>
- Critchlow N., Stead, M., Moodie, C., Purves, R., Newall, P., Reith, G., Angus, K., Morgan, A. and Dobbie, F. (2019). The Effect of Gambling Marketing and Advertising on Children, Young People and Vulnerable People Report 1. 115p., <https://stir.app.box.com/s/1bbrq4bh9gozi3yv748y8ha44dhoobe4>
- Final Synthesis Report: The Effect of Gambling Marketing and Advertising on Children, Young People and Vulnerable Adults. Written by Ipsos MORI on behalf of GambleAware. (2020). 98p. https://about.gambleaware.org/media/2160/the-effect-of-gambling-marketing-and-advertising-synthesis-report_final.pdf.
- Evidence., 2022, Coalition Against Gambling Ads, https://caga.uk/evidence?fbclid=IwAR1_S6v_FvFZCOxaL6yviG1w-JMK3VqU6ZkpdATCSSDG6Cgb1qdb9MSreByk
- ESPAD Report 2019 — Results from the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs. 2020, https://www.emcdda.europa.eu/publications/joint-publications/espac-report-2019_en
- Macgregor, A., Biggs, H. and Shields, J. (2019). The Effect of Gambling Marketing and Advertising on Children, Young People and Vulnerable People Qualitative Research Report. <https://about.gambleaware.org/media/2159/the-ef>

fect-of-gambling-marketing-and-advertising_quals-report.pdf

Macgregor, A., Elliott, C. and Shields, J. (2020). The Effect of Marketing and Advertising on Children, Young people and Vulnerable People: Quantitative Research Report. <https://about.gambleaware.org/media/2161/the-effect-of-gambling-marketing-and-advert>

Molinaro, S., Canale, N., Vieno, A., Lenzi, M., Siciliano, V., Gori, M., & Santinello, M. (2014). Country-and individual-level determinants of probable problematic gambling in adolescence: A multi-level cross-national comparison. *Addiction*, 109(12), 2089–2097. <https://doi.org/10.1111/add.12719>

Regulus partners, 2019, Gambling and advertising: an international study of regulatory intervention. 34 p. <https://zoek.officielebekendmakingen.nl/blg-910252.pdf>

Report on Problem Gambling Services SFY 2017-18 <https://casinocontrol.ohio.gov/Portals/0/VEP/Oct2017%20Problem%20Gambling%20Annual%20Update%20and%20Survey%20Highlights.pdf>

Valentine G. (2016) Children and Young People’s Gambling: Research Review. The Responsible Gambling Trust, London. <https://about.gambleaware.org/media/1274/1-june-update-children-young-people-literature-review.pdf>.ising_quants-report.pdf

Wardle, H. (2019). Perceptions, people and place: Findings from a rapid review of qualitative research on youth gambling. *Addictive Behaviors*, 90, pp.99–106. <https://doi.org/10.1016/j.addbeh.2018.10.008>

ლიდერობის როლური დიფერენციაცია და აკადემიური მოსწრება

თინათინ კროკაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი
ცენტრის მთავარი მეცნიერი

მაკა ქოროლიძე
ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა
მომზადების სკოლის ფსიქოლოგი

ელინა შავდათუაშვილი
ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო
ბატალიონის ფსიქოლოგი

აბსტრაქტი

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც „იუნკერებად“ წოდებული სტუდენტები და მსმენელები, სამხედრო წვრთნის პარალელურად, იღებენ ნატოს სტანდარტების შესაბამის უმაღლეს სამხედრო და აკადემიურ განათლებას. ოფიცრად აღზრდის პროცესში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმა ერთ-ერთი მძლავრი იარაღია მათი ლიდერად ჩამოყალიბების საქმეში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონსა და აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლაში ჩატარებული სოციომეტრული კვლევა. კვლევის მიზანი იყო მცირე ჯგუფებში ლიდერობის როლური დიფერენციის დადგენა და მისი კავშირი იუნკერთა/ მსმენელთა აკადემიურ მოსწრებასთან.

კვლევის ჰიპოთეზა იყო აკადემიური მოსწრების, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორის, კავშირი ლიდერობის და აუტსაიდერობის შესაბამის ტიპებთან, თუმცა, ამ ეტაპზე კვლევებმა ყველა შემთხვევაში არ დაადასტურა დადებითი კორელაცია არსებულ ცვლადებს შორის.

სწორედ ამ არგუმენტით, გამოვლინდა კვლევის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაიწერა რეკომენდაციები სამომავლო ლონგიტუდური კვლევებისადმი, რაც უფრო სანდო შედეგების მიღების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ჯგუფი, სოციომეტრია, ლიდერობა, აუტსაიდერი, აკადემიური მოსწრება.

Leadership role differentiation and academic achievement

Tinatin Kropadze

Doctor of Social Sciences,
Chief Scientist of the Scientific Research Center of the National Defense Academy

Maka Koroghlishvili

Psychologist of the Junior Officers Training School of the
National Defense Academy

Elina Shavdatuashvili

Junkers training batalion psychologist of the
National Defense Academy

Abstract

The Georgian National Defense Academy is a higher education institution where students called “junkers” and “Junior officer candidates” receive higher military and academic education in accordance with NATO standards in parallel with military training. In the process of officer training, the combination of theoretical and practical knowledge is one of the most powerful tools in establishing them as leaders.

This paper discusses a sociometric study conducted in small groups on the basis of the junkers’ training battalion of the Georgian National Defense Academy and the junior officer training schools of the academy. The aim of the study was to determine the role differentiation of leadership in small groups and its relationship with junkers’ academic achievement.

The research hypothesis was that correlation between academic achievement as one of the defining factors with the corresponding types of leadership and outsidering, however, at this stage studies have not in all cases confirmed a positive correlation between the existing variables.

It was with this argument that the pros and cons of the study were identified and recommendations were made for future longitudinal studies, allowing for more reliable results.

Keywords: Group, sociometry, leadership, outsider, academic achievement

შენახვა

პიროვნების სამხედრო ოფიცრად ჩამოყალიბების პროცესს უწყვეტ ხაზად მისდევს ლიდერობის უნარების აღმოჩენის, განვითარების და განმტკიცების ეტაპები. ლიდერობის მრავალი განსაზღვრება არსებობს, თუმცა მისი ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს: ლიდერობა არის „დასახულ მიზანთა მიღწევის მიმართულებით ცალკეულ პირებზე ან ჯგუფზე ზემოქმედების პროცესი“ [3;156]. ეს ჯგუფები ხშირ შემთხვევაში მცირე და ფორმალური ტიპისაა და ამასთან, კონკურენტულიც, რადგან თითოეული ახალგაზრდისაგან ლიდერული უნარების გამოვლენას გულისხმობს.

სამხედრო ოფიცრის, მეთაურ-ლიდერის პროფესია მეტად რთული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო პროცესია. „იგი ქვეყანასა და სისტემაში მიმდინარე გამონვევების წინაშე მუდმივად დგას. ოფიცრის მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებს შორის არის: განათლების მიღება (როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო), პრაქტიკული გამოცდილების შექმნა, აზროვნების და მუშაობის სტილი, რომელიც ნატოს სტანდარტებთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან უნდა იყოს შესაბამისობაში. ამიტომ, ლიდერი-მეთაურის პიროვნული მახასიათებლებს, მისი უნარების და შესაძლებლობის შეფასება მის ზრდა-განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი პროცესია“. [2;23-24]

ჯგუფური პროცესების სხვადასხვა ასპექტები, მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანის გადაჭრისა და შინაგანი ინტეგრაციის სფეროს მიხედვით, ორი ტიპის ლიდერის: ინსტრუმენტალური (ე.წ. საქმიანი) და ექსპრესიული (ე.წ. ემოციური) ლიდერების, ჯგუფის რიგითი და აუტსაიდერი წევრების გამოვლენის საშუალებას იძლევა [6;318]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამხედრო ლიდერი უამრავი გამონვევის წინაშე დგას. მათ შორის არის საკუთარი ქვედანაყოფის ქცევის განსაზღვრა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამონვევა ლიდერისათვის არის შევრული ჯგუფის შექმნა“ [2;50]. შევრული ჯგუფი თავისთავად მოიაზრებს ჯგუფში უგულვებელყოფილი, გარიყული, ე.წ. აუტსაიდერი ჯგუფის წევრის შემჩნევას, გამოვლენას და მის ინტეგრირებას ჯგუფში.

როგორც მცირე ჯგუფების შესწავლის თეორიული მასალიდან ირკვევა „ჯგუფში პიროვნებათაშორისი ურთიერთობა შეადგენს იმ პირველად სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, რომლის მახასიათებლები ხშირად განსაზღვრავს არა მხოლოდ ჯგუფის მთლიან მახასიათებლებს, არამედ ცალკეული ინდივიდის სტატუსს“ [5;17]

თანამედროვე მკვლევართა ყურადღებას სულ უფრო და უფრო იპყრობს ლიდერული უნარების კვლევა სტუდენტებს შორის, რადგან სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფებში იკვეთება ის „ლიდერული თვისებები“, როგორც ჯგუფური და ინდივიდუალური ფაქტორების გამაერთიანებელი კომპლექსური სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს ერთობლივი მიზნების წარმატებით მიღწევას. ნათელია, რომ ჯგუფის მოქმედების ეფექტურობა გაუმჯობესდება, თუ ხელმძღვანელი დაჯილდოებულია ლიდერული თვისებებით“ [1;395].

ჩატარებული კვლევა

სოციომეტრული მეთოდის სამიზნე ობიექტად მიჩნეულია მცირე სოციალური ჯგუფები, რომელთაც აქვთ ერთობლივი ჯგუფური ცხოვრების საკმაო გამოცდილება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საბაკალავრო სკოლასა და უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლაში 2021 წლის 4 მარტს მსმენელებთან და 21 აპრილს საბაკალავრო სკოლის მესამე კურსის იუნკერებთან ჩატარდა სოციომეტრული კვლევა. მონაწილეობა მიიღო III კურსის 59-მა იუნკერმა (მათ შორის 55 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის), ასაკობრივი ჯგუფი - 21-24 წელი. რაც შეეხება მსმენელებს, მონაწილეობა მიიღო 45-მა მსმენელმა (მათ შორის - 40 მამრობითი სქესის და 5 მდედრობითი სქესის), ასაკობრივი ჯგუფი - 21-32 წელი.

კვლევის მიზანი: წინამდებარე კვლევები შეისწავლის ჯგუფში ინტერპერსონალურ და სოციალურ ურთიერთობებს, ჯგუფებში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატს და კომუნიკაციის სფეროს. კვლევის შედეგად ჯგუფში იკვეთება ლიდერი და აუტსაიდერი პირები. ვიღებთ ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ (დადებითად თუ უარყოფითად) აისახება მსმენელზე მოცემული სიტუაცია, რაც შეიძლება ხელის შემშლელი იყოს ლიდერად ჩამოყალიბებისთვის ან გახდეს აკადემიის დატოვების მიზეზი. ამდენად, კვლევას გააჩნია შემდეგი მიზნები:

- იუნკერებს/მსმენელებს შორის ლიდერებისა და არალიდერების გამოვლენა;
- ჯგუფში ინტერპერსონალური ურთიერთობების და კომუნიკაციის სფეროს შესწავლა;
- კვლევის მიღებული მონაცემების (ლიდერული პოზიციები) შედარება იუნკერთა/მსმენელთა მიერ დაკავებულ 2020-2021 წლის წინა სემესტრულ აკადემიურ მაჩვენებლებთან და მათ რეიტინგებთან.
- საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მისი სტრუქტურული

ცვლილება;

- ლიდერად ჩამოყალიბებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორების დადგენა.

კვლევის ჰიპოთეზა: იუნკერის აკადემიური მოსწრება ლიდერობის და აუტსაიდერობის შესაბამისი ტიპების პრედიქტორს წარმოადგენს.

კვლევის ინსტრუმენტი: კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა სოციომეტრიის ფუძემდებლის იაკობ მორენოს სოციომეტრული მეთოდი. ლიდერობის შეფასება ხდებოდა რანჟირების მეშვეობით. კერძოდ კი, მსმენელებს მიენოდათ სიტუაციური ტესტი, სადაც გამოტოვებულ ადგილზე უნდა ჩაენერათ მათი კურსიდან სასურველი ადამიანის სახელი და გვარი.

მსმენელებთან გამოყოფილი ურთიერთობები:

- **უპირობო ლიდერი** - რომელსაც ყოველთვის პირველ ადგილას დააყენებს და ყველა სიტუაციაში აირჩევს მას.
- **ფიზიკური ლიდერი** - რომელიც მისთვის წარმოდგენილია, როგორც ფიზიკურად ძლიერი ადამიანი. (ვისთან ერთად განახორციელებს ფიზიკურ დავალებებს, მაგალითად, საველე დავალებას ვისთან ერთად აირჩევდა).
- **ინტელექტუალური ლიდერი** - რომლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. (იგულისხმება ვისთან ერთად შეასრულებს ინტელექტუალურ დავალებებს.)
- **ემოციური ლიდერი** - რომელთანაც ყველაზე მეტ დროს გაატარებდა და უფრო კომფორტულად იგრძნობდა თავს. (ყველაზე მეტად ვისთან არის ჯგუფში ემოციურად მიჯაჭვული).

რაც შეეხება იუნკერებს, კვლევის ინსტრუმენტი იყო სიტუაციური ტესტი, სადაც იუნკერს უნდა გაეცა პასუხი 2 კითხვაზე, სადაც უნდა დაესახელებინა მისი კურსიდან (სასწავლო ჯგუფიდან) მისთვის სასურველი 3 იუნკერის სახელი და გვარი:

1. „**მნიშვნელოვანი დავალების შესრულების დროს, ვის აირჩევდი პარტნიორად** (ე. ი. ჯგუფის რომელ წევრს დააყენებდი პირველ ადგილზე, როგორც პარტნიორს, რომელს - მეორეზე რომელს, რომელს - მესამეზე)“?
2. „**ვისთან ისურვებდი მეგობრობას** (ე. ი. ჯგუფის რომელ წევრს დააყენებდი პირველ ადგილზე, როგორც მეგობარს, რომელს - მეორეზე და რომელს - მესამეზე)“?

გამოკითხვა ორივე შემთხვევაში ატარებდა მკაცრად ანონიმურ ხასიათს.

კვლევის შედეგები: კვლევის მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა IBM-SPSS-vol23. განისაზღვრა ცვლადების სიხშირეები და მათ შორის არსებული კორელაცია.

უპირობო ლიდერი

1. დ.ბ. (მაღალი აკად.მოსწ).
2. გ.გ. (საშუალო აკად.მოსწ).
3. თ.მ. (მაღალი აკად.მოსწ).
4. თ.დ. (მაღალი აკად.მოსწ).

ინტელექტუალური ლიდერი

1. გ.ს. (მაღალი აკად.მოსწ).
2. თ.მ. (მაღალი აკად.მოსწ).
3. თ.დ. (მაღალი აკად.მოსწ).

ფიზიკური ლიდერი

1. გ.კ. (საშუალო აკად.მოსწ).
2. დ.ბ. (მაღალი აკად.მოსწ).
3. ა.ს. (მაღალი აკად.მოსწ).
4. თ.დ. (მაღალი აკად.მოსწ).
5. გ.ჩ. (მაღალი აკად.მოსწ).

ემოციური ლიდერი

1. თ.დ. (მაღალი აკად.მოსწ).

მსმენელებს, რომლებსაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება, ისინი ლიდერების კატეგორიაში მოხვდნენ, თუმცა სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა ამ ორ ცვლადს შორის. ჩვენი კვლევა, რომ გახდეს უფრო სანდო, სასურველია, რომ ყოველ წელს დინამიკაში მოხდეს შედეგების შედარება. თუ მიღებული შედეგები შეესაბამება წინა წლის შედეგებს, მაშინ ამ ორ ცვლადს შორის კავშირი შეიძლება იყოს მყარი და სანდო.

აუტსაიდერები

1. მ.ბ. (საშუალოზე დაბალი აკად.მოსწ).
2. მ.ბ. (დაბალი აკად.მოსწ).
3. გ.ქ. (მაღალი აკად.მოსწ).
4. ს.მ. (საშუალო აკად.მოსწ).
5. დ.ფ. (დაბალი აკად.მოსწ).
6. გ.მ. (საშუალოზე დაბალი აკად.მოსწ).

აუტსაიდერებში მაღალი, საშუალო, საშუალოზე დაბალი და დაბალი აკადემიური მოსწრების მსმენელები მოხვდნენ. აუტსაიდერებსა და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მსმენელებთან კორელაცია არ დადგინდა, რადგან აქაც დინამიკაში უნდა მოხდეს ყოველ წელს შედეგების შედარება. ასევე ამ კატეგორიაში ყველა აკადემიური მოსწრების მსმენელები მოხვდნენ რაც უკვე არავალიდურია ის, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მსმენელი აუცილებლად აუტსაიდერის კატეგორიაში მოხვდება.

Correlations

| | | უპირობო ლიდერი | აკადემიური მოსწრება |
|---------------------|---------------------|----------------|---------------------|
| უპირობო ლიდერი | Pearson Correlation | 1 | -104 |
| | Sig. (2-tailed) | | 807 |
| | N | 8 | 8 |
| აკადემიური მოსწრება | Pearson Correlation | -104 | 1 |
| | Sig. (2-tailed) | 807 | |
| | N | 8 | 13 |

სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა უპირობო ლიდერსა და აკადემიურ მოსწრებას შორის.

Correlations

| | | ფიზიკური ლიდერი | აკადემიური მოსწრება |
|---------------------|---------------------|-----------------|---------------------|
| ფიზიკური ლიდერი | Pearson Correlation | 1 | .a |
| | Sig. (2-tailed) | | 0 |
| | N | 3 | 3 |
| აკადემიური მოსწრება | Pearson Correlation | .a | 1 |
| | Sig. (2-tailed) | 0 | |
| | N | 3 | 13 |

a. Cannot be computed because at least one of the variables is constant.

სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა ფიზიკურ ლიდერსა და მათ აკადემიურ მოსწრებას შორის.

Correlations

| | | ემოციური ლიდერი | აკადემიური მოსწრება |
|---------------------|---------------------|-----------------|---------------------|
| ემოციური ლიდერი | Pearson Correlation | .a | .a |
| | Sig. (2-tailed) | | . |
| | N | 1 | 1 |
| აკადემიური მოსწრება | Pearson Correlation | .a | 1 |
| | Sig. (2-tailed) | . | |
| | N | 1 | 13 |

a. Cannot be computed because at least one of the variables is constant.

სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა ინტელექტუალურ ლიდერსა და მათ აკადემიურ მოსწრებას შორის.

Correlations

| | | ინტელექტუალური ლიდერი | აკადემიური მოსწრება |
|-----------------------|---------------------|-----------------------|---------------------|
| ინტელექტუალური ლიდერი | Pearson Correlation | .a | .a |
| | Sig. (2-tailed) | | . |
| | N | 1 | 1 |
| აკადემიური მოსწრება | Pearson Correlation | .a | 1 |
| | Sig. (2-tailed) | . | |
| | N | 1 | 13 |

a. Cannot be computed because at least one of the variables is constant.

სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა ემოციურ ლიდერსა და აკადემიურ მოსწრებას შორის.

Correlations

| | აუტსაიდერი | აკადემიური მოსწრება |
|----------------------------|---------------------|---------------------|
| აუტსაიდერი | Pearson Correlation | .a |
| | Sig. (2-tailed) | . |
| | N | 5 |
| აკადემიური მოსწრება | Pearson Correlation | .a |
| | Sig. (2-tailed) | . |
| | N | 5 |

a. Cannot be computed because at least one of the variables is constant.

სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა აუტსაიდერსა და აკადემიურ მოსწრებას შორის.

კვლევის შედეგების ანალიზი

(საბაკალავრო სკოლის III კურსი)

კურსის თითოეული იუნკერი დასახელებული იქნა ლიდერობის ერთ-ერთ სფეროში ერთხელ მაინც. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ სფეროს, სადაც იუნკერი ერთხელაც კი არ დაასახელეს. ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია მათთვის, რათა ლიდერობის მიმართულებით ამ უნარების გავარჯიშება და სწავლა კარგად წაადგება მათ სამომავლო თანამშრომლურ ურთიერთობებში. ყველა იუნკერი, ვინც პირველ 3 ადგილზე, არ დასახელდა არც ლიდერად და არც აუტსაიდერების სიაში მოხვდა, ენიჭება ე.წ. **რიგითის** სტატუსი.

| | |
|---|----------------------------|
| ინსტრუმენტული სფერო (ლიდერი) | აკადემიური მოსწრება |
| I. დ. გ. | საშუალო |
| II. ა. ა. | საშუალო |
| ემოციური სფერო (ლიდერი) | აკადემიური მოსწრება |
| I. გ. ყ. | საშუალო |
| II დ. გ. | საშუალო |
| III თ. უ. | საშუალო |
| ინსტრუმენტული სფერო (აუტსაიდერი) | აკადემიური მოსწრება |
| 1. თ. ს. | საშუალო |
| 2. ნ. უ. | საშუალო |
| 3. პ. ტ. | საშუალო |
| 4. ც. ქ. | საშუალო |
| ემოციური სფერო (აუტსაიდერი) | აკადემიური მოსწრება |
| 1. ბ. ე. | მაღალი |
| 2. ვ. თ. | მაღალი |
| 3. ნ. დ. | საშუალო |
| 4. გ. თ. | დაბალი |
| 5. რ. შ. | დაბალი |
| 6. დ. ს. | დაბალი |
| 7. დ. ფ. | დაბალი |
| 8. ა. რ. | დაბალი |

იუნკერთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, ლიდერები საქმიან სფეროში აირჩევიან მათი აკადემიური უნარების გათვალისწინებით, რასაც ვერ ვიტყვით ემოციურ სფეროზე.

თავდაცვის ძალებში ოფიცერი-მეთაურების წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილება ქალების მზარდი რაოდენობა ჯარში. „ეს თავის მხრივ წარმოშობს ქალების წინაშე გამოწვევას, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ლიდერული პოზიცია უჭირავს ან ამის სურვილი გააჩნია“[2;50]. ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენი კვლევის შედეგებიც, სადაც რამოდენიმე წლის მონაცემების გათვალისწინებით და ახლანდელი შედეგებითაც ჩანს, რომ გოგონები, მათი აკადემიური უნარების მიუხედავად, ისევ ხვდებიან აუტსაიდერების კატეგორიაში.

რეკომენდაციები და დაგეგმილი ღონისძიებები. აუტსაიდერი იუნკერების და მსმენელების გამოყოფის შემდგომ, მნიშვნელოვანია მათი თვითშეფასების საკითხზე მუშაობა. ამასთან, ყოველი განმეორებითი კვლევა და შედეგების შედარება ჩვენი მიდგომის სისწორის დადგენის საშუალებას მოგვცემს.

მეთაურების და ხელმძღვანელი რგოლის მხრიდან, მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სასურველია მათი, არალიდერების მაქსიმალური ჩართულობა და ლიდერისა და არალიდერის ურთიერთობების გახშირება სხვადასხვა საქმიანობაში, არალიდერების გუნდური მუშაობა, ქცევის უკეთესობისაკენ შეცვლის შემთხვევაში კი, მათი ნახალისება.

შეჯამება

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა ლიდერობის რამდენიმე ასპექტი: იუნკერთა შორის ლიდერობის როლური დიფერენცია გარკვეული კანონზომიერებით მუდმივად იკვეთება. ამასთან, აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, **ლიდერები საქმიან სფეროში აირჩევიან მათი აკადემიური უნარების გათვალისწინებით, რასაც ვერ ვიტყვით ემოციურ სფეროზე.**

რაც შეეხება აუტსაიდერობას, რამდენიმე წლის მონაცემების გათვალისწინებით და ახლანდელი შედეგებითაც ჩანს, **რომ გოგონები ისევ ხვდებიან ამ კატეგორიაში, მათი აკადემიური უნარების მიუხედავად.**

მსმენელებს, რომლებსაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება, ლიდერების კატეგორიაში მოხვდნენ, თუმცა სტატისტიკურად კორელაცია არ დადგინდა ამ ორ ცვლადს შორის. აუტსაიდერებში მაღალი, საშუალო, საშუალოზე დაბალი და დაბალი აკადემიური მოსწრების მსმენელები მოხვდნენ. აუტსაიდერებსა და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მსმენელებთან კორელაცია არ დადგინდა.

დასკვნა/რეკომენდაცია

იმისათვის რომ, კვლევა გახდეს ვალიდური, იგეგმება განმეორებითი კვლევა საკვლევი ჯგუფების და კითხვარის შეუცვლელად და მოხდება შედეგების შედარება. თუ მიღებული შედეგები შეესაბამება წინა წლის შედეგებს, მაშინ ამ ორ ცვლადს შორის კავშირი შეიძლება იყოს მყარი და სანდო.

რაც შეეხება საკვლევი ჯგუფების ერთმანეთთან შედარებას, ვერ მოხერხდა, რადგან მათი ასაკობრივი ზღვარი განსხვავებულია, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შედეგებზე, და ასევე განსხვავდება გამოყენებული კითხვარები.

შესაძლო კვლევები: იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრებისა და სოციომეტრული მეთოდით ლონგიტუდური კვლევების ჩატარება შესაძლებლობას მოგვცემს მეტად სანდო კვლევების შედეგების მიღებისათვის, შედარების საფუძველზე;

ამასთან, პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი იქნება იუნკერთა სოციომეტრული კვლევის შედეგების შედარება ემოციური ინტელექტის მაჩვენებლებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

ადეიშვილი თ., ლიდერობის როლური დიფერენციაცია და ემოციური ინტელექტი, შრომები XVIII, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018-2019;

კროპაძე თ., გელაშვილი გ., მონოგრაფია, იუნკერის წარმატებულ მეთაურად ჩამოყალიბების პროცესზე მოქმედი ფსიქო-სოციალური მახასიათებლები (საქართველოს თავდაცვის ძალების მაგალითზე), თბილისი, 2019;

ჩარკვიანი დ., ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბ., 2001;

Military Psychology, Volume 4., SAGE, 2012.

Собчик Л., Н., Психология индивидуальности, Теория и практика психодиагностики. Санкт-Петербург, 2005;

КРИЧЕВСКИЙ, 2007 – Кричевский Роберт Львович. Психология лидерства. Учебное пособие. Москва, 2007;

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6879>

ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია და ფსიქოლოგიის როლი: გამოწვევები და პერსპექტივები

წელი მერაბიშვილი ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ალმა უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პროფესიული ორიენტაცია მნიშვნელოვანია თანამედროვე საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე. ახალგაზრდებისთვის გამოწვევას წარმოადგენს კონკრეტული უნარების დაუფლება და განათლების მიღება, რადგანაც მათ უწევთ კარიერულ გზაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება - პროფესიის შერჩევა. პროფესიული ორიენტაცია საკმაოდ რთულ საკითხია საქართველოშიც. ახალგაზრდების მიერ პროფესიის შერჩევა სხვათა ზემოქმედებით ან შემთხვევითობით ხდება, რაც შედეგში ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ დასაქმებაზე. 20-24 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 38.3%-ის, ხოლო 25-29 წლის ახალგაზრდებში 23.2% არ მუშაობს. პროფესიული ორიენტაცია გულისხმობს ახალგაზრდებისთვის კარიერულ რჩევასა და ხელმძღვანელობას. მასში გაერთიანებულია რამდენიმე დისციპლინა, ერთ-ერთი მთავარი როლი კი ფსიქოლოგს აკისრია. ახალგაზრდებმა ფსიქოლოგების დახმარებით უნდა გამოიკვლიოს საკუთარი ინდივიდუალური განვითარების დონე; განსაზღვროს უნარები და მიიღოს ინფორმაცია შესაძლებლობების, საჭიროებების, ღირებულებებისა და ცოდნის შესახებ. ფსიქოლოგი კარიერული არჩევანის წინაშე მდგომ ახალგაზრდას ემოციური მხარდაჭერას უცხადებს კარიერული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, კარიერული გეგმებისა და მიზნების დასახვაში. ნაშრომში მოყვანილია კვლევის შედეგები, ამჟამინდელი გამოწვევები და აღწერილია სამომავლო პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, ახალგაზრდების კარიერული დაგეგმარება, ფსიქოლოგი.

Youth Professional Orientation and the Role of the Psychologist: Challenges and Perspectives

Neli Merabishvili
Doctor of Psychology, Associate Professor
Alte University

Abstract

Professional orientation is important in the modern educational and labor market. For young people, acquiring specific skills and getting an education is a challenge, because they have to make an important decision on their career, such as choosing a profession. Professional orientation is a rather difficult issue in Georgia. The profession is chosen by young people under the influence of others, which subsequently has a negative impact on their employment. The unemployment rate for young people aged 20-24 is 38.3%, while for young people aged 25-29 23.2% do not work. Professional orientation involves career guidance and consultation for young people. It combines several disciplines, one of the main roles of which is played by a psychologist. Young people with the help of psychologists should examine their own level of individual development; identify skills and receive information about opportunities, needs, values and knowledge. The psychologist provides emotional support to the young person facing a career problem in the process of career choice, setting career plans and goals. The paper presents the results of the research, current challenges and describes future perspectives.

Keywords: Professional orientation, youth career planning, psychologist.

შენახვა

ადრეულ წლებთან შედარებით, დღეს დასაქმებულთა მიმართ უფრო მეტი მოთხოვნები არსებობს. გარდა ცოდნისა, აუცილებელია, სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების ფლობა სამუშაოს კარგად შესრულებისთვის. კონკრეტული უნარების დაუფლება და განათლების მიღება ახალგაზრდებისთვის პრობლემებსა და გამოწვევებს უკავშირდება, რადგანაც მათ უნევთ კარიერულ გზაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება - პროფესიის შერჩევა. ახალგაზრდებისთვის პროფესიული ორიენტაცია საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს. დღეს, სწრაფად ცვლად და კომპიუტერული ტექნოლოგიების სამყაროში რთულია განჭვრიტო, თუ რომელი პროფესია და საქმიანობა იქნება მოთხოვნადი და ანაზღაურებადი მომავალში.

ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია და დასაქმება მთელს მსოფლიოში გამოწვევად რჩება. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. დღევანდელ რეალობაში ახალგაზრდების ცნობიერება კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ დაბალია, პროფესიის შერჩევა ხშირად ხდება გარე გემოქმედების შედეგად (მშობელი, ტრენდული პროფესია, გარემოცვა, გარე გაქტორები, ა.შ.), აღნიშნულ პროცესში საერთოდ არ მონაწილეობს შესაბამისი სტრუქტურა და დარგის არც ერთი სპეციალისტი (მერაბიშვილი, რატომ უნდა ინტეგრირდეს რატომ უნდა ინტეგრირდეს და კარიერის მართვა ზოგადი განათლების სისტემაში? 2021). სწორედ ამიტომაც ნაშრომში შესწავლილია საქართველოში ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის პროცესი, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები, აგრეთვე, აღწერილია ფსიქოლოგის როლი პროფესიული ორიენტაციის პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული საკითხის შესასწავლად, შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი. კერძოდ, კვლევა განხორციელდა სამ ეტაპად. I. თავდაპირველად ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა არსებული საკანონმდებლო ბაზები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტები, ახალგაზრდობის სააგენტოს სამოქმედო გეგმა, ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი და არსებული გამოწვევები, საერთაშორისო გამოცდილება და პროფესიული ორიენტაციის პროცესში ფსიქოლოგის როლი. II. კვლევის ფარგლებში, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები პირველად წყაროებთან – დარგის ექსპერტებთან, III. ინტერვიუები აგრეთვე ჩატარდა 18-24 წლის ახალგაზრდებთან.

პროფესიული ორიენტაცია - არსებული გამოწვევები

პროფესიული ორიენტაცია ახალგაზრდების დასაქმებისა და პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროფესიული ორიენტაციის და კარიერული რჩევის შედეგად, ადამიანი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას პროფესიისა და განათლების შესახებ (Institute of Entrepreneurship Development 2018). პროფესიული ორიენტაცია არ არსებობს კარიერული რჩევის გარეშე, რომლის მიზანია კარიერული შესწავლა და განვითარება, რაც მოიცავს ახალგაზრდის ინფორმირებას, სწავლებას, შეფასებას, პროფესიულ ორიენტაციაში დახმარებას (OECD (Organization for Economic Co-Operation and Development) 2004).

პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერული დახმარების მიღება ყველა ახალგაზრდის უფლებაა. მათ უნდა გააჩნდეთ საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობებისა და უნარების შესაფერისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის და სამომავლო კარიერის განსაზღვრის შესაძლებლობა. პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ახალგაზრდამ უნდა მიიღოს ორი მნიშვნელოვანი კარიერული დახმარება, ესაა:

1. კარიერული განათლება - ახალგაზრდები ახდენენ საკუთარი უნარების შეფასებას, სწავლობენ შრომის ბაზარს, მოთხოვნად პროფესიებს, პროფესიების მიხედვით ეცნობიან სამუშაო სპეციფიკას, ადგილზე ესწრებიან მუშაობას, გადიან სამუშაო პრაქტიკას, ა.შ.
2. ინდივიდუალური კარიერული რჩევა - ახალგაზრდა ინდივიდუალურად ხვდება დარგის სპეციალისტებს, რათა მიიღოს რჩევა საკუთარი უნარებისა და შეძლებლობების შესაბამისად.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად სახელმწიფოს, კერძოდ კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მცდელობებისა, ახალგაზრდები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დახმარების მიღება რჩებიან. აბიტურიენტების უმეტესობას არ მიუღია შესაბამისი ცოდნა თუ ინფორმაცია სკოლაში სწავლის დროს, რაც ფორმალურად სასკოლო საგანშია „სამოქალაქო

განათლება“ გათვალისწინებული. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული რჩევის პროცესში არც სკოლის ფსიქოლოგია ჩართული, რომელიც პროფესიული ორიენტაციის პროცესის მნიშვნელოვანი რგოლია (მერაბიშვილი 2021).

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ახალგაზრდობის სააგენტომ განსაზღვრა სააგენტოს სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები, სადაც ნახსენებია, რომ უნდა მოხდეს „ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა“ არაფორმალური განათლებისა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. იქვე აღწერილია ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული გამოწვევები, კერძოდ, 1) ახალგაზრდებს უჭირთ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება და მათ განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ; 2) ახალგაზრდებს უჭირთ სწავლის დასრულების შემდეგ შრომის ბაზარზე დამკვიდრება და მის მოთხოვნებთან ინტეგრირება; 3) ახალგაზრდებს არ გააჩნიათ ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის უნარები (საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2020). გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდობის სააგენტოს მიზანია ახალგაზრდების განვითარება, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დემოკრატიული და აქტიური მონაწილეობისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის შექმნა და მისი მდგრადი განვითარება (ახალგაზრდობის სააგენტო 2021). მიუხედავად აღნიშნულისა, ახალგაზრდობის სააგენტოს სამოქმედო გეგმაში ჯერჯერობით არ ხორციელდება ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაში ხელშეწყობა და კარიერული კონსულტირების უზრუნველყოფა. შესაბამისად, საქართველოში ახალგაზრდები პროფესიული ორიენტაციის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და სხვა არაფორმალური განათლების საშუალებით იღრმავებენ ცოდნას.

ახალგაზრდების მიერ არასწორად შერჩეული პროფესია ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის მრდას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში. 2020 წლის მონაცემებით, 15-19 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 43.9%-ს შეადგენს, 20-24 წლის ახალგაზრდებში - 38.3%-ს, ხოლო 25-29 წლის ახალგაზრდებში - 23.2% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020). ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელი განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, როგორცაა 1) შრომის ბაზარზე ნაკლები მოთხოვნა ახალგაზრდების მიერ შერჩეული პროფესიის მიმართ, 2) ახალგაზრდების ინტერესი დაბალია მათ მიერ არჩეული პროფესიის მიმართ, რაც იწვევს მათივე სფეროში დასაქმების დაბალ ინტერესს; 3) საქართველოში ახალგაზრდების ცნობიერების დონე კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ დაბალია.

ფსიქოლოგის როლი პროფესიული ორიენტაციის პროცესში

პროფესიული ორიენტაცია გულისხმობს ახალგაზრდებისთვის კარიერულ რჩევასა და ხელმძღვანელობას. მასში გაერთიანებულია რამდენიმე დისციპლინა, ერთ-ერთი მთავარი როლი კი ფსიქოლოგს აკისრია. პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ახალგაზრდებისთვის ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში ინტეგრირებული უნდა იყოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულება, როგორცაა პიროვნების ფსიქოლოგია, ორგანიზაციული ფსიქოლოგია, პოზიტიური ფსიქოლოგია, ლიდერობის ფსიქოლოგია, და სხვა, რაც თავის მხრივ მოიცავს შრომის ბაზარზე ადამიანის პიროვნული და ორგანიზაციული ქცევის განვითარებას (მერაბიშვილი 2021)

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების პროცესში ფსიქოლოგს (კარიერულ მრჩეველთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იგი ახალგაზრდებს ეხმარება საკუთარი თავის შეცნობისა და უნარების აღმოჩენის პროცესში, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია პროფესიის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ფსიქოლოგის მოვალეობაში განსაზღვრულია შემდეგი ფუნქციები: ახალგაზრდების დახმარება საკუთარი უნარებისა და ინტერესების განსაზღვრაში, ახალგაზრდების ხელშეწყობა ფრუსტრაციიდან თავის დასაღწევად, რათა მათ თავად მოახერხონ საკუთარი ცოდნისა და პროფესიის პრაქტიკული გამოყენების საშუალების პოვნა; ახალგაზრდებისთვის საკუთარი პროფესიული საქმიანობის აღმოჩენის ხელშეწყობა.

პროფესიის არჩევა გარკვეულ სტრესთან არის დაკავშირებული, არ აქვს მნიშვნელობა პირველად ხდება, მეორედ თუ მესამედ. განსაკუთრებით რთულია ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნებში, სადაც უფრო მეტი ფაქტორია გასათვალისწინებელი, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომაც, ფსიქოლოგის როლი მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე. პროფესიის შერჩევის სანყის

ეტაპზე, ფსიქოლოგის მოვალეობაში შედის კარიერული ხელმძღვანელობა და რჩევა. იგი ახალგაზრდებს ეხმარება იპოვოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, რათა მოხდეს ახალგაზრდების პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირება. გარდა ამისა, არასასურველმა სამუშაომ ან გრაფიკმა შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდებში სტრესი, შფოთვა ან დეპრესია, ამიტომ წარმატებული კარიერის პოვნა მნიშვნელოვანია ფსიქიკური კეთილდღეობისთვის. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის როლი, რომელიც ჩართული იქნება პროფესიული ორიენტაციის პროცესში კარიერის კონსულტანტთან ერთად.

ახალგაზრდების კარიერული დაგეგმარების პროცესში, თანაბრად უნდა იყოს ჩართული კარიერის კონსულტანტი და ფსიქოლოგი, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე ჯგუფური სამუშაოებით. კარიერული კონსულტანტისა და ფსიქოლოგთან მუშაობით შესაძლებელია ახალგაზრდამ გაიაზროს:

- განსაკუთრებული უნარები ან ნიჭი. რომელ პროფესიაში შეიძლება იყვნენ ისინი სასარგებლო?
- კარიერისთვის საჭირო საგანმანათლებლო (ფორმალური და არაფორმალური)
- რა ტიპის სამუშაოს შესრულება სურს (საოფისე, გარე, ა.შ.)
- კარიერაში ცვლილების ან წინსვლის შესაძლებლობები
- სასურველი კარიერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები/განათლება

ახალგაზრდებმა ფსიქოლოგების დახმარებით უნდა გამოიკვლიოს საკუთარი ინდივიდუალური განვითარების დონე; განსაზღვროს უნარები და მიიღონ ინფორმაცია შესაძლებლობების, საჭიროებების, ღირებულებებისა და ცოდნის შესახებ. ფსიქოლოგის მოვალეობაა კარიერული არჩევანის წინაშე მდგომი ახალგაზრდის ემოციური მხარდაჭერა კარიერული პრობლემის გადანაცვების პროცესში, კარიერული გეგმებისა და მიზნების დასახვაში.

სამომავლო პერსპექტივები

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში უმთავრესი პრობლემა ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და ჩართულობის დაბალი დონეა; მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარი, მიიღონ სწორი გადანაცვლებილი მომავალი პროფესიის შესახებ. ქვეყანაში არ არსებობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის. განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, როგორცია ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი, ნორვეგია და სხვ. პროფესიული ორიენტაცია მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლის ზრდისთვის (მერაბიშვილი 2021). შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით, ახალგაზრდებისთვის უნდა შეიქმნას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ცენტრები, რაც გულისხმობს კარიერის დაგეგმვაში კონსულტაციის განვას. აღნიშნული ცენტრები უნდა აერთიანებდეს რამდენიმე სპეციალისტს: ფსიქოლოგს, შრომის ბაზრის მკვლევარსა და კარიერულ კონსულტანტს.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალგაზრდობის სააგენტო. 2021. “ანგარიშები.” თბილისი. მოძიებულია 21 დეკემბერს, 2021. <https://youthagency.gov.ge/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/>.

მერაბიშვილი, ნ. 2021. “რა როლი აქვს ფსიქოლოგს კარიერული დაგეგმვის პროცესში?” თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. მოძიებულია 24 დეკემბერს, 2021. <https://spaceford.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98/34-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%98/>.

მერაბიშვილი, ნ. 2021. რატომ უნდა ინტეგრირდეს რატომ უნდა ინტეგრირდეს და კარიერის მართვა ზოგადი განათლების სისტემაში? თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

მერაბიშვილი, ნ., et al. 2021. “ფსიქოლოგის როლი ზოგადი განათლების სისტემაში კარიერის მართვის პროცესში.” გვ. 80.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება. 2020. „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.” თბილისი. მოძიებულია 28 დეკემბერს, 2021. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. “დასაქმება და უმუშევრობა.” თბილისი. მოძიებულია 15 დეკემბერს, 2021. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>.

Institute of Emterpreneurship Development. 2018. “Professional orientation in the workplace.”

OECD (Organization for Economic Co-Operation and Development). 2004. “Career Guidance and Public Policy.” Paris.

ზოგადი განათლების მიზნის მიღწევის სირთულეები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

ნინო ქიტოშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
კავკასიის და საქართველოს უნივერსიტეტების მოწვეული
ლექტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი

აბსტრაქტი

განათლება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ინტეგრაციაში. სკოლის მასწავლებლის პედაგოგიური კომპეტენცია განაპირობებს ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ეფექტიანობას. ზოგადი განათლების სააღმზრდელო მიზნები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხო/განმავითარებელი გარემოს მნიშვნელოვნობა კანონით არის ხაზგასმული. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ სკოლის მასწავლებლებს არ ყოფნით კომპეტენცია მართონ მოსწავლეების ქცევა, შექმნან მათთვის უსაფრთხო გარემო და მხარი დაუჭირონ მათ განვითარებას. მასწავლებლების დაბალი პედაგოგიური კომპეტენცია, ასევე, დასტურდება მათ მიერ ყოველწლიურად საგნობრივი და პროფესიული უნარჩვევების გამოცდის შედეგებით. მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობას აქვს ფასდაუდებელი როლი მოზარდის სოციალიზაციაში და მასწავლებლების დაბალი კომპეტენცია მნიშვნელოვნად აყენებს ეჭვქვეშ ზოგადი განათლების მიზნების მიღწევადობას. დავინტერესდით ზოგადი განათლების მიზნების მიღწევადობის სირთულეებით და ვივარაუდეთ, რომ მასწავლებლების დაბალი პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენცია შეიძლება აიხნას მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების წინაპირობებითა და ხელმისაწვდომობით. განვიხილეთ რელევანტური დოკუმენტები, მათმა ანალიზმა დაადასტურა ვარაუდი და შედეგად, ზოგადი განათლების მიზნების მიღწევის სირთულეების დასაძლევად, შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, პედაგოგიკა, ფსიქო-განათლება

Difficulties in achieving the goal of general education in the school

Nino Kitoshvili

Assistant Professor at Tbilisi Open University,
Invited Lecturer at Caucasus and Georgian Universities,
PhD student in Applied Social Psychology
At Tbilisi State University

Abstract

Education plays an important role in the formation, development and integration of a person into a full member of society. The pedagogical competence of the school teacher determines the effectiveness of the child's socialization process. The educational goals of general education and the importance of a safe / developing environment in a general education institution are emphasized by law. Nevertheless, it was found that school teachers lack the competence to manage students' behavior, create a safe environment for them, and support their development. Teachers' low pedagogical competence is also confirmed by the results of their annual outcomes and professional skills test. Teacher pedagogical activities have an invaluable role to play in adolescent socialization, and teachers' low competence significantly calls into question the achievement of general education goals. We were interested in the difficulties of achieving the goals of general education and assumed that the low professional and pedagogical competence of teachers could be explained by the preconditions and accessibility of starting a professional career as a teacher. We reviewed the relevant documents, the analysis confirmed the hypothesis, and the relevant recommendations were developed to overcome the difficulties in achieving the goals of general education.

Keywords: school, pedagogy, psycho-education

შესავალი

საზოგადოების უმთავრეს საზრუნავს მისი წევრების კეთილდღეობა წარმოადგენს, რასაც მათთვის კარგი განათლების მიცემით ახერხებს.¹ ადრეული ასაკიდან, სკოლა განათლების მიღების უმთავრესი ადგილია, რომელიც ამზადებს მოზარდს მომავალი ცხოვრებისთვის, საჭიროებების დაკმაყოფილებისა და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ინტეგრაციისთვის (Permata, 2016, გვ. 315). მოზარდების ჩამოყალიბებაში, უმნიშვნელოვანესია ის გარემო, რომელშიც იზრდება ბავშვი (Berry at all., 1997, გვ.43) და ამ შემთხვევაში, სკოლა, ოჯახის მხარდახმარ, გვევლინება მოზარდის სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრირების წყაროდ (სალია, 2008). სკოლა ზრუნავს ბავშვის ფორმალურ და არაფორმალურ კეთილდღეობაზე, ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს, სადაც ისინი შეძლებენ უნარების შეძენას, რეალიზებას და საჭიროებისამებრ, აკადემიური და ფსიქო-სოციალური, რელევანტური მხარდაჭერის მიღებას (Hooge., 2014, გვ. 65). საქართველოში ზოგადი განათლების კანონით განწერილი მიზანებია: მოსწავლის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურისთვის მომზადება², ასევე ბავშვის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება; ჯანსაღი ცხოვრების წესის, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ ცნობიერების ჩამოყალიბება/მხარდაჭერა და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ინტეგრაციაში მათი დახმარება.³

ხაზგასასმელია, რომ ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის და ამ პროცესში მიზანმიმართული, ეფექტიანი განათლებისთვის აუცილებელი წინაპირობაა უსაფრთხოების გაცდა, როდესაც ბავშვი თავს თვლის დაცულად (ლაბარტყავა და სხვები, 2018, გვ.8-9). უსაფრთხო გარემოს შექმნის პირდაპირი ვალდებულება აქვს სკოლის მასწავლებელს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების განვითარებას, მათ მიერ პასუხისმგებლობის აღებას, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებების მიღებასა და პოზიტიური უკუკავშირების დახმარებით, შესაძლებლობების გაცნობიერება/ განვითარებას (მაჩაიძე, მოლოდინაშვილი, 2014, გვ. 216). სწორედ სკოლის მასწავლებლის პედაგოგიურ მიდგომებზე და აღზრდის სტილზეა დამოკიდებული ბავშვის განვითარების მიმართულება, ის თუ რამდენად კანონმორჩილი, მორალური და სოციალურად მისაღები ქცევები ჩამოუყალიბდება მას მომავალში (სალია, 2008).

2021 წელს ჩატარდა კვლევა⁴ და აღმოჩნდა, რომ მასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილს აქვთ დაბალი ფსიქო-განათლება, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და პიროვნული რესურსი, რათა შეძლონ მოსწავლეთა ქცევის მართვა. მათ არ ყოფნით კომპეტენცია მოახდინონ მოსწავლის სარისკო ქცევის იდენტიფიცირება და აქვთ დაბალი მოტივაცია შეუწყონ ხელი მოზარდთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში. ასევე, საგულისხმოა ბოლო წლების სტატისტიკა, რომლის მიხედვით, მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი საგნობრივ და მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის ზღვარს ვერ ლახავს.⁵ აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად აყენებს ეჭვქვეშ ზოგადი განათლების მიზნის მიღწევადობას სკოლებში, რაც ასახავს პოვნებს არამხოლოდ კონკრეტულ მოსწავლეებზე, არამედ, მომავალში, მთლიანად - საზოგადოებაზე.

დავისახეთ მიზნად, მასწავლებლის პედაგოგიური როლისა და მისი კომპეტენციის შეუსაბამობის მიზეზების დადგენა და ვივარაუდეთ, რომ მასწავლებელთა დაბალი ფსიქო- განათლება და კომპეტენცია შეიძლება აიხსნას:

- მასწავლებლად მუშაობის დანყების მაღალი ხელმისაწვდომობით;
- მასწავლებლის პროფესიაში შესვლისას, ფსიქო-განათლების არასაკმარისი დონით.

ვარაუდის შესამოწმებლად გაანალიზდა მასწავლებლის პროფესიაში შესვლის გზები; შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები; მასწავლებლებელთა მომზადებისა და სწავლების კურიკულუმი და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები.

მასწავლებლის საქმიანობის დანყება, წინსვლა და საქმიანობის შეწყვეტა

მასწავლებლის დასაქმების, დანინაურებისა და საქმიანობის შეწყვეტის წესი განსაზღვრულია

1 Encyclopedia on Early Childhood Development, 2011, Importance of Early Childhood Development, ხელმისაწვდომია :<https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/dossiers-complets/en/importance-of-early-childhood-development.pdf> გვ. 1

2 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლ.2 (მ), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90>, წვდომის თარიღი 19.08.2021

3 საქართველოს მთავრობის დადგენილება #84, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ, 2004

4 კვლევაზე დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ : http://gesj.internet-academy.org.ge/en/v_abstr_en.php?b_sec=edu&artic_num=3474

5 დამატებითი ინფორმაცია სტატისტიკაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდებზე: <https://www.etaloni.ge/geo/main/index/60814>; <https://netgazeti.ge/news/484865/>; <https://edu.aris.ge/news/maswavleblobis-msurvelta-74-ma-sagnis-gamocda-ver-chaabara.html>;

კანონმდებლობით⁶, რა დროსაც სკოლას, საჭიროებიდან გამომდინარე, ეძლევა საჭიროების განსაზღვრისა და გადაწყვეტილების ავტონომიურად მიღების უფლება (მუხლ. 7). მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და განვითარების სქემით⁷ არსებობს მასწავლებლის რამოდენიმე სტატუსი:

- პრაქტიკოსი მასწავლებელი - ვინც განათლების სფეროს რეფორმებამდე პრაქტიკულად მუშაობდა მასწავლებლად და არ არის სერტიფიცირებული
- და ასევე, სერტიფიცირებული მასწავლებლების სამ დონე: უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი.

მათგან მენტორი, ყველაზე მაღალი სტატუსია (მუხლ.3). დოკუმენტში განვიხილავთ მომდევნო სტატუსობრივ საფეხურზე გადასასვლელი მოთხოვნები (მუხლ.10-13), აქ იგულისხმება აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა განახორციელოს საკუთარი და სკოლის განსავითარებლად. მასწავლებლის ატივობები ფასდება პერიოდულად გარე და შიდა შეფასების სისტემით (მუხლ.15). 2020 წელს, მთავრობის დადგენილებით⁸ დეტალურად გაიწერა კომპეტენციები, რასაც ამა თუ იმ სტატუსის მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს და ასევე განისაზღვა კრიტერიუმები, რომლებიც ამ შესაბამისობის დადგენაში დაეხმარება შემფასებელს (მუხლ.1-3).

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁹ პირს მასწავლებლად, მონვეულ და ან შემცვლელ დანიშნისათვის უნდა გააჩნდეს მოცემული რომელიმე კვალიფიკაცია: გავლილი ქონდეს მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა; იყოს განათლების მიმართულების მაგისტრი; იყოს ბაკალავრი/ მაგისტრი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებამდე ქონდეს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია და გავლილი მასწავლებელთა მომზადების ნიშნობის პროგრამა ; იყოს ბაკალავრი/მაგისტრი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან მაქსიმუმ ორ წელში გაივლის მასწავლებლის მომზადების პროგრამას და ან/ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას (საჭიროებიდან გამომდინარე) და ან აქვს საგნის ან განათლების მიმართულების დოქტორის ხარისხი. გარდა ამისა, მონვეული მასწავლებელი შეიძლება იყოს ამ საგანში კომპეტენტური პირი, რომელსაც აქვს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება . მასწავლებლის შემცვლელს კი უნდა გააჩნდეს საგნის მიმართულების ბაკალავრის ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება (მუხლ.3). ამავე, დოკუმენტში განსაზღვრულია მასწავლებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები, სადაც ნახსენები „სააღმზრდელო საქმიანობისთვის შეუფერებელი ქმედების ჩადენა“ საკმაოდ ბუნდოვანია (მუხლ.12, II ნაწილი).

დღეისათვის მასწავლებლები საგნობრივ და პროფესიულ კომპეტენციებს ადასტურებენ. თუმცა, საქართველოს მთავრობა მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც მომავალი წლიდან საგნის კომპეტენციის დადასტურებას დაავალდებულებს მხოლოდ პრაქტიკოს მასწავლებელს, ხოლო პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარება კი მოუწევთ მათ, ვისაც სურს მასწავლებლის სტატუსის ამაღლება და/ ან სურთ სტატუსობრივი საფეხურის გამოტოვებით დანიშნულება (მაგალითად, უფროსი მასწავლებელი რომ გახდეს პირდაპირ მენტორი)¹⁰

მასწავლებლის მოსამზადებელი 60 კრედიტული პროგრამა¹¹

2016 წელს განისაზღვრა მასწავლებლობის დარგობრივი მახასიათებლები, რომელიც დაეფუძნა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა¹² და სხვა მოქმედ კანონმდებლობას. მისი მიზანია უზრუნველყოს კვალიფიკაციური ვადრის მომზადება, რომელიც შეძლებს იყოს წარჩინებული, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მოქნილობას და სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხი (მუხლ.1). მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის შედეგად, კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს განათლების მიზნების, ფსიქოლოგიური თეორიებისა და ინკლუზიური განათლების თავისებურებები, რაც დაეხმარება მას პრაქტიკაში შემნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, მოახდინოს მოსწავლეების მოტივირება

6 საქართველოს მთავრობის დადგენილება #68, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ, 2015

7 საქართველოს მთავრობის დადგენილება #68, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ, 2015

8 საქართველოს მთავრობის დადგენილება #390, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის #241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2020;

9 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #174/ნ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესახებ, 2019

10 დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ : <https://akhliganatleba.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94/>

11 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #69, მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ, 2016

12 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0>

და სწავლის ეფექტიანი მიმდინარეობა (მუხლ.5).

2018 წელს, ასევე, შემუშავდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები¹³, სადაც განისაზღვრა მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები, სტანდარტები და სწავლის პროცესში მისაღწევი ზოგადი კომპეტენციები. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროგრამის განმახორციელებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ყველა პროგრამა 60 კრედიტისა და მინიმუმ 1 წლის განმავლობაში გრძელდება. პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს: სასწავლო გარემოს სწორი ფორმირების, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარნართვის, შეფასების და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის კომპეტენციები (გვ. 8-10). დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული სწავლების მიზანი, რომ მასწავლებელთა სწავლების პროგრამამ რა ცოდნა უნდა მისცეს სტუდენტს; რა უნარები უნდა შეიძნოს მან; რა მეთოდებით მიიღწევა ეს მიზანი და რა კრიტერიუმებით ფასდება.

ამ ეტაპისთვის აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო 19 დაწესებულება¹⁴, რომელთა პროგრამები მიზნად ისახავს მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი შედეგების მიღწევასა და განათლების მიზნების, ფსიქოლოგიური ცოდნის და ინკლუზიური განათლების სწავლებას, რათა მასწავლებელმა პრაქტიკაში შეძლოს სწავლების აკადემიური დაგეგმვა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა. თითოეული უნივერსიტეტის პროგრამა შედგება სავალდებულო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, შესაბამისი საგნის დარგობრივი და სასკოლო პრაქტიკული კურსისგან. ასევე, ზოგიერთ მათგანში, არის შეთავაზებული არჩევითი საგნებიც.¹⁵

მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა

გარდა, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციებისა, პირს, რომელსაც არ აქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია და აქვს დარგობრივი დადასტურებული კომპეტენცია, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება დასაქმდეს სკოლაში და მიენიჭოს მასწავლებლობის მაძიებლობის სტატუსი. მასწავლებლობის მაძიებელი¹⁶ არის ადამიანი, რომელსაც აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, არ აქვს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა, უნარჩვევები და კვალიფიკაცია, თუმცა, სკოლაში, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. ამ დროს მაქსიმუმ ერთ თვეში უნდა დარეგისტრირდეს მასწავლებლობის მაძიებელთა პროგრამაზე, რომელიც უნდა წარმატებით დაასრულოს მუშაობის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 წელიწადში. სკოლაში მას ყავს ტუტორი, რომელიც მისი პრაქტიკულ საქმიანობის ფასილიტაციას ეწევა (გვ.6-7).

პროგრამაზე რეგისტრირებისას, დასაქმებული თავად ირჩევს სწავლების გრაფიკსა და პერიოდს. სწავლება შედგება აკადემიური და პრაქტიკული კურსისგან, რომელიც შეიძლება იყოს გრძელვადიანი (მაქსიმუმ 2 წელი) და მოკლევადიანი 4 თვე). სწავლების პერიოდში აკადემიურ კურსს გადიან დისტანციურად, პრაქტიკულ კურსს კი, სკოლაში, სამუშაო ადგილზე. აკადემიური კურსის ფარგლებში მასწავლებელთა სახლის მიერ მას ეძლევა პრაქტიკაში აუცილებლად განსახორციელებელი დავალებები, რომელსაც ტუტორის ფასილიტაციით სამუშაო ადგილზე ახორციელებს(გვ. 8).აკადემიური კურსის ფარგლებში მისაცემი დავალებების ჩამონათვალი არ არის დადგენილი და მის, ოპტიმიზაციასა და სტანდარტიზაციაზე მუშაობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თუმცა, არსებობს აკადემიური კურსის ფარგლებში მიცემული დავალების პრაქტიკული მუშაობის პროცესში ტუტორის მიერ შეფასებისას დაკვირვების კრიტერიუმები. ესენია: სასწავლო გარემო; სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა; მასწავლებლისა და მოსწავლის ეფექტური კომუნიკაცია; მეტაკოგნიციისა და მაღალი საამროვნო უნარები და უკუკავშირი. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მასწავლებლობის მაძიებელს, მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად ევალება წარადგინოს,

13 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2018;

14 დეტალური ინფორმაციისთვის იხ: <https://www.mes.gov.ge/content.php?id=7058&lang=geo>

15 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: <http://tesau.edu.ge/files/1/2/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf>; https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/TTE_60-credit_for_WEB_GEO-Program.pdf; [https://ibsu.edu.ge/text_files/ge_file_11962_2.pdf](https://www.tsu.edu.ge/assets/media/files/54/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/60%20%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf)

16 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #169/ნ, მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2019

ასევე : გაკვეთილის გეგმა, კლასგარეშე აქტოვების გეგმა, დირექტორის ანგარიში, თვითშეფასება, თვითგანვითარებაზე ზრუნვა, და გაკვეთილების პერიოდული რეფლექსიები¹⁷

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი¹⁸ და უსაფრთხო სკოლა

აღსანიშნავია, ასევე, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ კომპეტენციებს. საუბარია იმ მინიმალურ კომპეტენციებზე, რომელსაც ყველა სტატუსის მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს. კომპეტენციები დაყოფილია სასწავლო პროცესად და პროფესიულ პასუხისმგებლობებად. გამოყოფილია: ინდიკატორები, ვალდებულებები და კომპეტენციები, რაც მათი დაკმაყოფილებას მეტად გამჭირვალეს ხდის. სასწავლო პროცესის კომპეტენციაში იგულისხმება: პოზიტიური, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დაგეგმვა/შექმნა; სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება მოსწავლეების შესაფასებლად. პროფესიულ პასუხისმგებლობებში კი: თვითგანვითარებაზე ზრუნვა; საზოგადოებასთან თანამშრომლობა, პროფესიული ეთიკის დაცვა და სკოლის განვითარებაზე ზრუნვა.

მიუხედავად კანონით რეგულირებადი ვალდებულებებისა, სამწუხაროდ, სასკოლო უსაფრთხოებაზე¹⁹ ჩატარებული კვლევის შედეგებით, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს აქვთ ჩაგვრის გამოცდილებები მასწავლებლების მხრიდან. ისინი აღნიშნავენ, რომ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, მასწავლებელმა პირადი პრობლემები უნდა დაივიწყოს, აუცილებელია, სკოლაში მუშაობის დანერგვამდე ფსიქოლოგიური შემოწმება გაიაროს, ისწავლოს ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებები და აუცილებლად სცეს მათ პატივი (გვ. 65). მათი აზრით, სკოლის უსაფრთხოება მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა აღარ დაჩაგრავენ; მასწავლებელი იქნება კარგ ხასიათზე, მშვიდი და ისინი შეძლებენ მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებას. რეალობა კი, სამწუხაროდ მათთვის განსხვავებული იყო (გვ.61-63).

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 2021 წელს გამოქვეყნდა „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსახილველი ვერსია“. სადაც ხაზგასმულია, რომ განათლების სისტემაში ეფექტიანი ცვლილების შესატანად აუცილებელი წინაპირობა - კვალიფიციური კადრია, რომელიც აკმაყოფილებს შრომითი ბაზრის მოთხოვნას, შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები, იზრდება დასაქმება და ეს ყველაფერი კი, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს (გვ..3).

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და არსებული გამოწვევების საფუძველზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გაიზარდოს განათლების ხელმისაწვდომობა და მოხდეს სწავლა სწავლებისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება (გვ.4-5). მთავრობა აღიარებს, რომ განათლების სფეროში არსებობს მრავალი გამოწვევა და ამ მიმართულებით მუშაობისას აღნიშნავს ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებულ რეფორმებს, რომლებიც მიუხედავად ბევრი დადებითისა, დაფინანსების ოპტიმიზაციის არ არსებობის, გამო ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. აღნიშნულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყო დაფინანსების ხელმისაწვდომობისა და განათლებისა და განვითარების უწყვეტობა (გვ.5). სამწუხაროა, რომ მასწავლებლობის მსურველი ცოტაა და დაბალია ახალგაზრდების ნაკადი, რაც თავის მხრივ, ქმნის კვალიფიციური კადრების დეფიციტს. გარდა ამისა, აღსანიშნავია რეფორმებზე გამოყოფილი თანხაც. რამეთუ, სხვა, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებში, კვლევების მიხედვით, მინიმუმ ორჯერ მეტად ფინანსდება განათლება, ვიდრე ეს ხდება ჩვენთან (გვ.6). ეს აისახება დაბალ სასკოლო მზაობაზე(ქვეყანაში სკოლამდელი განათლების არასავალდებულოობასა და შესაბამისად, ბავშვების არათანაბარი მზაობის გამო) და ასევე, საბაზისო საგნებში მოსწავლეების სწავლის, საშუალოზე დაბალ დონეზე. ეს ყოველივე ნათლად უსვავს ხაზს, ფაქტს, რომ განათლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას (გვ.7).

17 მეტი ინფორმაციისათვის იხ: https://momsedu.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/7181/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

18 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #67/6, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, 2008 წლის, 1014 ბრძანებაში ცვლილებების შეტანაზე

19 სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, უსტარი, თბილისი,

შეჯამება

განხილული დოკუმენტების შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონით განსაზღვრულია პრაქტიკოსი მასწავლებლის, მასწავლებლის (თითოეული სტატუსის მიხედვით), მონვეული მასწავლებლის, შემცვლელი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მათ შორის, განსაკუთრებით ხაზგასმულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის უნარი.

მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობის მოსაპოვებლად არსებობს რამოდენიმე ხერხი: მასწავლებლობის კვალიფიკაციითა და მის გარეშე. მათგან: მასწავლებელთა მომზადების პროგრამები სტუდენტებს უყალიბებენ მასწავლებლობის, კანონით განსაზღვრულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, მათ შორის აძლევენ ფსიქოლოგიურ ცოდნასაც, და მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა კი თეორიულ სწავლებას არ მოიაზრებს და აქცენტს პრაქტიკულ გამოცდილებაზე აკეთებს, რასაც სტუდენტი საშუალო ადგილზე ეუფლება. ხოლო მონვეული მასწავლებლის სტატუსით პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის დასაქმებისას, სკოლა ავტონომიურია და თვითონ წყვეტს ვის, რა კვალიფიკაციითა და უნარებით დაასაქმებს.

განერილია მასწავლებელთა დასაქმებისა და დანინაურების პროცედურები და კარიერული წინსვლისთვის კანონით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. თუმცა, იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები, რის შემდეგაც სტატუსის ამალღების წინაპირობა იქნება მხოლოდ გამოცდის ჩაბარება (პროფესიულ საქმიანობაზე დაკვირვებისა და ფსიქოგანათლების პედაგოგიური მიდგომების შეფასების გარეშე).

განხილული დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლების სავალდებულო სწავლება და ფსიქოლოგიური ცოდნის მიღება-შეფასება მასწავლებლობის უფლების მოპოვებისას წყდება. აღსანიშნავია, ისიც, რომ კანონი აძლევს საშუალებას ადამიანს გამოცდისა და სწავლების ალტერნატიული გზებით დასაქმდეს სკოლაში, რაც აკლებს დამსაქმებელს შესაძლებლობას შეფასოს აპლიკანტის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ცოდნა. საგულისხმოა, რომ განათლებაზე დახარჯული თანხა, არც ისე დიდია და მასწავლებლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება კი ზოგ შემთხვევაში არასავალდებულოა. ამასთანავე, მოსწავლეები იჭრებიან გამოცდებში და მათი ზოგადი საბაზისო ცოდნის დონე საშუალოზე დაბალია. ისევე, როგორც მასწავლებლების კვალიფიკაცია, რომელთაც აქვთ კანონით განსაზღვრული შესაძლებლობა აიმაღლონ სტატუსი, დაადასტურონ კვალიფიკაცია, თუმცა, არ ყოფნით კომპეტენცია.

დასკვნა/რეკომენდაცია

აღნიშნული დოკუმენტების ანალიზით გვსურდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიზნების მიღწევადობის სირთულეების ხაზგასმა და მასწავლებელთა დაბალ პროფესიული კვალიფიკაციურობის მიზეზების მიგნება. განხილული საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზზე დაყრდნობით, ვასკვნი, რომ:

- კანონი ხაზს უსვავს მასწავლებლის პედაგოგიური ცოდნის ვალდებულებას, თუმცა, არსად წერია რამდენ ხანში უნდა გადაიმონოს მათი კვალიფიკაციები და არც კანონში რაიმე ჩანაწერი ავალდებულებს მათ დამატებითი ცოდნის მიღებასა და უწყვეტი განათლების პროცესში ჩართვას.
- მისასაღმებელია, რომ სკოლა ავტონომიურია, მაგრამ, ამ შემთხვევაში სკოლის სასწავლო კეთილდღეობა დირექტორის მიკერძოებულობის რისკქვეშაა. პედაგოგიური ცოდნის გარეშე, მონვეული მასწავლებლის, მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით, ადამიანის დასაქმება, გულისხმობს, რომ ისინი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ცოდნის გარეშე ურთიერთობენ მოსწავლეებთან. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს სასწავლო გარემოს შექმნის ალბათობას
- ასევე, ის ფაქტი, რომ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა ფსიქოლოგიური ცოდნის მიცემას არ გულისხმობს, ეს პედაგოგიურ უნარებს აყენებს ეჭვქვეშ. ამას ადასტურებს ისიც, მიუხედავად იმისა, რომ ეძლევათ უფლება აიმაღლონ სტატუსი, უმეტესობა იჭრება, რაც მათ არაკვალიფიციურობას უსვავს ხაზს და მათი მასწავლებლობის დანების პროცესსა და პირობების ვალიდურობასა და სანდოობას აყენებს ეჭვქვეშ.

მაშასადამე ჩვენი ვარაუდი გამართლდა, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდებით განსაზღვრული დაბალი კვალიფიკაციების ერთერთ მიზეზად გვევლინება მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის მაღალი ხელმისაწვდომობა, დასაქმებისას ფსიქოლოგიური ცოდნის არასავალდებულოობა და მასწავლებლის კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვისა და შეფასების უწყვეტი პროგრამის არ არსებობა.

განხილული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ზოგადი განათლების მიზნების მიღწევადობის სირთულეების დასაძლევადა, კვლევის შედეგები იძლევა რეკომენდაციების საშუალებას. კერძოდ:

- მასწავლებლის ზოგადსაგანმანათლებლო დანერგულებაში დასაქმების ეტაპზე - შეიზღუდოს მოსწავლეებთან მასწავლებლის ოფიციალური და არაოფიციალური სტატუსის მქონე ადამიანების ხელმისაწვდომობა შესაბამისი, კანონით გათვალისწინებული დარგობრივი მახასიათებლების არსებობის დადასტურების გარეშე;
- სახელმწიფოს მხრიდან - გაიზარდოს ზოგადი განათლების დაფინანსება და გახდეს სავალდებულო ფსიქო-განათლება როგორც მასწავლებლის პროფესიაში შესვლამდე, ისე პროფესიული საქმიანობის პერიოდში. რასაც შეიძლება ქონდეს მენტორი მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარებისა თუ მასწავლებელთა სახლის მიერ განახლებად ტრენინგ სქემაში ჩართვის სავალდებულო სახე.
- და ბოლოს, იმისათვის, რომ მასწავლებლებს ერთბაშად არ დაანვეთ მათთვის, სამუხაროდ ჯერ კიდევ უცხო ვალდებულება და პასუხისმგებლობები, როგორც არაერთი კვლევით დადასტურდა²⁰, სკოლაში უნდა არსებობდეს ფსიქო-სოციალური სამსახური, რომელსაც ექნება მხარდაჭერითი რეპუტაცია და მასწავლებლებთან ერთად, გაიზიარებენ მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას.

გამოყენებული ლიტერატურა

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩართო, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?-publication=0>

ლაბარტყავა ნ., ოსიაშვილი ქ., საჯაია მ., კობალაძე ქ., მასწავლებლის წიგნი - უსაფრთხო სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018

მაჩაიძე ლ., მოლოდინაშვილი მ., პედაგოგიკა-აღზრდის მეცნიერება, ქესუ: განათლების და ფსიქოლოგიის მეცნიერებანი, 2014, No . 1(27), გვ. 214-216, (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2268.pdf&t=1> ISSN 1512-1801, pdf);

სალია მ., სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის სოციალიზაციაში, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა 2008 #5, თბილისი(<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4--0-11--11-ru-10---10-preferences-50--00-3-about-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH01017f7b38bef47a985eeb8f.8.3>);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების , კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #67/ნ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, 2008 წლის, 1014 ბრძანებაში ცვლილებების შეტანაზე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #174/ნ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესახებ, 2019

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, უსტარი, თბილისი, 2011

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულება (განსახილველი ვერსია), 2021;

საქართველოს მთავრობის დადგენილება #68, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ, 2015

საქართველოს მთავრობის დადგენილება #390, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის #241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2020;

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლ.2 (მ),

საქართველოს მთავრობის დადგენილება #84, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ, 2004 ;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #169/ნ, მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2019

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #69, მასწავლებლის

20 ქიტოშვილი ნ., პრობლემური მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეები; დამცავი და რისკ ფაქტორები, 2021; იხ: http://gesj.internet-academy.org.ge/en/v_abstr_en.php?b_sec=edu&artic_num=3474; სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, უსტარი, თბილისი, 2011

განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ, 2016
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2018;
ქიტოშვილი ნ., პრობლემური მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეები; დამცავი და რისკ
ფაქტორები, 2021; იხ: http://gesj.internet-academy.org.ge/en/v_abstr_en.php?b_sec=edu&artic_num=3474
Berry J. Dasen P., Saraswathi T. Handbook of Cross-cultural Psychology: Basic processes and human development,
second edition, USA, 1997;
Encyclopedia on Early Childhood Development , Importance of Early Childhood Development, 2011,
ხელმისაწვდომია :<https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/dossiers-complets/en/importance-of-early-childhood-development.pdf>, წვდომის თარიღი 20.08.2021, გვ. 1;
Hooge E., Socialisation at School. The Pedagogical Dimension of Teaching in Dutch Primary School, Education and
Society, Amsterdam University of Applied Science, 2014, გვ. 63-70;
Permata A., C., Child-Friendly School and City for Better Future, The First International Conference on Child - Friend-
ly Education, 2016, გვ.315-321, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/user/Desktop/Downloads/3-AndariniPermataC.pdf>
, წვდომის თარიღი 20.08.2021.

პოზიტიური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების გამოყენება ბანათლებაში

ლელა აბდუშელიშვილი
ბანათლების მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პოზიტიური ფსიქოლოგია, ისევე, როგორც ფსიქოლოგიის სხვა დისციპლინები, შეისწავლის ადამიანის ქცევას, მის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს და პოზიტიური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებს პიროვნული, ბიოლოგიური, სოციალური, ინსტიტუციური და კულტურული თვალსაზრისით. შესაბამისად, მისი მიზანია მოახდინოს ადამიანის ქცევის აღწერა, წინასწარ განჭვრეტა და კონტროლი. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ძირითადი აქცენტი კეთდება პათოლოგიებსა და პრობლემებზე და ადამიანის მდგომარეობის სტაბილურ რეჟიმში გადაყვანაზე, ხოლო პოზიტიური ფსიქოლოგიის მიზანია არა მხოლოდ ამ სტაბილურობის შენარჩუნება, არამედ მისი გადაყვანა გაუმჯობესებულ სტადიაზე. პოზიტიური ფსიქოლოგიის მეშვეობით ადამიანები იაზრებენ, რომ მათ საკუთარი ღირსებებისა და ძლიერი მხარეების წინა პლანზე წამოწევით შეუძლიათ გადალახონ ნებისმიერი ბარიერი და აღმოაჩინონ თავში ძლიერი პოტენციალი, რათა მიიღონ ცოდნა, გაუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი და ბედნიერების, ხასიათის სიმტკიცისა და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების შედეგად იცხოვრონ წარმატებით და ხარისხიანად.

საკვანძო სიტყვები: პოზიტიური ფსიქოლოგია, ქცევა, სტაბილურობა, ძლიერი მხარეები, ცხოვრების ხარისხი, ხასიათის სიმტკიცე, ხარისხიანი ცხოვრება

Using Instruments of Positive Psychology in Education

Lela Abdushelishvili

Doctor of Educational Sciences, associate professor
International Black Sea University

Abstract

Positive psychology, similar to other disciplines of psychology, studies human behavior, processes taking place in his/her psyche and various aspects of human positive functioning from the personal, biological, social, institutional and cultural points of view. Respectively, its aim is to describe human behavior, anticipate and control. In traditional psychology main focus is on pathologies and problems and stabilizing human state while the goal of positive psychology is not only to keep stability of human condition but also moving him/her to the improved stage. With the help of positive psychology human beings realize that by putting forward their personal strengths and values they can overcome any barrier and discover their strong potential in order to get knowledge, improve quality of life and as a result of happiness, strong character and healthy social relations live quality life successfully.

Keywords: positive psychology, behavior, stability, strengths, quality of life, character strength, quality life.

შენაშნა

პოზიტიური ფსიქოლოგია შედარებით ახალი მიმდინარეობაა ფსიქოლოგიაში, რომელიც მთლიანად ცვლის პიროვნების, მისი ფუნქციონირებისა და კონსულტირება/თერაპიის ხედვის პერსპექტივას და პათოლოგიაზე აქცენტის ნაცვლად, ყურადღების ცენტრში პიროვნულ ზრდას, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ეფექტურ ფუნქციონირებას აქცევს. იგი შეისწავლის ადამიანის პოზიტიური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებს ბიოლოგიურ, პიროვნულ, სოციალური ურთიერთობების, ინსტიტუციურ და კულტურულ დონეზე. იგი აერთიანებს მეცნიერულ კვლევებს, რომელთა მიზანია დაადგინონ თუ რა აქცევს ცხოვრებას ღირებულ და “კარგ ცხოვრებად”. ეს გარკვეულწილად ახალი და კოლექტიური იდენტობაა ამ საკითხების შემსწავლელი მეცნიერებისთვის და არა ახალი სფერო, რომელიც არასოდეს უკვლევიათ მანამდე ფსიქოლოგებს. პოზიტიური ფსიქოლოგიის ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ ის გარკვეულწილად ავსებს და აფართოებს პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დომინირებდა ფსიქოლოგიაში. პოზიტიური ფსიქოლოგია არ უარყოფს ფსიქიკური აშლილობების, დარღვევების, მარცხის, წარუმატებლობის, არასასურველი გენეტიკური მიდრეკილებების, სტრესული და ტრავმული მოვლენების არსებობას ბუნებაში. მისი ამოსავალი დებულება მდგომარეობს შემდეგში: ის, რაც კარგია ადამიანთა ცხოვრებაში ისეთივე მნიშვნელოვანია, ჭეშმარიტი და რეალურია, როგორც ცუდი. ამიტომ, ორივე თანაბრად იმსახურებს ყურადღებას ფსიქოლოგებისაგან. პოზიტიური ფსიქოლოგიის გადასახედიდან ფსიქოლოგია არა არის მხოლოდ მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დაავადებებს, სისუსტეებსა და აშლილობებს; ის, ასევე არის მეცნიერება ადამიანთა ღირსებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ; მკურნალობა არა არის მხოლოდ ცუდის გამოსწორება. ის ამავდროულად, კარგის შენებაცაა. ესა არის მეცნიერება განათლების, მუშაობის, სიყვარულის, ზრდისა და განვითარების შესახებ. მნიშვნელოვანი მიღწევაა ის ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვფლობთ დღესდღეობით ადამიანური ძლიერი მხარეებისა და კარგად ყოფნის შესახებ. პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ბედნიერია, ბედნიერებას ადამიანები მიჰყავს წარმატებისკენ და არა – პირიქით, ადამიანთა უმრავლესობა ფსიქიკურად მდგრადი და ჯანმრთელია, ბედნიერება, ხასიათის სიმტკიცე და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობები ასრულებენ ბუფერების როლს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ დამცავი ფუნქცია არასასიამოვნო და მატრავმირებელ მოვლენებთან გამკლავების პროცესში. „კარგი ცხოვრება“ ნამდვილად ისწავლება. მაგრამ, ამას შრომა და ძალისხმევა სჭირდება.

პოზიტიური ფსიქოლოგიის მრავალი ტექნიკა ადამიანს საშუალებას აძლევს დადებითად იაზროვნოს, პოზიტიური ემოციებით განიმსჭვალოს, გამოავლინოს მრავალი პიროვნული მახასიათებელი. მოსწავლის კეთილდღეობის უზრუნველყოფა პოზიტიური განათლების უმაღლესი პრიორიტეტია, ვინაიდან კეთილდღეობა მიიჩნევა აკადემიური მოსწრების, მოსწავლეების ჩართულობის და მომავალზე ორიენტირებულობის წინაპირობად. მადლიერება, პატიება და სიმტკიცე სტუდენტებს დაეხმარება თავი გაართვან სტრესულ სიტუაციებს ცხოვრებაში. პოზიტიური განათლების მეშვეობით კი შესაძლებელი იქნება დადებითი გარემოს შექმნა და მოსწრების გაუმჯობესება.

ძირითადი ნაწილი: მანკლანდი და როსეტი (2017) აღნიშნავენ, რომ „პოზიტიურ ფსიქოლოგიაში მასწავლებლები და მკვლევარები ბუნებრივი მეკავშირეები არიან. განათლება, როგორც წესი, გულისხმობს ძლიერი მხარეების ხელშეწყობას და პირობების შექმნას ზრდისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კეთილდღეობა მასწავლებლების, სხვა განმანათლებლების და პოზიტიურ ფსიქოლოგიაში მოღვაწე ადამიანების ძირითადი საფიქრალია“. ამდენად, განათლებისა და ფსიქოლოგიის ბუნებრივი დაწყვილება არსებითია და ამ მოძრაობას დადებითი განათლება ეწოდება.

მარტინ სელიგმანის და სხვების (2009) მიხედვით, დადებითი განათლება ერთგვარი რეაგირებაა იმ განსახვავებაზე, თუ რა სურთ ადამიანებს შვილებისთვის და რას ასწავლიან სკოლები. როგორც წესი, მშობლებს სურთ შვილების კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და სიმტკიცე, ხოლო სკოლები ყოველთვის მოითხოვენ დისციპლინას, მიღწევებს და აკადემიურ უნარებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ აუცილებელია დადებითი ფსიქიკური სიჭანსაღე და მისი შედეგები. ამდენად, განათლებაში გამოყენებული პოზიტიური ფსიქოლოგიის მექანიზმები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქიკური სიჭანსაღის და დადებითი მდგომარეობის შენარჩუნებას.

ფსიქოლოგიის გამოყენება განათლებაში 1930-იანი წლებიდან შეინიშნება. სკოლის მიზანი უნდა იყოს მოსწავლის კეთილდღეობა და მისთვის სწავლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. მაგალითად, ჯერ კიდევ არისტოტელე აცხადებდა, რომ განათლების საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს ბედნიერების განცდა.

სწავლება უშუალოდაა დაკავშირებული ემოციურ ჯანმრთელობასთან და, შესაბამისად, საჭიროა ისეთი ეფექტური მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება პრობლემების დაძლევისა და ბარიერების გადალახვაში. ამდენად, პოზიტიური განათლება ხელს უწყობს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას იმისათვის, რომ მან მიიღოს სათანადო ცოდნა და დააფიქსიროს აკადემიური მიღწევები. ამისათვის, საჭიროა მოსწავლემ გააცნობიეროს პირადი ბედნიერების წყაროები, გამოხატოს მადლიერება და და გაიხსენოს ცხოვრების ბედნიერი მომენტები.

საჭიროა დილა დავიწყოთ მოსწავლეებთან შეხვედრით და მივცეთ მათ საშუალება გაგვიზიარონ რა გააკეთეს შაბათ-კვირას ან რისი თქმა სურთ ჩვენთვის, ღიად ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე, შემოვიდნენ ჩვენთან კონტაქტში და შეიძინონ მეტი თავდაჯერებულობა. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ავუმალლოთ მოტივაცია, კარგი იქნება მივცეთ არჩევანის გაცემების საშუალება: რას ისურვებდნენ ათვისებული მასალის შესამოწმებლად: თავისუფალი თემის დანერგას თუ პრეზენტაციის გაცემებას. ასეთი მიდგომა აძლიერებს მათ თავდაჯერებულობას, ზრდის პასუხისმგებლობას და, რაც მთავარია, უვითარებს პოზიტიურ აზროვნებას.

კიდევ ერთი პოზიტიური ფსიქოლოგიის მეთოდი, რომელიც განათლებაში წარმატებით გამოიყენება, არის ყოველდღიური განწყობის დაფიქსირების ცხრილი. იგი ეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ საკუთარი ხასიათი და რა უწყობს ხელს მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამ ინსტრუმენტის ოდნავ მოდიფიცირებული მოდელია სამი კარგი მოვლენის დაფიქსირება ყოველდღიურად და შემდეგ მათ შესახებ ფიქრი. უფრო კონკრეტულად, ყოველი დღის ბოლოს, საჭიროა გავიხსენოთ კარგი მოვლენები და ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ამას თქვენი ქცევის საჭიროებისამებრ შეცვლა იმისათვის, რომ გაიაზროთ ამ დადებითი მოვლენების სიხშირე. მაგალითად, მე ამ ინსტრუმენტს წარმატებით ვიყენებ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან, ვინაიდან მათი უმეტესობა დასაქმებულია და ლექციებს დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ ესწრება, რაც ზრდის მათ სტრესს და დაღლილობას. შესაბამისად, მათ ესაჭიროებათ განტვირთვა იმისათვის, რომ უფრო მობილიზებულად გაიაზრონ ინფორმაცია. შედეგებიც შესაბამისია. მსმენელების უმეტესობა აცხადებს, რომ ეს მეთოდი მათ აქტიურობას სძენს, ისინი ანალიტიკურად იწყებენ აზროვნებას და შემდეგ უფრო ხალისიანად და მონდომებით უსმენენ თეორიული მასალის ახსნას.

კვლევა ჩატარდა ორგანიზაციული ქცევის, სტრატეგიული კომუნიკაციის, ბიზნეს კომუნიკაციის, აკადემიური წერის, მასწავლებელთა გადამზადების და საერთაშორისო გამოცდებისათვის (TOEFL, IELTS, GMAT) მოსამზადებელ ჯგუფებში. რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 18 წლიდან 65 წლამდე. მათ თავდაპირველად დაურიგდათ 15 ღია შეკითხვისაგან შემდგარი კითხვარი, ხოლო შემდეგ დაევალებათ დაეწერათ 250 სიტყვიანი ესე/თხზულება თემაზე „მოგონთ თუ არა სწავლებაში პოზიტიური ფსიქოლოგიის ელემენტების გამოყენება“. კითხვარები იყო ანონიმური, რაც ხელს უწყობდა რესპონდენტთა ღიაობას და საკუთარი მოსაზრების ობიექტურად დაფიქსირებას, ხოლო თავისუფალი თემის/თხზულების საშუალებით მათ ვუბიძგეთ არგუმენტირებულად და ორგანიზებულად წარმოედგინათ კრიტიკული შეხედულება.

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ პოზიტიური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების მეშვეობით მათ გამოუმუშავდათ დადებითი დამოკიდებულება, გახდნენ უფრო მეტად მობილიზებული, აღარ ეშინოდათ შეცდომის დაშვების, მოსწონდათ ის გარემოება, რომ პედაგოგი მათ აზრის დაფიქსირების საშუალებას აძლევდა და, რაც მთავარია, ყოველ ლექციასა თუ გაკვეთილზე ხორციელდებოდა ნასწავლის გადამუშავება, შეკითხვების დასმა, ყველა ბუნდოვანი საკითხის განხილვა და მასალის შეჯამება, რაც მათ დაეხმარა თეორიული მასალის წარმატებით დაძლევაში. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმის, ამბის თხობის მეთოდით კი, მათ შეძლეს გააქტიურება და აზრების უფრო მკაფიოდ და თამამად გადმოცემა, ვინაიდან მათ საუბარი სიამოვნებად და აზრებს მარტივად გადმოსცემდნენ.

ამდენად, პოზიტიური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების გამოყენება განათლებაში ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას, ჩართულობას, მასალის უკეთესად ათვისებას და მომავალზე ორიენტირებულობას. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ განათლებაში ეს მეთოდი ყველა დისციპლინაში დაინერგება მასალის ეფექტურად და მინაარსიანად ასათვისებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

Martin Seligman and others (2009). Positive education: positive psychology and classroom interventions. Oxford Review of Education. Volume 35, 2009. Issues 3: Well-being in Schools

Rebecca Shankland. Evelyn Rosset. (2017). Review of Brief School-Based Positive Psychological Interventions: a Tester for Teachers and Educators. Educational Psychology Review. DOI. 10/1007/s10648 – 016 – 9357-3

პანდემიის (COVID-19) გავლენა ოჯახში ძალადობაზე

ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ახალი კორონავირუსის მასობრივი გავრცელების კვალდაკვალ, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ბოლო პერიოდის კვლევების თანახმად, კრიზისების პერიოდში, არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის ზრდის ტენდენცია, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, გლობალურად ერთი მესამედით გაიზარდა. მსოფლიოში არსებული ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში სრულიად განსხვავებული სურათია. შსს-ს სტატისტიკურ მონაცემების მიხედვით, პანდემიის პირობებში ოჯახში ძალადობის მაჩვენებლებში მკვეთრი ცვლილებები არ აისახება. თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების უმრავლესობა მაინც ქალები არიან. ძალადობის მსხვერპლები, რომლებიც იზოლაციაში იმყოფებიან პანდემიის დროს, ვერ უკავშირდებიან სამართალდამცავ ორგანოებს, რაფგან ისინი მოძალადესთან ერთად არიან იზოლირებულნი. ამიტომაც უჭირთ ხმა მიანვიდინონ ხმა გარესამყაროს, ეს კი დანაშაულის სტატისტიკაზე ახდენს გავლენას. ოჯახში ძალადობის რისკებს პანდემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური ფაქტორებიც ამწვავებს, მაგალითად სამსახურების დაკარგვა, სოციალური ჩაკეტილობა, იზოლაცია, ეკონომიკური არასტაბილურობა ა.შ.... ეს ყველაფერი კი უფრო დიდ სტრესს იწვევს. ოჯახში ძალადობის ფაქტის გაშუქება მედიაში განსაკუთრებით საფრთხილო თემაა, მით უმეტეს პანდემიის დროს, აქ მნიშვნელოვანია მთავარი ფოკუსის გაკეთება და იმ ერთეული შემთხვევების გაშუქება ისე, რომ ძალადობა არ წავახალისოთ, და ხელი შევუწყოთ პრევენციას.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, ძალადობა, ქალი, საქართველო.

Impact of pandemic (COVID-19) on domestic violence

Olga Tsiskarishvili-Soselia
Doctor of Social Sciences

Abstract

A state of emergency has been declared in many countries around the world, including Georgia, following the widespread spread of the new coronavirus.

According to recent studies, in times of crisis, there is a growing trend of violence against women, with domestic violence against women increasing globally by one third. Despite the trend in the world, the picture in Georgia is completely different.

According to the statistics of the Ministry of Internal Affairs, the conditions of the pandemic do not reflect drastic changes in the rates of domestic violence. However, most of the victims of domestic violence are still women. Victims of violence who are in isolation during a pandemic cannot contact law enforcement because they are isolated with the abuser. This is why it is difficult to give a voice to the outside world, which in turn affects crime statistics.

The risks of domestic violence are exacerbated by various social factors related to the pandemic, such as job loss, social closure, isolation, economic instability, etc.... All of this causes even more stress. Coverage of domestic violence in the media is a particularly dangerous topic, especially during a pandemic, where it is important to focus and cover individual cases so that we do not encourage violence and promote prevention.

Keywords: Family, Violence, Woman Georgia

ახალი კორონავირუსის მასობრივი გავრცელების კვალდაკვალ, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.[1] ეს ერთგვარი პრევენციული ზომა პანდემიის წინააღმდეგ, ცივილური სამყაროს ნაწილი გახდა თვეების განმავლობაში. 2020 წლის ზამთრის პერიოდიდან, შეზღუდვები დაწესდა იმ ქვეყნებში, სადაც დაავადებულთა სტატისტიკურმა მონაცემებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მეცნიერულად დადგენილია, რომ კრიზისების პერიოდში, მათ შორის, ეპიდემიის აფეთქების დროს, ქალთა მიმართ ძალადობის ზრდის ტენდენცია დიდია, რაზეც მიუთითებს, ბოლო პერიოდის კვლევებიც. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, გლობალურად ერთი მესამედით გაიზარდა: არა მხოლოდ საქართველოში ოჯახური ძალადობის შემთხვევების გაიზარდა კანადაში, ესპანეთში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ა.შ.შ-ში და სხვა ქვეყნებშიც.). ასე, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალადობის მსხვერპლი ქალების რიცხვიც გაიზარდა.

რაც შეეხება საქართველოს, მსოფლიოში არსებული ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში განსხვავებული სურათია. შსს-ს სტატისტიკურ მონაცემები, რომელიც პანდემიის დროს ასახავს ოჯახში ძალადობის მაჩვენებლებს, მკვეთრი ცვლილებებით არ გამოირჩევა. წელს, არსებული მონაცემებით,[1] აგვისტოში ფიქსირდება შემაკავებელი ორდერების ყველაზე დიდი რაოდენობა, ყველაზე მცირე კი აპრილში. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს თვეში შეზღუდვების დიდი ნაწილი უკვე მოხსნილი იყო. აპრილის თვეში კი მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი.

როგორც წინა წლებში, ამ წელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია. ამას მონაცემებიც ადასტურებს: სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ოჯახში ძალადობის, მაჩვენებელს 2020 წლის პირველ ნახევარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 80%-მდე, (ყოველი ექვსი შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში, მსხვერპლი ქალია). 2020 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში დარეგისტრირებულია 3 642 შემთხვევა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში - 3 632, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 3 335 შემთხვევა.

2020 წლის განმავლობაში, ოჯახში ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების დინამიკა გვიჩვენებს, რომ როცა იყო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა (მარტი-მაისი), მაშინ როდესაც ამოქმედებული იყო უმკაცრესი ზომები, არ დაფიქსირებულა სსკ-ის 1261-ე მუხლით გათვალისწინებული რეგისტრირებული დანაშაულის ზრდა. აპრილში კი ყველაზე ნაკლები დანაშაული დარეგისტრირდა - სულ 370 შემთხვევა. თუმცა ამ თვის დასასრულიდან, ოჯახში ძალადობის რეგისტრირებული დანაშაულის მატება აღინიშნება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით[2], ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ზრდა არ შეინიშნებოდა პანდემიის დროს. თუმცა ამ განცხადების პარალელურად, უფლებადამცავი ორგანიზაციები აღნიშნავენ[3], რომ სწორედ ამ პერიოდში, მათ იმაზე მეტმა ქალმა მიმართა სამართლებრივი დახმარებითვის, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, ვიდრე სხვა წლებში.

რა თქმა უნდა, ექსპერტების განცხადებებიც გასათვალისწინებელია [4] იმასთან დაკავშირებით, რომ იზოლაციაში მყოფ ძალადობის მსხვერპლს უჭირს სამართალდამცავი ორგანოებისთვის, გარესამყაროსთვის ხმის მიწვდენა. ეს კი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს დანაშაულის სტატისტიკაზეც. კავშირი „საფარის“ დირექტორი, ბაია პატარაია ამ წლის აპრილში აცხადებდა, რომ პანდემიისას, საგანგებო მდგომარეობის დროს, ძალადობის მსხვერპ ქალების უმრავლესობას პოლიციის გამოძახებაც კი უჭირდა.

ის ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობენ, აღნიშნავენ, რომ პანდემიის პერიოდში, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, სამართლებრივი დახმარებისთვის ძალიან ბერძე ქალმა მიმართა. [5] ეს კი სავარაუდოდ, იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მოძალადესთან ერთად, ერთ სივრცეში უწევს ყოფნა.

მაშინ, როცა მთელს მსოფლიოს COVID-19-ის პანდემია მოედო და მთავრობები ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ. ჯანდაცვის სისტემის რეაგირება უფრო დაჩქარებულია და შეზღუდვები ცხადდება ადამიანთა გადაადგილებაზე, რაც რა თქმა უნდა, მილიონობით ადამიანზე ახდენს ზეგავლენას. „თუმცა, აღნიშნული ძალისხმევების ფონზე, პოლიტიკის შემუშავებულ პირებს მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეთ ქალების და გოგონების მონყვლაობა, რაც კრიზისის პირობებში კიდევ უფრო გამწვავებულია,“ - ნათქვამია გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გაცემულ სახელმძღვანელო მითითებაში. [6]

გაეროს ანგარიშის დასკვნით, ქალებისთვის ყველაზე სახიფათო ადგილია მათივე სახლი.[6] მხოლოდ 2017 წელს „მსოფლიოში 87 000 ქალი მოკლეს, მათგან ნახევარზე მეტი (50 000, ანუ 58 %) – პარტნიორმა ან ოჯახის წევრმა. მესამედზე მეტი ქალი (30 000) მოქმედი ან ყოფილი პარტნიორის მსხვერპლი გახდა. მსოფლიოში, ყოველ საათში, თავისივე ნაცნობის ხელით 6 ქალი კვდება.“[6]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, ქვეყანაში, 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ცხოვრობს 3 მილიონ 723 ათასზე მეტი ადამიანი. მხოლოდ 2018 წელს განქორწინდა 10 288 წყვილი.[7] ხშირად განქორწინება ოჯახში ძალადობის გამო ხდება.

საინტერესოა, ოჯახში ძალადობის თემას როგორ აშუქებს ქართული მედია. ქალთა მიმართ ძალადობა უფრო ხშირად იწყება ფსიქოლოგიური ძალადობით, რომელიც გადადის ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაზე. მედიასაშუალებების მიერ გაშუქებულ ფემიციდის საკითხებზე ძირითადი აქცენტი არის გაკეთებული მოძალადეზე და მის პოზიციაზე. ოჯახში ძალადობას მხოლოდ ერთი მიზეზი არ აქვს. „ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია გენდერული და კულტურული სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს. მასმედია უფრო მეტად ამყარებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. მასმედია ოჯახში ძალადობას სენსაციურად აშუქებს. **ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია, კავშირი „საფარის“ იურისტი ელისო რუხაძე ფიქრობს, რომ** „მასმედია ძალიან ხშირად იყენებს ძალადობის ფაქტებს სენსაციად.“

ოჯახში ძალადობის ფაქტის გაშუქება მედიაში განსაკუთრებით საფრთხილო თემაა, მით უმეტეს პანდემიის დროს, აქ მნიშვნელოვანია მთავარი ფოკუსის გაკეთება და იმ ერთეული შემთხვევების გაშუქება ისე, რომ ძალადობა კი არ წავახალისოთ, არამედ, პრევენციას შევუწყოთ ხელი. - ნათქვამია საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში[8], პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა განმარტებულია შემდეგნაირად: „პატივი ვცეთ და არ დავარღვიოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. დაუსაბუთებლად, საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე, არ ვაქციოთ ინდივიდის პირადი ცხოვრების დეტალები საჯარო მსჯელობის საგნად.“

ამ პრობლემის მოგვარებაში უნდა ჩაერთოს მედიაც, თუმცა ამ თემის ზერელე და სკანდალური გაშუქებით უფრო დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ.

სამწუხაროდ, რეალობა იმაზე უფრო უარესია, ვიდრე წარმოგვიდგენია, რადგან რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, არ აქვთ არანაირი ინფორმაცია, როგორც ოჯახში ძალადობის, ნაადრევი ქორწინებისა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემებზე და მათ საკანონმდებლო რეგულაციაზე. ამის მიზეზია მათი ცნობიერების დაბალი დონე და მომსახურების მიმართ ბენეფიციარების უნდობლობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოჯახში ძალადობის რისკს პანდემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორები ამწვავებს, მაგალითად უმუშევრობა, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, ჩაკეტილობა, გარესამყაროსგან იზოლაცია და ა.შ. სტრესი, მნიშვნელოვანი მომენტია მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთობისას. მით უმეტეს, თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უფრო დიდ დროს ატარებს ოჯახის მოძალადე წევრთან.

ოჯახური დანაშაული ისევე, როგორც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ყველა საზოგადოების უნივერსალურ რეალობას წარმოადგენს - ამას სტატისტიკაც მოწმობდა პანდემიის გავრცელებამდე. და ისიც უნდა ითქვას, რომ მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელსაც, არა მხოლოდ დაზარალებულისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის დამანგრეველი შედეგები მოყვება. საზოგადოების სურვილი და ძალისხმევა ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა ასეთი თვალხილული და რეალური არ იყოს. ფსიქოლოგთა ჩართულობა ამ პრობლემის მოგვარებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. რადგან არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლებთან არის სამუშაო, არამედ პირველ რიგში, სწორედ მოძალადეებთან, რადგან პრობლემის ინიციატორი, მოძალადეა და სწორედ მას სჭირდება კომპლექსური დახმარება. ფსიქოლოგისგან მხოლოდ ერთ მხარესთან, ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობა არ არის საკმარისი. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში, ფსიქოლოგთა დახმარების სერვისი ყველა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი. ეს პრობლემა კი განსაკუთრებით რეგიონებშია თვალნათელი და როგორც ზევით ვთქვით, სწორედ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობის გამო, რომელსაც ემატება სპეციალისტების არარსებობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.euractiv.pl/section/bezpieczenstwo-i-obrona/news/coronavirus-which-countries-state-of-emergency-europe/>

Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. "Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy," Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/3a7J17U>

<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-agrdzelebs-odjakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-efeqtian-brdzolas/13440>

<https://gyla.ge/ge/post/qalta-mimart-dzaladobis-da-ojakhshi-dzaladobis-sakitkhebbe-momushave-organizaciebis-mimartva-sakhelmtsifo-utsyebes#sthash.WzWS6sL5.rYJ7xAP6.dpbs>

https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

<https://sapari.ge/archives/6315>

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი; „პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები სსმ-ის პროგრამებში“; 2006.

სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური გამძლეობა

რამაზ შალუაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის
საბანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

საქართველოს თავდაცვის ძალების
სპეციალური ოპერაციების ძალები

თემის ხელმძღვანელი - მარიამ დარბაიძე, დოქტორი,
კროფესორი, განათლების ექსპერტი

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე გაკეთებულ კვლევას, როგორც საერთაშორისო კვლევების ასევე პირადი გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომში განვიხილავ როგორც ინდივიდუალურ, ასევე იმ გარემო ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს, აძლიერებს ან ასუსტებს სამხედრო მოსამსახურის ფსიქოლოგიურ გამძლეობას. ასევე საერთაშორისო კვლევების მაგალითზე შევეხები სამხედროებში შედარებით უფრო მეტად გავრცელებულ მენტალურ დაავადებებს და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ვიმსჯელებ სამხედროებში ამ დაავადებების გავრცელების სიხშირეზე. ნაშრომი ასევე მოიცავს პირადი გამოცდილების მაგალითებს, რომლებიც საერთაშორისო კვლევებთან ერთად იძლევა ერთ მთლიან სურათს, ამის საფუძველზე კი გაკეთებულია როგორც საბოლოო ასევე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო, შერჩევა, სტრესი, გამძლეობა, ფსიქიკა, მდგრადობა

Psychological endurance of military servicemen

Ramaz Shaluashvili

Student of the Psychology Educational Program at the
Georgian National University
Georgian Defense Forces Special Operations Forces

Supervisor - Mariam Darbaidze,
Doctor, Professor, Education Expert.

Abstract

The paper presents a study on the psychological resilience of military personnel based on both international studies and personal experience. In this paper, I discuss individual and environmental factors that contribute to, strengthen or weaken the psychological resilience of a military serviceman. I will also use the example of international studies on the most common mental illnesses in the militaries and according to the statistics try to discuss about the prevalence of these diseases in the military personnel. The paper also provides examples from personal experience, which together with international studies give a complete picture, on the basis of which conclusions are made on both final and specific issues..

Keywords: Military, selection, stress, endurance, psyche, resilience

მეცნიერული კვლევებით და პრაქტიკული მაგალითებით შესწავლილია, რომ სამხედრო სამსახური არ არის მარტივი და ის ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ უმთავრესი სირთულე სამხედრო მოსამსახურისათვის ფსიქოლოგიური გამძლეობაა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მისთვის მიცემული დავალების შესრულების ხარისხს და ასევე მისი შემდგომ მის მდგომარეობას. სხვა პროფესიის ადამიანებიდან განსხვავებით სამხედროებს ხშირად უწევთ ფორსმაჟორულ, სტრესულ, დაძაბულ და ისეთ არაკომფორტულ სიტუაციებში ყოფნა, როგორცაა უცხო, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი გარემო, სიცივე, სიცხე, შიმშილი, ოჯახთან და ახლობლებთან განშორება და სხვა. ამ და სხვა მსგავს გარემოებებში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მდგრადობა და გამძლეობა იმისთვის რომ სამხედრო პირმა პირველ რიგში შეასრულოს დავალება, შეინარჩუნოს მანამდე არსებული საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შეძლოს დავალებიდან დაბრუნების შემდგომ ცხოვრების ნორმალურ პირობებთან დაბრუნება.

საერთაშორისო, პირადი კვლევების და გამოცდილების მაგალითზე ნაშრომში განვიხილავ ყველა იმ ფაქტორს, რაც მოქმედებს სამხედრო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს და ასევე უშლის მის ფსიქოლოგიურ გამძლეობას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რა ეტაპებს გადიან სამხედროები მანამ, სანამ ისინი დაიწყებენ საქართველოს თავდაცვის ძალებში მსახურს. მათი შერჩევა დადგენილი წესის მიხედვით ხორციელდება ფსიქოლოგიური გასაუბრებით, რომელიც მოიცავს: ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობების განსაზღვრას, რაც გულისხმობს ორკომპონენტურ ტესტირებას და ფსიქოლოგიურ გასაუბრებას, შერჩევის ეს მეთოდი მაქსიმალურად გამორიცხავს არამყარ ფსიქიკის მქონე სუბიექტების სამხედრო სამსახურში მოხვედრას. ასევე შემდგომ ეტაპზე უფრო რთულია კურსები (რეინჯერის კურსი, მყვინთავ მებრძოლოს კურსი, სპეცდანიშნულების კურსი და სხვა), რომელსაც ისინი გადიან საკმაოდ რთულია და საშუალოდ 10-15% შეუძლია მათი წარმატებით დასრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო მისიებში გამგზავრებამდე სამხედრო მოსამსახურეები გადიან წინა მოსამზადებელ კურსებს, რომლებიც მოიცავს საკმაოდ რთულ ფიზიკურ წვრთნას და უზრუნველყოფს მათი როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაძლიერებას. მისიიდან დაბრუნებულ სამხედროებს ასევე უტარდებათ ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელიც ავლენს რამდენად შეიცვალა მათი ფსიქიკა.

მისიიდან დაბრუნებული სამხედროები, რომელთა ფსიქიკამაც ვერ გაუძლო მიღებულ ტრამვებს, იღებენ ისეთ ფსიქოლოგიურ დაზიანებებს, როგორცაა: ბიპოლარული აშლილობა, შიზოფრენია, დეპრესია ან მლელვარება, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული დამოკიდებულება და სუიციდისკენ მიდრეკილება ან/და სუიციდის შემთხვევები. სტატისტიკური მონაცემებით, საერთაშორისო მასშტაბით სამხედროების 8.3% პროცენტს მსგავს დაავადებებთან ბრძოლა მოუწია. ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვა, რომ მსგავსი მენტალური დაზიანებები სამხედროებში, რომლებთანაც შეხება მაქვს, არ შეინიშნება. ფსიქოლოგიური დაზიანებების რისკი შესაძლოა გაიზარდოს მაშინ, როდესაც სამხედროები უშუალო ფიზიკურ დაზიანებას იღებენ, თუმცა ქართულ რეალობაში. ისევე როგორც წამყვან ქვეყნებში, სამსახური მათ ყველა პირობას უქმნის იმისთვის, რომ სრულყოფილად გაიარონ რეაბილიტაცია და დაუბრუნდნენ ჩვეული ცხოვრების რიტმს.

ახლა უშუალოდ გადავიდეთ სამხედროების ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე და მასზე მოქმედ ფაქტორებზე. როდესაც ვმსჯელობთ ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე, ყველას ალბათ სხვადასხვა განმარტება მოგვდის თავში აზრად. მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ ამ სიტყვის უკან რა იმალება იმისთვის რომ შევძლოთ მისი გაანალიზება. ფსიქოლოგიურ გამძლეობას ხშირად ხსნიან როგორც „რისკებისა და უბედურების არსებობის პირობებში წარმატებით ადაპტაციის უნარს“,¹ ან სტრესის ზემოქმედების დაძლევის პროცესს ან ზემოქმედებამდე მის აცილების შესაძლებლობას, ასევე საინტერესოა განმარტება, რომელიც გულისხმობს, რომ ფსიქოლოგიური გამძლეობა ეს არის ფსიქიკის უნარი დაიბრუნოს ან შეინარჩუნოს მისი პირვანდელი ბუნებრივი მდგომარეობა ანუ რამდენად ელასტიური და მოქნილია ჩვენი ფსიქიკა. ბუნებრივია, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს თავში არსებული ისეთი რთული სისტემის ქცევაზე, რასაც ფსიქოლოგია ჰქვია, რთულია ვისაუბროთ მის ბუნებასა და რაიმე ფუნდამენტურ მახასიათებლებზე, რადგან ეს ყველა ინდივიდის შემთხვევაში განსხვავებულია. თუმცა შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს ფსიქოლოგიურ გამძლეობას და სიმტკიცეს სამხედროებში.

„რანდის“ სამხედრო ჯანდაცვის პოლიტიკის კვლევის ცენტრის (RAND Center for Military Health Policy Research) კვლევებიდან გამომდინარე სამხედროებზე მოქმედი ფაქტორებიდან შეიძლება რამდენიმე ტიპი

1 <https://www.military.com/daily-news/2019/09/04/mental-health-disorders-troops-far-belownationalaverage.html?fbclid=IwAR3DN-p89E6ArI0NekjL5n4k7fCajY012wSv0viaY4Gz2MX2FC9f3w#:..:text=Diagnoses%20for%20mental%20health%20conditions,study%20from%20the%20Defense%20Department;>

გამოვყოთ, ესენია: ინდივიდუალური, ოჯახური, ე.წ. ერთეულოვანი (unit) და საზოგადოებრივი ფაქტორები². ყოველმა მათგანმა შესაძლოა სამხედროზე იმოქმედოს როგორც დადებითად ისე უარყოფითად. ამ ფაქტორების შემადგენელი ნაწილები მათთვის სპეციფიკის მინიჭებიდან გამომდინარე, შეიძლება დავეყოთ ფაქტორებად, რომლებიც ხელს უწყობენ და აძლიერებენ სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობას, ასუსტებენ მას და ფაქტორები, რომლებიც ერთდროულად შეიძლება მოქმედებდნენ როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად სამხედროს ფსიქოლოგიაზე.

დავინწყით დადებითიდან: პირველი, ეს არის სოციალურ-ფსიქოლოგიური სიმნიფე², რომელიც გულისხმობს ადამიანის უნარს რეაგირება მოახდინოს გარემოზე, იცოდეს მოქმედების სწორი დრო და ადგილი გარემოებებისა და საზოგადოების კულტურის მიხედვით. სიმნიფე ხაზს უსვამს ინდივიდის მხრიდან ცხოვრების მიზნის, მიმართულებისა და მიზანმიმართული ქმედებების მკაფიო გაგებასა და გათავისებას, რაც მოკლედ რომ ვთქვათ მისი ცხოვრების აზრს განაპირობებს. ეს არის ის თვისება, რომელიც სამხედროს ნამდვილად უნდა ჰქონდეს იმისათვის რომ დარწმუნებული იყოს ყოველ თავის გადადგმულ ნაბიჯში, იცოდეს რას რისთვის აკეთებს და რაც მთავარია ჰქონდეს სტაბილური ფსიქიკა, ხედვები და იყოს მყარი საკუთარ გადაწყვეტილებებში.

მეორე დისციპლინაა. დისციპლინა არ არის მხოლოდ ფიზიკური მზადყოფნის გარანტორი, ის ასევე მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობასა და ხელს უწყობს მის ამალღებას. დისციპლინა, ორგანიზებული და კარგად დაგეგმილი ქცევები სამხედროს ფსიქოლოგიურ სტრესს გარკვეულწილად თავიდან აცილებს, რადგან აქ ქაოსური მდგომარეობები მცირეა, დაბნეულობა ნაკლებია და შესაბამისად სტრესი რომელიც შეიძლება მათ ყოველ ჯერზე უჩვეულო მდგომარეობიდან გამომდინარე მიიღონ, მინიმალურ დონეზეა დაყვანილი. გარდა ამისა, დისციპლინური თვისებები მათ პრობლემების მდგომარეობების მოწესრიგებაში ეხმარება და უმცირებს ფსიქოლოგიურ დატვირთვას.

დისციპლინასთან ერთად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ თვითკონტროლის ანუ საკუთარი თავის ფსიქოლოგიური დისციპლინის როლი. თვითკონტროლი ეს არის საშუალება, რომელიც სამხედროსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა შეინარჩუნოს ფსიქოლოგიური მდგრადობა და გაუძლოს ნებისმიერ სტრესულ მდგომარეობას. მაგალითად მაშინ, როდესაც შესაძლებელია სამხედრო განიცდიდეს გადაღლას, შფოთვას, შიშს, იპყრობდეს ნიჰილისტური ან უიმედობის განცდები. საკუთარი თავის კონტროლი არის ის, რაც მას დაეხმარება აღიქვას რეალობა, სწორად შეაფასოს ის და არათუ მიეცეს მსგავს ფიქრებს, არამედ იპოვოს ოპტიმალური ხედვები და გზა მსგავს სიტუაციაში ან ადაპტაციის ან მისი გამოსწორების. „კონფუცი ამბობდა: „როდესაც ხვდები რომ მიზანს ვერ აღწევ, ნუ შეცვლი მიზნებს, შეცვალე ნაბიჯები...“

სამხედროს ფსიქოლოგიური სიმყარისა და გამძლეობისთვის აუცილებელია პასუხისმგებლობის შეგრძნება, საკუთარ თავზე მისი აღება და ამის გააზრება. სამხედრო რომელიც აანალიზებს და ხვდება რომ ის ვალდებულია საკუთარი ქვეყნის, ხალხისა და ოჯახის წინაშე შეასრულოს გარკვეული დავალება წარმატებულად, ეს მის ფსიქოლოგიურ გამძლეობას ამალღებს და ერთგვარი ბიძგივითაა რათა არ დანებდეს და სირთულეების მიუხედავად გააგრძელოს მოქმედება, რადგანაც ამ დროს ის ხვდება რომ მასზე სხვა ადამიანების ბედი და ზოგჯერ სიცოცხლეცაა დამოკიდებული.

პასუხისმგებლობის შეგრძნება გარკვეულ წილად მოიცავს საკუთარი თავის პატივისცემასაც. სამხედრო, რომელიც საკუთარ დანიშნულებას აანალიზებს და ხვდება თავის წვლილს გარკვეულ საქმეში, ბუნებრივია საკუთარი თავის პატივისცემა მას აუცილებლად ექნება. ამ თვისების არარსებობა სამხედროში შესაძლოა მისთვის სწორედ იმ შემთხვევებში ფსიქოლოგიური პრობლემების წინაპირობა აღმოჩნდეს.

საკუთარი თავის პატივისცემის გარეშე რთულია თავი იგრძნო იმ გუნდის სრულფასოვან წევრად, რომელთან ერთადაც ასრულებ დავალებას, რთულია გუნდური მთლიანობის და ერთობის შიგნით დარჩენა. გუნდური მთლიანობა და ერთიანობა სამხედროსთვის იმედი და საკმაოდ მნიშვნელოვანი საყრდენია. ეს კრიტიკულ სიტუაციაში შესაძლოა მისი გამძლეობის ბოლო საყრდენიც კი აღმოჩნდეს. ვფიქრობ არ არსებობს წარმატებული ოპერაცია ერთობის გარეშე. „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის“ არის პრინციპი, რომელიც ფსიქოლოგიური გამძლეობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

საინტერესოა ასევე ერთ-ერთი ფაქტორი-მორალი. ერთი შეხედვით მასსა და ფსიქოლოგიურ გამძლეობას შორის თითქოს კავშირი არ არსებობს, თუმცა შეგვიძლია მარტივად წარმოვიდგინოთ კრიტიკული მდგომარეობა, რომლის დროსაც სამხედრო დილემის წინაშეა, გარისკოს საკუთარი სიცოცხლე და დაეხმაროს სხვა სამხედროს საფრთხის შემცველი გარემოდან გასვლაში თუ უვნებლად მოშორდეს მხოლოდ თვითონ ტერიტორიას. მორალი გადამწყვეტი ფაქტორია გამოიჩინოს თუ არა სამხედრო ფსიქოლოგიურ გამძლეობას და დაეხმარება თავის თანაგუნდელს თუ პანიკის ფონზე მარტო უვნებლად დატოვებს ტერიტორიას. მორალი

² https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2011/RAND_MG996.pdf iv <https://periodicals.karazin.ua/psychotherapy/article/view/17054>

შესაძლებელია გახდეს ის ფაქტორი, რომელიც სამხედროს აიძულებს გარკვეული ფსიქოლოგიური სირთულის გადალახვაში და მას მეტი გამძლეობის უნარს შესძენს.

და ბოლო ფაქტორი, რომელიც აუცილებლად დადებითად მოქმედებს სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე, ეხმარება მას სირთულეების დაძლევაში და უმაღლესს მოტივაციას არის ერთგულების შეგრძნება. რთულ ექსტრემალურ პირობებში, მაშინ როდესაც შესაძლოა მტერთან დანებება და მათთვის იმის მიცემა, რაც უნდათ უფრო მარტივი და უმტკივნეულო იყოს სამხედროსთვის, ვიდრე გაძლება ყველა იმ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზენოლის, ამ დროს ერთგულება გადამწყვეტ როლს იძენს. ის ხდება სამხედროს პირველ რიგში ფსიქოლოგიური და შემდეგ ფიზიკური გამძლეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც შესაძლოა გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს გარკვეულ სიტუაციებში.

ყველა ამ ფაქტორისა და თვისების კონტრარული სახე, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება და აქვეითებს სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობას. ფსიქოლოგიური გამძლეობის დამაქვეითებელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შიში. შიში ეს ის ფაქტორია, რომელმაც შესაძლოა ფსიქიკაში გავრცელების არეალის პოვნის შემთხვევაში სრულიად თავდაყირა დააყენოს სამხედროს ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სრული ქაოსი და პანიკა გამოიწვიოს მასში. შიში ფიზიკური დაზიანების, ტკივილის, სიკვდილის, ახლობლების ვეღარ ნახვის და ა.შ. შიშები ასევე არსებობს ექსტრემალური სიტუაციის დაწყებიდან მხოლოდ პირველ წამებში, რა დროსაც სამხედრო უმკლავდება ან ვერ უმკლავდება მას. ასეთია განსაკუთრებით ომის დაწყების პირველი წამები, როცა პირველად ხედავს სამხედრო მსგავს მდგომარეობას ის შეიძლება შიშმა შეიპყროს, თუმცა ის იღებს გადამწყვეტილებას, რომ დაძლიოს შიში და შეასრულოს საკუთარი მოვალეობა.

შიშებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხელშემშლელი ფაქტორი თავდაუქცერებლობაა. მაშინ როცა სამხედროს არ აქვს საკუთარი თავის რწმენა, გარკვეული მიზეზების გამო ის დავდაჭერებული არაა, ამ დროს ის დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდის, ირყევა მისი ფსიქოლოგია და მისთვის რთულია რაიმეზე კონცენტრირება, მისი ფსიქოლოგიური სტაბილურობა იწყებს რღვევას და დავალების შესრულების ხარისხიც მნიშვნელოვნად უარესდება.

საინტერესოა ის ფაქტორები, რომელთა მდგომარეობამაც სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე შეიძლება იმოქმედოს დადებითადაც და უარყოფითადაც ერთდროულად. პირველი ეს არის ოჯახი. კარგი ოჯახური მდგომარეობა სამხედროსთვის იქნება ის ფაქტორი, რომელიც მას უბიძგებს ყველაფერს გაუძლოს, შეინარჩუნოს საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმისათვის, რომ დაბრუნდეს უკან და განაგრძოს ჩვეული ცხოვრება საკუთარ ოჯახთან. თუმცა ამავდროულად შესაძლოა ოჯახის მონატრებამ და მათგან შორს ყოფნამ სოციალურ-ფსიქოლოგიურად მოუშინფებელ სამხედროს უბიძგოს მისიისადმი გულგრილობისკენ. პირად მაგალითზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს შემთხვევაში ოჯახური მდგომარეობა მოტივატორი და ფსიქოლოგიური მდგრადობის გამაძლიერებელი ფაქტორი აღმოჩნდა. მაშინ როცა ავღანეთში მისიაში ვიყავი, საქართველოში დაიბადა ჩემი შვილი. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დავბრუნდი და ვნახე ის უკვე გაზრდილი. ეს იყო ის მოტივატორი, რამაც ავტომატურად აამაღლა ჩემი განწყობა და მომცა გამძლეობა იმისა, რომ მისია ბოლომდე წარმატებით მიმეყვანა, უსაფრთხოდ დავბრუნებულიყავი ჩემს ქვეყანაში და ჩემი ოჯახის ახალ წევრთან ერთად გამეგრძელებინა ცხოვრება.

მსგავსი ორმხრივი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ასევე გარემოსაც, სადაც სამხედრო მსახურობს. თანაგუნდელები, მეთაური და სამსახურში არსებული ზოგადი გარემო განაპირობებს სამხედროს ფსიქოლოგიურ გამძლეობას. ეს არის ის ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა შეუმციროს კიდევც და გაუზარდოს სტრესი სამხედროს. პირადად ჩემს სამსახურში ვართ ერთი ინტერესის ირგვლივ გაერთიანებული ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ სამსახურეობრივი ვავშირები არ გვაქვს, ეს ბუნებრივია არამხოლოდ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს მე მათ წინაშე ნებისმიერი დავალების დროს, რომ ვიყო მათთან ერთად და დავხმაროთ ერთმანეთს ნებისმიერ სიტუაციაში, არამედ თავს კომფორტულად მაგრძნობინებს ჩემს სამსახურში და ზოგადად ჩემი ფსიქოლოგიური გამძლეობის ხარისხი მატულობს, როცა ვაანალიზებ, რომ შეიძლება ჩემი ახლო მეგობრის დახმარება მომიწიოს გარკვეული მისიის განმავლობაში. კვლევების თანახმად, ეს არამხოლოდ გამძლეობაზე არამედ სხვა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მოქმედი ერთერთი ძლიერი ფაქტორიცაა.

დღეისათვის სამხედროებში ფსიქოლოგიური გამძლეობის ხარისხის ასამაღლებელი სხვადასხვა კურსები იქმნება, რომელთა დანერგვაც ეტაპობრივად ხდება საქართველოშიც. საერთაშორისო კვლევები და წამყვანი ქვეყნების პროგრამები აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური მომზადება სამხედროსთვის ზუსტად ისეთივე მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ფიზიკური. გონება და ჩვენი ცენტრალური ნერვული სისტემა ნამდვილად განაგებს მთლიან ორგანიზმს, მის ქცევებსა და ქმედებებს. ბუნებრივია სხეული ფიზიკურად ადეკვატურად მომზადებული უნდა იყოს იმისათვის, რომ გონების მიერ მიღებული ბრძანებები შეასრულოს,

თუმცა მთავარი სწორედ ბრძანების გამცემია. მისი გავარჯიშება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვადასხვა კურსებით, თუმცა თანდაყოლილი მონაცემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხედროების ფსიქოლოგიურ გამძლეობაზე. სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამხედრო სამსახურში მსახურის მსურველ ადამიანს მინიმუმ ფსიქოლოგიური რესურსი უნდა გააჩნდეს იმისთვის, რომ შემდეგ მასზე ააშენოს და განავითაროს ფსიქოლოგიური გამძლეობა და სტაბილურობა (სწორედ ამის დასტურია ტესტირება რომელიც მათ უნდა ჩააბარონ სამხედრო სამსახურში მოხვედრამდე) , თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნამდვილად რთული პროცესია.

დასკვნა

ნაშრომში განხილული ფაქტების, მაგალითებისა და კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სამხედროებისათვის ფსიქოლოგიური გამძლეობა არის ის, რისი საშუალებითაც უნდა განვითარდეს და ავიდეს მაღალ საფეხურებზე, რისი საშუალებითაც მან უნდა დაძლიოს ყველა სირთულე, რისი საშუალებითაც უნდა შეძლოს, რომ ყოველი რთული თუ ტრამვეული მდგომარეობის შემდეგ აღიდგინოს ძალა და დაუბრუნდეს საკუთარი ცხოვრების რიტმს. ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე სამხედროებისათვის ყველაზე ეფექტური გზა განვითარონ ფსიქოლოგიური გამძლეობა არის ის, რომ იყვნენ კომფორტულად როცა არაკომფორტულად არიან და ახსოვდეთ რომ „რაც არ გკლავს გაძლიერებს“.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.military.com/daily-news/2019/09/04/mental-health-disorders-troops-farbelownationalaverage.html?fbclid=IwAR3DNp89E6ArIONelkL5n4k7fCajYY012wSv0viaY4Gz2MX2FC9f3w#:~:text=Diagnoses%20for%20mental%20health%20conditions,study%20from%20the%20Defense%20Department;>

https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2011/RAND_MG996.pdf i გვ.16/186

https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2011/RAND_MG996.pdf iv <https://periodicals.>

მოზარდობის ასაკის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

ნანა გობიჩაშვილი ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გარდატეხის ასაკის ფსიქოლოგიური მახასიათებლები. კერძოდ: რა ცვლილებები ხდება მოზარდის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქო-ემოციურ სფეროში და რაზეა დამოკიდებული მოცემული კრიზისის წარმატება/წარუმატებლობით დაძლევის ხარისხი.

გარდატეხის ასაკი, თავისი არსით, საკმაოდ რთული და ამავე დროს საინტერესო ასაკია, რაც გულისხმობს იმას, რომ სერიოზული ცვლილებები ხდება მოზარდის განვითარების ყველა სფეროში და აღნიშნული პოზიცია, უპ.ყ. გამოხატულია თავისუფლებისათვის ბრძოლაში და არსებული ან დაწესებული ნორმებისა და ქცევების გაპროტესტებაში. მოზარდებს სურთ „მე უკვე დიდი ვარ“ პოზიცია, რაც გულისხმობს დიდობისადმი მიდრეკილებას და მშობლის გადაჭარბებული ყურადღების უგულვებელყოფას, სოციალური სისტემების, თანატოლებისა და ოჯახის წევრების გავლენებთან მიმართებაში მაღალ მონყვლადობას, აგრეთვე, ანტისოციალური ქცევების მიმდებლობას და სხვადასხვა ჯგუფებთან მიკუთვნებულობას უსაფრთხოებისა და დაცულობის თვალსაზრისით.

მოცემულ ასაკში იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი და ისეთ ვითხვებზე პასუხების ძიება, როგორცაა – ვინ ვარ, როგორი ვარ, რატომ ვარ ასეთი, ვამართლებ თუ არა მშობლების მოლოდინებს, საკმარისად კარგი ვარ თუ არა და ა.შ. ანუ მიმდინარეობს საკუთარი თავის შეცნობა/გაცნობა სხვათა შეცნობის და სხვების აზრთა წვდომის საფუძველზე. შესაბამისად, მოზარდი დგება ახალი რეალობის წინ – შეკრიბოს და გააერთიანოს ინფორმაცია საკუთარი სოციალური როლების (შვილი/და/ძმა/შვილიშვილი/მეგობარი/მოსწავლე და ა.შ.) შესახებ და მოახდინოს ამ მრავალრიცხოვანი „მე“-ს ხატების ინტეგრაცია პიროვნულ იდენტობაში.

ზემოჩამოთვლილი ასპექტების მნიშვნელობის მიუხედავად, სტატიაში აქცენტირებულია მოზარდობის ასაკში რისკის შემცველი ქცევებისადმი მიდრეკილების წინაპირობები და ტოქსიური ურთიერთობების გავლენა მშობლებსა და შვილებს შორის.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა; გარდატეხის ასაკი; პროტესტი; თვითშემეცნება; ცვლილებები; ფსიქოსოციალური ამოცანები; რისკი; ტოქსიური ურთიერთობები.

Psychological characteristics of adolescence

Nana Gogichashvili
Doctor of Psychology,
Associate Professor at
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Abstract

The paper discusses the psychological characteristics of the transition age. In particular: what changes are taking place in the adolescent's physical as well as psycho-emotional spheres and what the degree of success / failure of the given crisis depends on.

The turning age, by its very nature, is quite a difficult and at the same time interesting age, which implies that serious changes are taking place in all areas of adolescent development and this position, up. Expressed in the struggle for freedom and in protest of existing or established norms and behaviors. Adolescents want the "I'm already big" position, which implies a tendency towards greatness and neglect of the parent's excessive attention, high vulnerability to the influences of social systems, peers and family rules, as well as acceptance of antisocial behaviors and belonging to different groups for safety and security.

At a given age, a difficult process of self-knowledge begins and the search for answers to questions such as - who I am, what I am like, why I am like that, whether I meet my parents' expectations, whether I am good enough or not, etc. That is, one gets to know oneself based on knowing others and accessing the opinions of others. Consequently, the adolescent is faced with a new reality - to gather and integrate information about his / her social roles (child / and / brother / grandchild / friend / student, etc.) and to integrate these numerous "I" icons into personal identity.

Despite the importance of the above aspects, the article focuses on the preconditions of susceptibility to risky behaviors in adolescence and the impact of toxic relationships between parents and children.

Keywords: adolescence; teenage; Protest; Self-knowledge; changes; Psychosocial tasks; Risk; Toxic relationships.

შენაშალი

ტერმინი „მოზარდობა“ ხშირ შემთხვევაში, მოიაზრებს გარკვეული სახის პრობლემებს მოზარდების პიროვნული და ფსიქო-ემოციური განვითარების თვალსაზრისით, რაც შესაძლებელია სხვადასხვა სახით და ხარისხით გამოვლინდეს მათ ქცევებსა და ცხოვრებისეულ ღირებულებებში. გარდატეხის ასაკი მოიაზრებს პერიოდს, როდესაც ადამიანი ბავშვობიდან გადადის მოზარდობაში და ეს ასაკი შესაძლებელია დაიწყოს 9–10 წლიდან, აქსელერაციის გათვალისწინებით და გაგრძელდეს 15/16 ან 19/21 წლამდეც კი. გარდატეხის ასაკის ბოლოს (19/21წ) კი, უმეტეს შემთხვევებში, ამ ასაკისათვის დამახასიათებელი პრობლემები თითქმის მოგვარებულია, რაც აისახება მოზარდის მიერ საკუთარი თავისა და გარემოს მიმდებლობის მაღალ ხარისხში, სოციუმთან, მშობლებთან და თანატოლებთან ეფექტურ ადაპტაციაში, გარკვეულ ჯგუფებთან მიკუთვნებულობაში საკუთარი ინტერესების და უნარ-შესაძლებლობების გათვალისწინებით და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ამ ეტაპზე არსებითი ცვლილებები ხდება მოზარდის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ცვლილებებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის უნიკალური მოთხოვნილებები, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ისინი აღარ არიან ბავშვები, თუმცა, არც ზრდასრულები. შესაბამისად, ისინი ითხოვენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და განსაკუთრებული აღიარების ხარისხს, აპროტესტებენ ქცევებისა და წესების არსებულ ნორმებს, იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამჟღავნებენ „დიდობისადმი მიდრეკილებას“, უგულვებელჰყოფენ მშობლების გადაჭარბებულ ყურადღებას და ახდენენ მათგან სეპარაციას. ამავე დროს, ისინი ხდებიან საკმაოდ მონყვლადები, სენზიტიურები და სამწუხაროდ, მიკუთვნებულობის, უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ანტისოციალური და დესტრუქციული ქცევების მიმდებლობაც კი გაეზარდოს, რაც გულისხმობს ე.წ. დაჯგუფებებთან მიკვდლებულობას ანუ იმ თანატოლებთან კომუნიკაციას, რომელთაც აქვთ თავისებური მორალი, დაუნერვლი კანონები და შესაძლებელია, მეტ-ნაკლებად კრიმინალური ქცევის კოდექსიც კი.

საინტერესოა, რომელი ცვლილებები შეიძლება ჩაითვალოს მოზარდობის ასაკისათვის დამახასიათებელ ყველაზე გავრცელებულ პრობლემებად, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მოზარდის პიროვნულ განვითარებაზე? მოკლედ განვიხილოთ ისინი.

1. ფიზიკური ცვლილებები, რომელსაც ადგილი აქვს ჰორმონალური ფონის ცვლილებების საფუძველზე. ესენია: საკუთარი სხეულის მიმდებლობა/არმიმდებლობა; აკნე, რაც, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, მთავარ პრობლემას წარმოადგენს მოცემულ ასაკში; ბიჭებში ხმის ტონალობის და თმოვანი საფარველის ცვლილება, აგრეთვე კუნთოვანი მასის ზრდა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ჭარბი წონა;

2. ემოციური ცვლილებები, რომლებსაც ასევე იწვევს ჰორმონალური ცვლილებები ფიზიკურ ცვლილებებთან ერთად. ესენია: ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გარდამავალი პერიოდის გამო უხერხულობის განცდა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ უფროსების მსგავსად მათ უჩნდებათ მოვალეობები, ხოლო ბავშვების მსგავსად, სხვადასხვა მარტივი სურვილები. სწორედ ჰორმონალური ცვლილებების გამო, შესაძლებელია უმნიშვნელო მოვლენამ უკიდურესი ემოცია გამოიწვიოს – სიხარულის, წყენის ან გაბრაზების. შესაბამისად, ხშირია გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში. გარდა ამისა, ფიზიკური ცვლილებები, ემოციური თვალსაზრისით, ხშირად ხდება თვითრეფლექსიის წინაპირობა, რამაც თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს არასრულფასოვნების ან პირიქით, სხვებზე უპირატესობის განცდის ფორმირებას.

3. ქცევის ცვლილებები, რომლებიც ჭარბი ემოციების გამო, ხშირ შემთხვევებში, შეიძლება იმპულსური ქცევის სახით გამოვლინდეს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ზიანი მიადგეს როგორც თავად მოზარდს, ისე მის გარემოს. უნდა აღინიშნოს, რომ იმპულსური ქცევა, ისედაც დამახასიათებელია გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდებისათვის, რადგან ისინი მუდმივად ეჭვქვეშ აყენებენ მშობლებისა და უფროსების მიერ დადგენილ წესებს და ხშირ შემთხვევაში, მაინც იმას აკეთებენ რაც მათ უნდათ და რაც მათ მიაჩნიათ სწორად. ამავე დროს, მოზარდებს ახალი შთაბეჭდილებების მიღების მიზნით, ხშირად უჩნდებათ სარისკო ქცევის განხორციელების სურვილი, რაც შესაძლებელია გამოხატული იყოს საკმაოდ არაორდინალური და ანტისოციალური ქცევითაც კი. ამავე ასაკში, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, ჯგუფთან მიკუთვნებულობის და დაცულობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მოზარდი შესაძლებელია მოექცეს დესტრუქციული ქცევის თანატოლების გავლენის ქვეშ, რასაც შედეგად მოჰყვება მავნე ჩვევებისა და კრიმინალური ქცევების განხორციელება. მოცემულ ასაკში, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ე.წ. თინეიჯერული მოდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია არ დაემთხვეს უფროსების გემოვნებას და ეს ეხება, როგორც ვარცხნილობას და ჩაცმულობას, ისე ვიზუალურ მხარეს (საყურე, პირსინგი). ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა

მოცემულ ასაკში ტყუილების თქმა, როგორც ქცევითი პრობლემა, რომელიც თავის მხრივ, ხდება მშობლებთან სერიოზული კონფლიქტის მიზეზი

4. მონვეა, ალკოჰოლი და ნარკოტიკები წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას, რასაც მშობლები აწყდებიან მოზარდობის ასაკში და რასაც, მოზარდები ხშირ შემთხვევაში, აკეთებენ თანატოლების ზეგავლენის საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია მშობლის ქცევის მოდელი და მისი დამოკიდებულება აღნიშნულ ქცევებთან. შესაძლებელია მსგავსი ქცევის განხორციელების მიზეზი თავის დამკვიდრების ან „ძველი ბიჭის“ ან „მაგარი ბიჭის“ სტატუსის მოპოვების მიზნითაც კი განახორციელოს. გასათვალისწინებელია ისიც თუ რამდენად ადვილად ხელმისაწვდამია მოზარდისთვის აღნიშნული ნივთიერებები და მის ახლო გარემოცვაში ხომ არ არსებობს მსგავსი ქცევის მოდელეები.

5. სწავლის სირთულეები, შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც პროფესიული არჩევანის დროს, ისე უმაღლესი სასწავლებლისთვის მოსამზადებელ პერიოდში, როდესაც მეტი ძალისხმევა სჭირდება შემეცნებით აქტივობებს. ქცევის სახეები, რომლებიც აშორებს ბავშვს სწავლის პროცესებთან, წარმოადგენს საკმაოდ მაღალ რისკს რომ მას დაუქვეითდეს აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გახდეს მშობლებთან კონფლიქტის დამატებითი წყარო.

6. ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია გამოვლინდეს თვითშეფასების, თავდაჯერებულობის, არასრულფასოვნების ან პირიქით, სხვებზე უპირატესობის შეგრძნების სხვადასხვა ხარისხით. აღნიშნულის მიზეზები შეიძლება იყოს გარეგნობა, აღნაგობა, დაბალი აკადემიური მოსწრება, სხვადასხვა აქტივობებთან მიმართებაში დემოტივაციის ხარისხი, ოჯახური მდგომარეობა, მშობლებთან და და—ძმებთან კონფლიქტი, მუდმივი სტრესი, რაც შეიძლება გახდეს შფოთვისა და აგრესიული ქცევის მიზეზი.

7. ინტერნეტდამოკიდებულება, რომელიც დღესდღეობით ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოზარდებთან მიმართებაში. მოზარდებს შეუძლიათ საათობით ისაუბრონ ტელეფონზე, წერონ ელექტრონული წერილები ან ითამაშონ სხვადასხვა სახის, ხშირ შემთხვევაში აგრესიული შინაარსის თამაშები, დროის ლიმიტირების გარეშე. მსგავს შემთხვევებში, მათ აქვთ ნაკლებად აქტიური სოციალური ცხოვრება, ჰყავთ ნაკლები ან საერთოდ არ ჰყავთ მეგობრები, ზედმეტად არიან დამოკიდებული ასე ვთქვათ, ეკრანზე და მთლიანობაში, ეს ყველაფერი ამცირებს მოზარდების ფიზიკურ აქტივობას და უქმნის მათ არაჯანსაღ და უსიცოცხლო ცხოვრების წესს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ასე გამოიყურება:

- სქესობრივი ჰორმონების გააქტიურება;
- ცნობისმოყვარეობა, უცნობის და ახლის გამოცდის და შემეცნების სურვილი;
- საკუთარი თავის შემეცნების სურვილი და ცხოვრების საზრისის ძიება: „ვინ ვარ, რატომ ვარ?“
- სწრაფი აგზნება და ემოციური აფეთქებები;
- დამოუკიდებლობის სურვილი;
- თანატოლების მხრიდან აღიარების სურვილი;
- მშობლების ავტორიტეტის უგულვებლყოფა;
- „მე“—ს იდენტობის ძიება: თვითშეფასებისა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების და რწმენების ჩამოყალიბება და სხვ;
- ალტერნატიული როლების, იდენტობების მორგება, მათ შორის ნეგატიური და სარისკო ქცევების;
- მნიშვნელოვანი ჯგუფის გავლენის ქვეშ ადვილად მოქცევის ტენდენცია [3].

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან, თითოეული ცალსახად ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იდენტობების მორგება, ნეგატიური და სარისკო ქცევებისადმი მიდრეკილება და მშობლების ავტორიტეტის უგულვებლყოფა შვილი/მშობლის ტოქსიური ურთიერთობის ჭრილში. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკადაც.

ალტერნატიული როლების, იდენტობების მორგების, მათ შორის ნეგატიურ და სარისკო ქცევებთან მიმართებაში, უაღრესად მნიშვნელოვანია ვისკონსინის საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის მკვლევარის, დოქტორ ბრედფორდ ბრაუნის კვლევები[2], რომელიც აქტიურად იკვლევდა მოზარდების თანატოლებთან ურთიერთობებს და ამ ურთიერთობების გავლენებს ჯგუფების ფორმირება/ფუნქციონირებაზე. იგი თვლიდა, რომ მოზარდების ფსიქიკაში მიმდინარე ნეირობიოლოგიური პროცესები განსაზღვრავენ სწორედ ამ ასაკის ძირითად მახასიათებლებს და რთული ქცევის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს. აღნიშნული პროცესები, ავტორის თქმით, გაგებელი უნდა იქნეს ფსიქოლოგიური განვითარებისა და სოციალური გავლენების კონტექსტში, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმას, თუ რომელი კონკრეტული ფსიქოსოციალური ამოცანების გადაწყვეტა უწევს მოზარდს აღნიშნულ ასაკში და მანვე დაასახელა ოთხი ასეთი ძირითადი ამოცანა. ესენია:

- გამოყოფა/გამორჩევა ანუ მოზარდი უნდა გამოირჩეოდეს რაღაც ნიშნით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოზარდმა უნდა განვიითაროს იდენტობა და ისწრაფვოდეს ავტონომიისაკენ;
- მორგება/ჩანერგვა ანუ მოხდეს შერწყმა რაღაც ჯგუფთან და შედეგად, მოზარდმა მოიპოვოს სასურველი კავშირები და მოიპოვოს თანატოლების აღიარება;
- შესაბამისობა/ადექვატურობა ანუ მოზარდმა უნდა შეძლოს გარკვეულ სფეროში კომპეტენციის განვითარება/ამაღლება საკუთარი უნარ–შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- გამყარება/დამკვიდრება/ადგილის დამაგრება ანუ მოზარდმა უნდა შეძლოს პასუხიმგებლობებისა და ვალდებულებების აღება გარკვეულ კონკრეტულ მიზნებთან და ქმედებებთან მიმართებაში.

ყველა ჩამოთვლილი ქცევითი აქტობა, თავისთავად ითვალისწინებს რისკების გარკვეულ ხარისხს, რომელთა განხორციელების მიზეზები შეიძლება ხუთ ფაქტორად წარმოვადგინოთ. ესენია: ბიოლოგია/გენეტიკა, სოციალური გარემო/თემი, უშუალო გარემოცვა, პიროვნული თავისებურებები და თავად მოზარდის ქცევა. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და განაპირობებენ კიდევ რისკის სხვადასხვა ხარისხის შემცველი ცხოვრების წესს.

ბ.ბრაუნის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგების ანალიზმა დაადგინა ის, რომ ერთის მხრივ, რისკის შემცველი ქცევების გარკვეულ ნაწილს, შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება, ხოლო მეორეს მხრივ, მოზარდები შესაძლებელია რეალურად, მართლაც ჩაერთონ ისეთ სარისკო ქცევებში, რომლებიც დაეხმარება მათ, თავადვე, დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ წარუმატებლობას ერთ–ერთ ამ სფეროში.

ბრაუნის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მან პირველმა შეხედა რისკების აღებასა და იდენტობის განვითარებას შორის ურთიერთობას ინდივიდუალური ფსიქოლოგიური განვითარების პროცესის ჭრილში, მაშინ, როდესაც მეცნიერების უმეტესობა სოციალიზაციის ხარისხს ანიჭებდა უპირატესობას, რაც გულისხმობს იმას, რომ გემოაღნიშნული ქცევების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მოზარდს შესაძლებელია თავადვე ჩამოუყალიბდეს მკაფიო და ჯანსაღი წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ არის ის, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი და როგორია მისი დამოკიდებულება ზოგადად ცხოვრებასთან და სამყაროსთან მიმართებაში.

რაც შეეხება მოცემულ ასაკში მოზარდებისათვის ფსიქოლოგიური სერვისის მინოდებას სარისკო ქცევების შემცირების თვალსაზრისით, ერთერთ ქმედით პრევენციულ ღონისძიებად განიხილება შესაბამისი სპეციალისტის ჩართვა (ფსიქოლოგი/ფსიქოკონსულტანტი/ფსიქოთერაპევტი), რომელიც იმუშავებს ორი მიმართულებით – პირველი, თავად მოზარდებთან მუშაობა და მეორე, მშობლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა. ბუნებრივია, აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე ასპექტი. კერძოდ:

- ჯანსაღი, პარტნიორული და თანამშრომლობითი ურთიერთობა მოზარდსა და სპეციალისტს შორის – ეს არის წარმატების გასაღები, ვინაიდან სწორედ ამ დროს უყალიბდება მოზარდს ნდობის, დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა უფროსებთან მიმართებაში;
- კონფიდენციალობა – გასაგებია, რომ ბევრ მშობელს სურს გაიგოს რა ხდება და რაზე საუბრობენ სპეციალისტი და მისი შვილი სესიებზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი არაჯანსაღი ჩართულობა, რაც გულისხმობს მოზარდისგან ან სპეციალისტისგან ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნას მიმდინარე პროცესებში, ხშირად შესაძლებელია ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი უფრო აღმოჩნდეს, ვიდრე დამხმარე საშუალება. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – მოზარდთან წინასწარი შეთანხმების და მისანოდებელი ინფორმაციის რაოდენობის გათვალისწინებით ან თუ მოზარდის სიცოცხლეს ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ემუქრება გარკვეული საფრთხე. ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობა აქვს მშობლის ფსიქოტიკს, მის ხასიათს და მის დამოკიდებულებას მოზარდთან და მის პრობლემებთან; აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს ოჯახურ ფსიქოკონსულტირებას, რომელშიც შესაძლებელია ჩა რომ მოზარდის ურთიერთობა სპეციალისტთან არის რთული იყოს ოჯახის რამდენიმე წევრი;
- სპეციალისტი განიხილავს **უსაფრთხოების საკითხსაც**, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი არიან, ასე ვთქვათ, უფლებამოსილი რეპორტიორები, რომლებიც ვალდებული არიან შესაბამის სამსახურებს აცნობონ ბავშვზე ძალადობის და სასტიკი მოპყრობის ფაქტები. მიმართვა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუკი მოზარდი აფიქსირებს სუიციდიალურ მიდრეკილებებს ან აპირებს ვინმესთვის ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებას;
- **მშობელმა არ უნდა ჩათვალოს, რომ მოზარდის ურთიერთობა სპეციალისტთან არის „უბრალო საუბარი“ ან დროის გაყვანა „სისულელეებზე ლაპარაკში“.** სესიების ეფექტურობის ხარისხს განსაზღვრავს მოზარდისათვის თავისუფლების მინიჭების ხარისხი, რომ მან თავად აირჩიოს სასაუბრო თემა, რაც

თავის მხრივ, განაპირობებს სპეციალისტთან დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის არსებობას, რაც თავის მხრივ, უკვე იქნება თერაპიული ეფექტის წინაპირობა;

- **თუკი მოზარდს დასჭირდა ფსიქოკონსულტანტი ან ფსიქოთერაპევტის დახმარება, ეს არ ნიშნავს რომ მას ცუდი ან უყურადღებო მშობელი ჰყავს, ან მათ „რაღაც“ გაგეპარათ.** მშობლებს არ შეუძლიათ საკუთარი შვილების ცხოვრების ყველა დეტალი აკონტროლონ. შესაბამისად, თუკი მშობელი თავად აღიარებს სხვა უფროსის და მით უფრო, კვალიფიციური სპეციალისტის ჩართულობის აუცილებლობას საკუთარ შვილთან მუშაობის, ქცევის ან ღირებულებების კორექტირების თვალსაზრისით, პირიქით, ეს გარკვეულწილად კულტურისა და აღზრდის ნაწილადაც შეიძლება ჩაითვალოს. საჭიროების შემთხვევაში, არანაკლებ ეფექტური იქნება მშობლის ან მშობლების კონსულტირებაც[1].

რატომ არის ხშირად აუცილებელი მშობლის კონსულტაცია? იმიტომ რომ ერთერთი მნიშვნელოვანი სტრესორი, რომელიც ართულებს მოზარდის ისედაც რთულ ფსიქოემოციურ მდგომარეობას, არის ემოციურად არასტაბილური და ე.წ. ტოქსიური მშობელი ან მშობლები. რას გულისხმობს აღნიშნული ტერმინი? როგორც ოჯახის ფსიქოლოგი ლუდმილა პეტრანოვსკაია ამბობს: ტოქსიური მშობელი არის ის, ვინც პიროვნული მახასიათებლების ან სერიოზული ტრავმული გამოცდილების გამო სისტემატურად ნეგატიურ კონტექსტში მოქმედებს ბავშვზე, იყენებს მას, ვერ ზრუნავს მასზე, არ არის მგრძობიარე მისი საჭიროებების მიმართ და არ უყვარს იგი [4].

რა მახასიათებლები აქვთ ტოქსიურ მშობლებს? რას ამბობენ და როგორ იქცევიან ტოქსიური მშობლები?

- „მე შენ შემოგწირე ყველაფერი, შენ კი...“ / „შენ რომ არა, იმდენს მივაღწევდი!“
- „უბრალოდ შეხედე საკუთარ თავს! ჩაიხედე სარკეში საერთოდ რას ჰგავხარ...“
- „ჩემს გარდა ვის სჭირდებით საერთოდ...“
- „საშინელი ვგოისტი ხარ! არც მიკვირს, მამაშენის ასლი ხარ...“
- „იცოდე თავს მოვიკლავ თუ შენ ამას გააკეთებ...“
- „შენ მაგას არავინ გეკითხება, რასაც გეტყვიან, იმას გააკეთებ...“
- რაც შეეხება ქცევებს, ისინი ასე გამოიყურება:

- **გადაჭარბებული კონტროლი:**

- სად, როდის, რამდენი ხნით, რატომ, ვისთან ერთად, როდის ნახვალ, როდის მოხვალ და ა.შ. – ეს ყველაფერი ექვემდებარება უმკაცრეს კონტროლს, რაც ერთის მხრივ, ნამდვილად შეიძლება გამოხატავდეს ზრუნვას, შფოთვის და შიშს გარკვეულ ასაკში, თუმცა, მეორეს მხრივ, ეს არის ინდივიდუალობის და დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა გარდატეხის ასაკში.

- **ჯანსაღი კონტროლის დეფიციტი, ყველაფრის უფლება და სრული იგნორი:**

ეს არის მეორე უკიდურესობა. თუ მშობელს გარკვეული პრობლემები აქვს (ჯანმრთელობის, კარიერის, პირადი ცხოვრების და ა.შ.), მას ნამდვილად არ სცალია საკუთარი შვილისათვის, მოზარდმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს, ვის ჰკითხოვს რჩევა და ვის ენდოს. სწორედ აქ არის დიდი ალბათობა, რომ მან თავად აიღოს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი, მიდრეკილება გამოავლინოს რისკის შემცველი ქცევებისადმი და თუნდაც საკუთარი სურვილის მიუხედავად, მიეკედლოს ისეთი მოზარდების ან უფროსების ჯგუფს, რომელიც სამწუხაროდ შეცვლის მის ცხოვრებას დესტრუქციული მიმართულებით. მართალია, არსებობს ალბათობა, რომ მოზარდმა თავად აიღოს საკუთარი ცხოვრების ხარისხზე და მიზნებზე ჯანსაღი ორიენტირი და პასუხისმგებლობა, თუმცა, ეს მაინც იშვიათი გამონაკლისია.

- **მანიპულირება:**

მშობლის ან მშობლების მხრიდან მანიპულირება, რომ „თუ შენ ამას არ გააკეთებ, მე თავს მოვიკლავ, მდინარეში გადავხტები, თავს ჩამოვიხრჩობ, გავჭაღარავდები და მოვკვდები“ და ა.შ.

- **დადანაშაულება:**

როდესაც მშობელი ვერ ართმევს თავს საკუთარ პასუხისმგებლობებს, ის იწყებს შვილი/შვილების დადანაშაულებას ყველაფერში. მაგ. „შენ რომ არ გამეჩინე, ცხოვრება უკეთესად მექნებოდა ანყობილი; შენმა არსებობამ ბევრ რამეში შემიშალა ხელი“ და სხვ.

- **ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა:**

მაგალითად, ბავშვი თავის საყვარელ თამაშს თამაშობს ტელეფონში ან კომპიუტერში. მშობლები მას სთხოვენ, რომ დროზე მორჩეს თამაშს ან სხვა საქმე გააკეთოს, თუმცა, მოზარდი იმდენად არის ჩართული მისთვის სასიამოვნო აქტივობაში, რომ „არ ესმის“ მშობლების. ამ დროს, შესაძლებელია მშობელი ფიზიკურადაც კი შეეხოს მოზარდს ან ვერბალური ფორმით ისეთი შეურაცხყოფა მიაყენოს, რაც შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად.

• **გაუფასურება/აუღიარებლობა:**

ამ შემთხვევებში, უფროსების მხრიდან, მოზარდთან მიმართებაში ხშირად ისმის შემფასებლური რეპლიკები: „დიდი არაფერი“, „მაგას ხომ ყველა შეძლებდა!“ „ეგ ვითომ რამე გგონია?“ და ა.შ. სამწუხაროდ, მოზარდები რომლებიც ისმენენ მსგავს ფრაზებს, სწავლობენ მსგავს დამოკიდებულებას საკუთარ თავთან და რწმუნდებიან, რომ რაც არ უნდა გააკეთონ და რასაც არ უნდა მიაღწიონ, ყველაფერი იქნება არასწორი და უმნიშვნელო. შედეგად, ყალიბდება დაბალი თვითშეფასება და იზრდება დემოტივაცია.

• **ინფანტილიზმი:**

როცა მშობელი იმდენად უმნიშვარი აღმოჩნდება მშობლის სტატუსისადმი, რომ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მოზარდს. ეს ისეთი „დედა-მეგობრები“ არიან, რომლებიც ბავშვს ყველაფერს უყვებიან – საკმაოდ დელიკატური თემების ჩათვლითაც კი. მართალია, მოზარდებს ხშირ შემთხვევებში, ეს სიამოვნებთ რადგან დიდებად გრძობენ თავს, მაგრამ მთლიანობაში, ეს მათ უჩენს უფრო მეტ საფიქრალს და საზრუნავს.

• **პატივისცემის, ნდობის დეფიციტი და ღირსების შელახვა:**

შეურაცხყოფელი მიმართვები, უნდობლობა, ტოტალური კონტროლი, სხვებთან გადამონმება, სხვა ბავშვებთან შედარება, სხვისი მაგალითების მოყვანა.

მშობლების მსგავს ქცევებს, ბუნებრივია, თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ:

- მშობლის/მშობლების პიროვნული თავისებურებები და ხასიათობრივი შტრიხები(ფსიქოპათიური ან ნარცისული ხასიათი; ემოციური სიმწიფის დაბალი ხარისხი);
- ფსიქოლოგიური ტრავმის პირადი გამოცდილება;
- ფსიქიკური დაავადებები. მაგ.დეპრესია, ოკა, ბიპოლარული აშლილობა და სხვ.
- უძლურება, ძალაუფლების აღდგენის სურვილი;
- საკუთარი გადაუმუშავებელი ტრავმების გაუცნობიერებელი პროექცირება შვილზე;
- წარუმატებლობა და მარტობა პირად და პროფესიულ სფეროებში;

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, რა თქმა უნდა, არ უნდა დააშინოს მშობლები და მათ არ უნდა ჩათვალონ, რომ ისინი მაინც ვერაფერს გახდებიან მოზარდებთან და უძლურები არიან მათ პრობლემებთან მიმართებაში. პირიქით, ნათლად უნდა გაააცნობიერონ, რომ შვილი/მშობლის ურთიერთობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის დამოკიდებულებას, მის მიერ ასაკობრივი კრიზისების დაძლევის სტრატეგიების ცოდნას და საკუთარი შვილებისადმი უპირობო პატივისცემას და მიმღებლობას.

შესაბამისად, აქვე გთავაზობთ რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას, რომლებიც რეალურ და ქმედით დახმარებას გაუწევს უფროსებს მოზარდებთან ეფექტურ ურთიერთობებში.

- საუკეთესო საშუალება მშობლის მხრიდან, ამ შემთხვევაში არის ის, რომ, ესაუბრონ საკუთარ შვილებს ფსიქიკასა და სხეულში მიმდინარე ცვლილებებზე. აუხსნან, რომ ეს ცვლილებები ნორმალურია. ყველა მოზარდი გადის ამას. დაეხმარონ მათ ცვლილებებთან ადაპტაციაში და ამავე დროს, თავად აღიარონ ეს ცვლილებები. მათთვის მისაღები ფორმით (და არა დირექტიული და ავტორიტარული) ესაუბრონ ჭანსალი ცხოვრების წესის, ჰიგიენური ნორმების და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის შესახებ;
- ემოციური ფონის ხშირი ცვალებადობის გამო, მოზარდი რეალურად საჭიროებს უფროსის ჩარევას. ეს შესაძლებელია იყოს მშობელი, პედაგოგი, მისთვის ავტორიტეტული უფროსი ადამიანი ან შესაბამისი სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ფსიქოკონსულტანტი). მოზარდს მშობლის მხრიდან, უნდა შეექმნას იმის პირობები, რომ მან შეძლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, პოზიცია, თუნდაც არასწორი, მოიყვანოს არგუმენტი ან კონტრარგუმენტი, თავისუფლად შევიდეს დისკუსიაში და ა.შ. უფროსმა მოზარდს უნდა მოუსმინოს განსჯის გარეშე და ნუ მისცემს რჩევას, თუ მას ამისათვის შესაბამისი მზაობა არა აქვს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ფიზიკური აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოზარდს „ბედნიერების ჰორმონის“ სეროტონინის დონის ამაღლება/შენარჩუნებაში, რომელიც თავის მხრივ, პასუხისმგებელია დადებით განცდებზე;
- მოზარდობის ასაკში არსებული პრობლემები ზოგადად საკმაოდ დიდ დისკომფორტს უქმნის მშობლებს და სწორედ ამიტომ, ჯერ თავად მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ეს არის დროებითი და ეს ცვლილებები საკმაოდ ნორმალურია. აქ უმნიშვნელოვანესია მოზარდის ნდობის მოპოვება კრიტიკის გარეშე, რადგან ჩასაფრებულ პოზიციაში ყოფნა უფრო გაამწვავებს კომუნიკაციას მოზარდთან. პირიქით, უნდა მოხდეს იმის მონოდება და მოტივირება, რომ მოზარდი დარჩეს იმ პიროვნებად, ვინც არის და არ მოექცეს სხვების გავლენის ქვეშ. მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოზარდი ხშირად საჭიროებს მათ მხარდაჭერას საკუთარი ემოციების მართვის თვალსაზრისით. მშობელი უნდა დაეხმაროს მოზარდს საკუთარი გამოცდილების გაზიარებით, ჰკითხოს რჩევა, აგრძნობინოს,

რომ მისთვის მნიშვნელოვანია მისი მხარდაჭერა და მოსაზრება. მსგავსი მიდგომები, ნამდვილად დაეხმარება მოზარდებს სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაში და არსებული კრიზისების ეფექტურად დაძლევაში;

- მშობლის მიერ ყურადღება უნდა მიექცეს ძილის და კვების რეჟიმის, ჰიგიენის დაცვის, განწყობების ხშირი ცვლადობის ასპექტებს. მშობელმა უნდა წახალისოს, რომ მოზარდი იყოს გულწრფელი და გაუზიაროს თავისი აზრები და მოსაზრებები. არ უნდა მოხდეს მისი დადანაშაულება მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, რადგან ეს შეიძლება გახდეს სერიოზული კონფლიქტის მიზეზი;
- უნდა მოხდეს მოზარდების შემეცნებითი მოთხოვნილებების წახალისება და იმის ახსნა, თუ რისთვის არის საჭირო სწავლა, რომ ეს არის ცხოვრებაში წარმატების მიღწევის და სასურველი მიმართულებით თვითრეალიზაციის რეალური საშუალება;
- ხანდახან მოზარდი თავს ცუდად გრძნობს მხოლოდ სახლში, ხოლო მეგობრებთან, თანატოლებთან, სკოლაში, სპორტის და სახელოვნებო წრეებში, შედარებით უფრო კომფორტულად და მშვიდად გრძნობდეს თავს. ამ დროს, მშობლისა და უფროსების მიერ არ უნდა მოხდეს მოზარდის გრძნობების უგულებელყოფა, რამაც შესაძლებელია უფრო გაართულოს მოზარდის ფსიქოემოციური მდგომარეობა. თუ მოზარდს უჭირს კომუნიკაციის დაწყება, მაშინ უფროსმა უნდა შეძლოს „ყინულის გაღობა“ და გარკვეულწილად ახლოს მისვლა მის ემოციებთან და ფიქრებთან;
- თუ მოზარდი დიდ დროს ატარებს კომპიუტერთან, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ნამდვილად ინტერნეტდამოკიდებულია. პირველი, რასაც მშობელი აკეთებს არის, ის, რომ ცდილობს გაარკვიოს სად, რამდენ ხანს ატარებს მოზარდი, ვისთან და რა თემებზე აქვს კომუნიკაცია. ბუნებრივია, ეს ყველაფერი კეთდება მოზარდის ღირსების შელახვის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გახდება დამატებითი კონფლიქტის წყარო. მშობელს უნდა ახსოვდეს ისიც, რომ ის აღარაა პატარა და მას აქვს უფლება დამოუკიდებლად მიიღოს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები. ჯანსაღი კომუნიკაციის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება თუ რამდენ ხანს გაატარებს ინტერნეტ-სივრცეში. ამავე დროს, შესაძლებელია დაიგვეგმოს ისეთი ოჯახური აქტივობები, რომელშიც გონივრულად იქნება მოზარდის როლი გათვლილი, რაც ხელს შეუწყობს მოზარდს ახალი ინტერესების ფორმირებაში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ როგორ გაივლის ამ პერიოდს მოზარდი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზე დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება, რასაც სასურველია თან სდევდეს მშობლების მიერ საკუთარი ცხოვრების ფსიქოლოგიური ხარისხის მონიტორინგი, თვითშემეცნების და თვითრეალიზაციის ჯანსაღი ხარისხი, ემოციური სიმწიფე, ემოციური ინტელექტის და ფსიქოგანათლების ხარისხი და ცხოვრების პოზიტიური აღქმა, რაც თავის მხრივ, ემედითად და ეფექტურად დაეხმარება მშობლებს გარდატეხის ასაკის პრობლემებთან გამკლავებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Medically reviewed by Ann-Louise T. Lockhart, PsyD, ABPP By Amy Marschall, PsyD

What Is Adolescent Psychology? Updated on September 27, 2021 <https://www.verywellmind.com/what-is-adolescent-psychology-5201894>;

The Psychology of Adolescence The Science of Adolescent Risk-Taking: Workshop Report. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK53420/>

თამარ გაგოშიძე, გარდატეხის ასაკი (11–18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება)- მშობლის მეგზური <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/mar/readers/gagoshidze-gardatexis.pdf>

Ирина Парфенова, Токсичные родители. Как детские травмы влияют на взрослую жизнь 17 августа 2021 <https://blog.mann-ivanov-ferber.ru/2021/08/17/toksichnye-roditeli-kak-detskie-travmy-vliayut-na-vzroslyuy-zhizn/>

Н.И. Козлов, Психология подросткового возраста <https://www.psychologos.ru/articles/view/psihologiya-po-drostkovogo-vozrasta>.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა განათლების თანვისაზრებები

მაია გაბნიძე

ა.ა.ი.პ „საქართველოს საკანონმდებლო ასამბლეის განათლების პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ ფსიქოლოგიის მაგისტრი, კრეატიული ექსპერტი თერაპედი, სუპერვიზორი : მაია გაბნიძე
ნაშრომის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი: ნონა ახალაშვილი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში აღწერილია აუტიზმის სპექტრის აშლილობის რაობა. განხილულია აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვთა განვითარება და მისი თავისებურებები, გამონვევები, სტატისტიკა და რისკ ფაქტორები. ასევე განხილულია აღნიშნული დიაგნოზის მახასიათებლები დეტალურად, უნდა აღინიშნოს რომ დღევანდელობაში, აუტიზმი გასცდა სამედიცინო სფეროს და რეალურად იგი წარმოადგენს სოციალურ საკითხს, ამას თავისი გარკვეული მიზეზიც გააჩნია, მისი გავრცელება, სტატისტიკა საკმაოდ მზარდია. თანამედროვე მიდგომებით მთელი მოფლიოს სამედიცინო სამყარო გადასულია არა მხოლოდ დიაგნოსტიკაზე და ამ მდგომარეობის მართვაზე, არამედ საზოგადოების ჩართულობაზე. იგულისხმება ყურადღების გამახვილება, არა იმ გამონვევებზე რაც შეიძლება ჰქონდეს აუტიზმის სპექტრის აშლილობის ადამიანს, არამედ აქცენტის გაკეთება ძლიერ მხარეებზე და მათ სოციუმში მაქსიმალურად, ყველდღიურად ჩართვაზე. ნაშრომი შეიცავს: შესავალს, ძირითად და დასკვნით ნაწილს. შესავალში მოკლედ მიმოვიხილავთ დიაგნოზს, მის მახასიათებლებს, დანყებული აღმოჩენის დღიდან დღემდე, ასევე მიმოვიხილავთ დიაგნოზის რაობას, გამონვევებს, ვსაუბრობთ ცნობადობის ამალღების მნიშვნელობაზე, რადგან აღნიშნული დიაგნოზის შესახებ ცნობადობის ამალღება და მიმღებლობა დღესდღეობით არის პირველადი ფაქტორი. ძირითად ნაწილში წარმოჩენილია გამონვევები და სირთულეები, რა შინაარსის მქონეა აღნიშნული დიაგნოზი, რა ინფორმაცია არსებობდა ადრე და რა გვაქვს ხელთ ახლა, განხილულია ძირითადი პრობლემური სფეროები, კერძოდ: სოციალური ურთიერთობის დამყარების უუნარობა, კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების შეუძლებლობა, ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა, საგნებით გატაცება. განვიხილავთ რისკ ფაქტორებს და სტატისტიკას. ასევე როგორ შეიძლება დავძლიოთ აღნიშნული გამონვევები, თუ როგორ შევუწყობთ ხელი აღნიშნული დიაგნოზის მქონე ადამიანებს სოციუმში ინტეგრირებისთვის. ხოლო დასკვნით ნაწილში ხაზგასმა ხდება განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე მიმოვიხილავთ ინკლუზიურ განათლებას და მის როლს.

საკვანძო სიტყვები: აუტიზმი, გამონვევა, განათლება, ინკლუზია

Peculiarities of education of children with autism spectrum disorder

Maia Gagnidze

„Georgian University“ Master of Psychology, Practitioner Behavioral
Therapist, Supervisor: Maia Gagnidze

Supervisor: Associate Professor: Nona Akhalashvili

Abstract

This article describes the nature of autism spectrum disorder. The development of children with this diagnosis and its features, challenges, statistics and risk factors are discussed. The characteristics of this diagnosis are also discussed in detail, it should be noted that nowadays, autism has gone beyond the medical field and in fact it is a social issue, it has its own reason, its prevalence, the statistics are quite growing. With modern approaches the whole world of the medical world has shifted not only to diagnosis and management of this condition, but also to community involvement. The focus is not on the challenges that an autism spectrum disorder may have, but on the strengths and their inclusion in society as much as possible on a daily basis. The paper contains: introduction, main and concluding part. In the introduction, we briefly review the diagnosis, its characteristics, from the date of discovery to the present day, as well as the nature of the diagnosis, challenges, talk about the importance of raising awareness, because raising awareness and acceptance of this diagnosis is the primary factor today. The main part presents the challenges and difficulties, what is the content of the diagnosis, what information existed before and what we have now, the main problem areas are discussed, namely: inability to establish social relations, inability to use speech for communication, strong resistance to change, obsession. We discuss risk factors and statistics. Also how can we overcome these challenges, how can we help people with these diagnoses to integrate into society. In the final part, the emphasis is on the problems in the field of education, we review inclusive education and its role.

Keywords: Autism, Challenge, Education, Inclusion

შენსაპალი

„ჩვენს რეალობაში უკვე არც თუ ისე იშვიათად უღერს სიტყვა „აუტიზმი“ და დიაგნოზი „აუტიზმის სპექტრის აშლილობა“, ისინი არა მხოლოდ უღერს, არამედ სტატისტიკის მიხედვით მკვეთრად მზარდიც კია. კომპეტენტური სპეციალისტების მიერ ისმევა აღნიშნული დიაგნოზი, ხდება პრევენცია, რეაბილიტაცია, იმართება კონფერენციები, ტარდება ტრენინგები. ამ სფეროში ჩართული ადამიანები ყველანაირად ცდილობენ გაზარდონ აუტიზმის ცნობადობა, აქტიურად აღინიშნება 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ხშირად საზოგადოების ინფორმაციულობა დიაგნოზის და თემის შესახებ ბუნდოვანი და მწირია, ან მასზე შთაბეჭდილება საზოგადოებაში არსებულ მითებზე დაყრდნობით იქმნება.“ მაგალითად ისეთები როგორც არის მითი, რომ ყველა აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანი აგრესიულია, ან აქვთ გონებრივი ჩამორჩენა, დაბალი ინტელექტი, ანდა ყველაზე ცნობილი მითი რომ აუტიზმს იწვევს აცრა.

„აუტიზმი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა, რომელსაც ახასიათებს გამოწვევები სოციალურ ინტერაქციასა და სოციალურ კომუნიკაციაში, ასევე ქცევითი დარღვევები, ინტერესების სფეროს შემზღუდული რეპერტუარი, ხშირია თანმხლები გონებრივი განვითარებისა და ენობრივი შეფერხება.

პირველად აუტიზმის სპექტრის აშლილობა 1943 წელს აღწერა ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა, ლეო კანერმა და „აუტიზმი“ უწოდა, თუმცა მანამდე შვეიცარიელმა ფსიქიატრი, პოლ ბლეილერი მსგავსი უცნაური აზროვნების აღსაწერად იყენებს ტერმინს „აუტისტური აზროვნება“ ის ასეთ მდგომარეობას აღწერს ინდივიდის მიერ ასეთი თავისებურებით, ის მიმართულია არა ობიექტური რეალობის შემეცნებისკენ არამედ ინდივიდის შინაგანი სამყაროსაკენ, საკუთარი მოთხოვნილებებისა და ოცნებებისკენ.

ლეო კანერმა 2 დან 10 წლამდე ასაკის ერთმანეთის მსგავსი უცნაური ქცევის მქონე თერთმეტი ბავშვი შეისწავლა - 8 ბიჭი და 3 გოგონა, რომლებსაც; ჰქონდათ სამეტყველო უნარები არათანაბრად განვითარებული. უჭირდათ გარემოსთან ურთიერთობა, ან სხვა შემთხვევაში საერთოდ არ ურთიერთობდნენ. აღინიშნებოდა გამოწვევები სოციალურ ურთიერთობაში. სახეზე იყო უჩვეულოდ შემზღუდული ინტერესები, საგნების, სათამაშოების არაუფუნქციური გამოყენება. კანერის ხედვით ისინი უკიდურესად მარტოსული ინდივიდები იყვნენ. იყო დრო როცა აუტიზმის სიმპტომების მქონე ბავშვებს შიზოფრენიის დიაგნოზსაც კი უსვამდნენ. აუტიზმის სპექტრის აშლილობის აღმოჩენის შემდეგ ფსიქიატრებმა, მაიკლ რატერმა და ლორნა ვინგმა განახორციელეს, ბავშვთა შიზოფრენიის მქონე ყველა პაციენტის, რომელიც მათთან 60-70-იან წლებში მკურნალობდნენ ხელახლა გადაფასება, სადიაგნოსტიკო ახალი კრიტერიუმების გათვალისწინებით. ნაწილმა აუტიზმის სპექტრის აშლილობის კრიტერიუმები დააკმაყოფილა.

აღნიშნული მდგომარეობის თანდათან უკეთ და უკეთ შესწავლის შემდეგ, სახეზე იყო და გაჩნდა დიაგნოსტიკის ახალი კრიტერიუმები. თუკი მანამდე აუტიზმის სპექტრის აშლილობას მიიჩნევდნენ როგორც ბავშვთა შიზოფრენიის ერთ-ერთ ფორმას 1980 წელს აშშ-ის ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოში DSM –III -ში აუტიზმი და პერვაზიული აშლილობები ბავშვთა შიზოფრენიისაგან გამოაცალკევეს“ დღესდღეობით კი ახალ კლასიფიკაციაში მოხდა უფრო მსხვილი გაერთიანება, დიაგნოზებს ქვეტიპებად აღარ ყოფენ და ყველაფერს ერთად ეწოდება აუტიზმის სპექტრის აშლილობა

აუტიზმის სპექტრის აშლილობა

„აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის არავერბალური და ვერბალური სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის დამყარების, ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. პირველად აუტიზმი 1943 წელს აღწერა ლეო კანერმა იგი გამოყოფდა აუტიზმისთვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს:

- სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე;
- კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების შეუძლებლობა;
- ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა;
- საგნებით გატაცება.

ამ მახასიათებლების გამოჩვენება ხდება 30 თვის ასაკამდე.“

აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მას მთელი ცხოვრების მანძილზე (მეტ-ნაკლებად გამოხატულობის თვალსაზრისით). ეფექტურად განხორციელებული თერაპიის შემთხვევაში (საუბარია მაღალფუნქციურ აუტიზმის სპექტრის აშლილობაზე) შესაძლოა დიაგნოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომებიცა პროფესიონალის გარდა ვერავინ შენიშნოს და უბრალოდ მოიაზროს როგორც ხასიათის თავისებურება (თუმცა რაღა თქმა უნდა თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია). საყურადღებოა, რომ შემთხვევათა 20%-ში მშობლები აღნიშნავენ განვითარების ტიპურ მიმდინარეობას პირველი ორი წლის განმავლობაში. ხოლო შემდეგ რეგრესს, როგორც გარკვეული უნარების

ასევე მეტყველებს.

„გამოვლინების ხარისხის მიხედვით აუტიზმი მრავალფეროვანია. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს: გარემოსთან კონტაქტის, თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა, ინტერესების, ემოციის გაზიარების შეუძლებლობა, განმეორებადი უჩვეულო თვითდამაზიანებელი და აგრესიული ქცევა, შიშები. ყველაზე სუსტი ფორმა ჰგავს პიროვნულ აშლილობას, დასწავლის უნარის დარღვევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად, ბავშვთა აუტიზმი 12 თვიდან ვლინდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის 18 თვე ან 2 წელი. ბავშვთა აუტიზმი აუცილებლად იწყება 3 წლამდე, 3 წლის შემდეგ შენიშნული სიმპტომები უკვე მიუთითებს ატიპურ აუტიზმზე ან დეზინტეგრაციული ტიპის აშლილობაზე ან აუტიზმის სპექტრის აშლილობების სხვა დიაგნოზზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად მსგავსი სიმპტომატიკისა, აღნიშნული მდგომარეობა ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობით. იცნობდე ერთ, ორ ან ათ ბავშვს „აუტიზმის სპექტრის აშლილობით“, არ ნიშნავს ზოგადი წარმოდგენის შექმნასა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აღნიშნულ თემაზე.“

უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული გამოწვევად მიჩნეული სფერო აუტიზმის სპექტრის აშლილობის დროს.

კომუნიკაციური სფერო: აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვები ხშირად აგვიანებენ მეტყველების დაწყებას. ექიმთან ძირითადი მიმართვის მიზეზი სწორად ეს არის ხოლმე, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები მეტყველებას იწყებენ დროულად, მაგრამ რამდენიმე თვეში მშობლები მიაინიშნებენ მეტყველების რეგრესიას:

“ შეწყვიტა შესწავლილი სიტყვების გამოყენება და შეაჩერა ახალი სიტყვების შესწავლა”.

ხშირად აღნიშნული სიმპტომი კარგის მიმანიშნებელია, რადგან შესაძლებელია დიდი პროცენტით მეტყველების კვლავ აღდგენა, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. ბავშვების 30%-ში შეიძლება მეტყველება სანეროდ არ განვითარდეს. ექსპრესიულ მეტყველების პრობლემებთან ერთად, ამ ბავშვებს ძალიან ხშირად არ ესმით მათკენ მიმართული საუბარი (რეცეპტული მეტყველების დარღვევები), რის გამოც, შესაძლებელია, აუტიზმის სპექტრის მქონე მოლაპარაკე ბავშვებმაც კი ვერ შეძლონ დიალოგში შესვლა და ფუნქციური კომუნიკაციის წარმოება.

მეტყველების განვითარების შემთხვევაში, მას ერთგვარი ეტაპობრიობა ახასიათებს: ხშირად მეტყველება იწყება სახელდებით, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები ახმოვანებენ ირგვლივ მდებარე საგნებს, მოქმედებებს, შემდეგ მყისიერად იმეორებენ სხვის ნათქვამს (მაგ: კითხვაზე - რა გქვია? გპასუხობენ - რა გქვია? ე.წ. ექოლალა). ამას მოჰყვება წარსულში გაგონილი ფრაზების (მშობლების მიერ ნათქვამი, მულტიპლიკაციური ფილმებიდან, რეკლამებიდან ამონარიდების მოგვიანებითი ექოლალა) გამოყენება შეკითხვის საპასუხოდ: “დღეს ბაღში იყავი?” პასუხი - “თოჯინა არ მიყიდა”. გარკვეული სიტყვათა მარაგის დაგროვების შემდეგ ველით მეტ-ნაკლებად ფუნქციური მეტყველების განვითარებას. ასევე, განსაკუთრებით მცირე ასაკიდან შესაძლებელია, მშობელმა შენიშნოს იდიოსინკრატული მეტყველება ბავშვის მხრიდან, რაც გულისხმობს მარცვლების ჭარბ პროდუქციას, ნეოლოგიზმებს, გამოგონილ სიტყვებს, რომელთა შორის შესაძლებელია, ცალკეული ჭეშმარიტი სიტყვის ამოცნობა. ქცევის გამოყენებითი ანალიზის ადრეული ასაკიდან გამოყენების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა გამოსავალი კომუნიკაციური უნარების თვალსაზრისით. მაღალფუნქციური აუტიზმის სპექტრის შემთხვევაში მეტყველება შეიძლება მინიმალურად იყოს დარღვეული და ძირითადი პრობლემები სოციალური ინტერაქციის თვალსაზრისით გვხვდებოდეს.

სოციალური ინტერაქციის სფერო: ზოგადად, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს უჭირთ ურთიერთობები (არა ყველას) გარშემომყოფებთან, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში ისინი ხშირად არჩევენ იზოლირებას და მათთვის სასურველი აქტივობებით ვაძვებიან, ან შესაძლებელია, სხვა ბავშვების წამხედურობით პარალელური თამაში ითამაშონ და იმიტაციის ხარჯზე მოახერხონ მათ მსგავსად თამაში და არა მათთან ერთად თამაში, რაც ხშირად ეშლებათ მშობლებს ინტერაქციულ თამაშში. რა თქმა უნდა, ასევე შესაძლებელია, მრავალჯერ ახსნისა და გამოვარების შედეგად ბავშვებმა მოახერხონ, მარტივი ინსტრუქციის მქონე თამაშის გაგება და დასწავლა, თუმცა ხშირად ეს თამაში მოუწინელია და ვერ უძლებს უმცირეს გადახვევებსაც კი წესებიდან, რაც ხშირად ხდება ხოლმე ჩვეულებრივ ბავშვურ თამაშში. შედარებით მაღალფუნქციური აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს აქვთ ურთიერთობის სურვილი, მაგრამ არ იციან, რა ფორმით იურთიერთონ. მათი ემოციების ექსპრესია მიმიკა-ჟესტებით ძალიან მწირია და ასევე უჭირთ სხვისი ემოციების გაგება (იუმორი, ალევორია, გადაკვრით ნათქვამი). “მე ვეუბნები ჩემს კლასელებს: არ მესმის თქვენი ხუმრობები და ნუ მეხუმრებით-მეთქი” – თქვა 9 წლის ალექსანდრემ აუტიზმის დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარებისას. მაგრამ მაღალფუნქციური აუტიზმის სპექტრის დროს ბავშვებს შეუძლიათ ემოციების,

მიმიკა-ჟესტების, სხეულის ენის სხვა ელემენტების, სოციალურ სიტუაციაში მოქცევის წესების შესწავლა, თუმცა ნასწავლი უნარ-ჩვევები ხშირად მოკლებულია მოქნილობას, ამიტომაც ხშირად ეს ურთიერთობაში გაჩენილი პრობლემების და თანატოლებისგან იზოლაციის მიზეზი ხდება.

შეზღუდული, გაღარიბებული ინტერესთა სფერო:

როგორც უკვე მოგახსენეთ, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს აქვთ გაღარიბებული ინტერესთა სფერო: მათი ინტერესები შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ, მაგალითად, მანქანებით და ამ შემთხვევაშიც, ინტერესდებოდეს არა მანქანით ფუნქციურად, არამედ მისი დეტალებით: ბორბლით, საჭით, კარით (ატრიალებდეს ბორბალს, ალებდეს და კეტავდეს კარს და ა.შ.) და ამით დიდხანს, მთელი დღის განმავლობაში იყოს დაკავებული. ხშირად მშობელი ამჩნევს სტერეოტიპულ ქცევებს ბავშვის მხრიდან ძლიერი ემოციის გამოხატვისას: ერთ ადგილზე შეკუნტრუშება, ხელების გემოთ-ქვემოთ ქნევა, მტევნების შუა ხაზზე მიტანა, ხელების მუშტებად შეკვრა და გაკანკალება. ხშირად მშობლები”

აუტიზმის სპექტრის აშლილობის რისკ-ფაქტორები

რაც შეეხება მტკიცებულებებს აუტიზმის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ძირითადი საკითხები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აინტერესებს, პრაქტიკულად კვლევის პროცესშია, თუმცა შედარებით დადასტურებული რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა წამყვანი ქვეყნის გა-იდლაინებში. მაგ. NICE (The National institute for Health and Care Excellence) გაიდლაინში თავმოყრილია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა:

1. და ან ძმა აუტიზმის სპექტრის აშლილობით;
2. დედის 40 წელზე მეტი ასაკი ბავშვის დაბადებისას;
3. მამის 40-49 წლის ასაკი ბავშვის დაბადებისას;
4. ახალშობილის წონა 2500 გრამზე ნაკლები;
5. 35 კვირაზე ნაკლები გესტაციის ახალშობილი;
6. ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობის საჭიროება;
7. ცნს-ის თანდაყოლილი მანკები და/ან დისფუნქცია;
8. მამრობითი სქესი; 20 კვირაზე ადრე ნაყოფის მოშლის საშიშროება;
9. დედის ორსულობის პერიოდში გარკვეული მედიკამენტების გამოყენება;
10. ქალაქში ცხოვრება;
11. ემიგრაციაში მყოფი დედა;

ამრიგად აუტიზმის სპექტრის აშლილობა ფაქტიურად შესაძლოა წარმოადგენდეს რამდენიმე „მიზეზის“ შედეგს. ბავშვის გარშემო არსებული ფსიქოლოგიური გარემოს ფაქტორები აუტიზმის მიზეზად ვერ ჩაითვლება.

დღესდღეობით აუტიზმის სპექტრის აშლილობაზე საუბრობენ, როგორც განპირობებულს მემკვიდრული წინასწარგანწყობისგან, ასევე, როგორც გარემო ფაქტორების ერთობლიობაზე, თუმცა კონკრეტულად რომელ ფაქტორზეა საუბარი, მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზეა.“

აუტიზმის სპექტრის აშლილობის სტატისტიკა.

ჩვენს დროში მსოფლიოში აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის სტატისტიკა ერთობ მზარდია. აშშ-ს დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის 2021 წლის კვლევის მონაცემებით დადგინდა, რომ 44 ბავშვიდან 1-ს აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი.

დღეს გაცილებით ხშირად საუბრობენ აუტიზმის წარმოშობაზე, როგორც

მემკვიდრული წინასწარგანწყობისა და რის-ფაქტორების ურთიერთქმედების

შედეგზე. კვლევებით გამოვლენილ რისკფაქტორებს შორის, რაც უნდა ბევრი ვეძებოთ, ლიტერატურაში ვერსად ვერ ვნახავთ ასე ხაზგასმით გამოყოფილ ერთ რაიმე მიზეზს.

რისკ-ფაქტორად ასევე განიხილება ბავშვის ჯდომით წამოსვლა და აპგარს (ახალშობილის ფიზიკურ მდგომარეობის საზომი, გულისცემის სიხშირე, კუნთების რეფლექსია, კანის ფერი და ა.შ.) დაბალ ქულებს მიიჩნევენ. ასევე რისკ-ფაქტორებად ითვლება სამშობიარო გართულებები: ჭიპლარის მოხვევა, დღენაკლულობა, დაგვიანებული მშობიარობა, ყანგბადის ნაკლებობა და სხვა (თუმცა ამ მოსაზრებების მეცნიერულად დასაბუთებას სპეციალური კვლევა სჭირდება. ჯერჯერობით ვიცით, რომ ერთი და იგივე მიზეზი ერთსა და იმავე შედეგს არ იწვევს. რთული მშობიარობა ან სხვა ტიპის პრობლემები ყოველთვის არ იწვევს აუტიზმს.)

ორგანიზაცია “ჯანმრთელი ბავშვი, ჯანმრთელი მსოფლიო და გარემო” წარმომადგენელი პედიატრი აუტიზმის ჩამოყალიბებაზე გარემო-ფაქტორებისა და მათ შორის პლასტმასის გემოქმედებას განიხილავს. კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ ის ნივთიერებები, რომელიც კორმონალურ დარღვევას იწვევს, შედის პლასტმასის შემადგენლობაშიც;

- ასევე მშობლის ასაკი, შესაძლოა, აუტიზმის და შიზოფრენიის განვითარების მიზეზი გახდეს. იმ ადამიანებს, რომლებიც გვიანასაკში გახდნენ მშობლები, ხშირ შემთხვევაში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე შვილები ჰყავთ;
- ახალი კვლევის თანახმად, წლების წინ აკრძალული ქიმიური ნაერთები დღესაც გავლენას ახდენს ჩვენ ჯანმრთელობაზე დაბავშვებში აუტიზმის გაზრდილ მაჩვენებელს უკავშირდება;
- კვლევებით დადასტურდა, რომ იმ ბავშვების 80% რომლებიც მუცლადყოფნის პერიოდში ქიმიური ნაერთების გავრცელებისზონაში იყვნენ, აუტიზმის განვითარების მაღალი რისკი ჰქონდათ.
- ასევე შესაძლებელია ციფრულ ტექნოლოგიებზე მიჯაჭვულობამ დაამძიმოს სიმპტომატიკა, მეტად მოხდეს ინტერესთაფეროს შევიწროვება, მეტად იზოლირდეს ბავშვი”

აღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე აქტუალურია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა განათლების საკითხი. რაც ხშირად ბევრ გამოწვევასთან ასოცირდება ადრეულ ასაკში ბაღში, ხოლო შემდგომ სკოლაში. იქედან გამომდინარე რომ ბავშვები აღნიშნული დიაგნოზით ხშირად ვერ ეგუებიან ახალ სოციალურ გარემოს, უჭირთ წესების მიყოლა, ჯდომის უნარ ჩვევა, ვხვდებით სერიოზულ ქცევით დარღვევებს. გამოკითხულ მშობელთა და ბაღის, სკოლის პედაგოგთა დიდი ნაწილი აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად ინკუზიური განათლების როლს და მის დადებით დინამიკას ასახელებს.

ინკლუზიური განათლება: განათლება ინკლუზიურია, როდესაც ყველა ბავშვი, მიუხედავად მისი ფიზიკური, მენტალური თუ სოციალური შესაძლებლობებისა, მისი სახლის მახლობლად არსებულ ბაღსა თუ სკოლაში დადის და მის ასაკობრივ ჯგუფსა თუ კლასშია ჩართული; განათლება ინკლუზიურია, როდესაც ბავშვს მიენიჭება შესაბამისი, მასზე მორგებული მხარდაჭერა, რათა წარმატებას მიაღწიოს საბაზისო პროგრამის დაძლევაში. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, პირველ რიგში, ამ პროცესში ჩართული ადამიანების ღირებულებებიდან და იმის გააზრებიდან იწყება, რომ ყველა ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ტემპი, ასევე ინდივიდუალურად გამოხატული ძლიერი მხარეები და საჭიროებები აქვს; რომ ინდივიდუალური მიდგომა და ინდივიდუალიზაცია მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის; რომ სოციალურ-ემოციური კომპეტენციის სწავლება და ემპათია ღირებულია ყველა ბავშვისათვის; რომ ბაგა-ბაღის ჯგუფი ირეკლავს და ასახავს იმ გარემოსა და კულტურას, რომელშიც ყველა ბავშვი იზრდება და ცხოვრობს. ადრეული წლები მნიშვნელოვანია ბავშვის დამოუკიდებლობის და ქცევების ჩამოყალიბებაში, ასევე სხვების მიმართ ემპათიის, მრავალფეროვნების დაფასების უნარის საფუძვლების ჩამოყალიბებაში. ამ დამოკიდებულებების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მშობლებისა და მასწავლებლების ქცევა. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენი შვილები მზრუნველები იყვნენ და სხვისი გათვალისწინება შეეძლოთ. იმ გამოცდილების ბავშვობიდან შეთვისება, რომ მრავალფეროვნება და განსაკუთრებული საჭიროებები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ადამიანებს უფრო ემპათიურს, გამოცდილს და ძლიერს ხდის.

ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გუნდური მუშაობაა. გუნდური მუშაობა ბაღის თანამშრომლებისგან გარკვეულ მზაობას მოითხოვს. პირველ რიგში, უნდა გესმოდეს და გჭეროდეს ამგვარი მუშაობის მნიშვნელობა და მეორე მხრივ, ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყოფდეს შესაძლებლობას, რომ თანამშრომელმა რთული შემთხვევების საერთო კრებაზე გამოტანა და განხილვა შეძლოს. ასევე იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის გარშემო არსებულმა გუნდმა გარკვეული პერიოდულობით მშვიდ გარემოში შეხვედრა და ინდივიდუალურ გეგმაზე საუბარი შეძლოს. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის გარშემო შექმნილი გუნდის წევრები, როგორც წესი, არიან: აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, მშობელი, ბაღში ან ბაღების გაერთიანებაში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ბავშვთან ბაღის გარეთ მომუშავე სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, ადრეული ჩარევის სპეციალისტი ანდა ოკუპაციური ან ფიზიკური თერაპევტი). გუნდი სასწავლო წლის მანძილზე სამჯერ მაინც უნდა იკრიბებოდეს. ამგვარ შეხვედრებზე, კონფიდენციალობის წესების დაცვით, მსჯელობა, აღმზრდელ-პედაგოგს საშუალებას აძლევს, გაიზიაროს სხვების გამოცდილება. ხანდახან ბაღში მომუშავე ადამიანები არ ითხოვენ დახმარებას, რადგან მათ ეშინიათ, რომ არაკომპეტენტურად ჩათვლიან, ან მიაჩნიათ, რომ პრობლემის მოგვარებას თავად შეძლებენ. ეს შეცდომაა. ზოგიერთი ბავშვის აღზრდაგანათლება უფრო რთულია, ყველას სჭირდება გრძნობების გამოვლენა, კოლეგების დახმარება და დროდადრო რჩევების მიცემა. როცა საქმე გაქვთ პრობლემურ ქცევასთან, გუნდურად მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული ხედვები და უნარ-ჩვევები აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ კრეატიული და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად. ზოგადად, ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ ერთი მხრივ, ბავშვის ბაგა-ბაღის ჯგუფის ცხოვრებაში

ჩართულობაში მთავარი როლი აღმზრდელ-პედაგოგს აკისრია, მაგრამ მეორე მხრივ, აღმზრდელ-პედაგოგს აუცილებლად სჭირდება მხარდაჭერა და დახმარება, იქნებია ეს ბაღში თუ ბაღს გარეთ მომუშავე ადამიანები. მნიშვნელოვანია საჭიროების შემთხვევაში პერსონალური ასისტენტის დახმარებაც. აღნიშნული მიდგომით და ინდივიდუალურად გაწერილი პროგრამით (თუ ამის საჭიროება არსებობს) ,,

მსგავსი ტიპის მიდგომით გაცილებით ნაკლებ გამონვევას ვაწყდებით სგანმანათლებლო დაწესებულებებში და აუტიზმს სპექტრის მქონე ბავშვებიც უკეთესად ახერხებენ კუთვნილი განათლების მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მ. გაგნიძე სამაგისტრო ნაშრომი თემის დასახელება: „ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე და ტიპური განვითარების ბავშვებისადმი მშობელთა დამოკიდებულებებში განსხვავებულობის კვლევა.”

ადრეული ინკლუზიური განათლება სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის ნაწილი პირველი.

აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი)მიღებულია „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს“ 2017 წლის 10 ნოემბრის №4 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად. დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 მარტის №01-65/ო ბრძანებით;

E.VERDICK, E.REEVE M.D. THE SURVIVAL GUIDE FOR KIDS WITH AUTISM SPECTRUM PAPERBACK, 2021.

Used literature

M. Gagnidze Master Thesis Title: „A Study of Differences in Parents’ Attitudes Towards Children with Autism Spectrum Disorder and Typical Development.”

„Early Inclusive Education Guide for Practitioners Part One.”

Detection, Diagnosis and Management of Autism Spectrum Disorders State Standard for Clinical Condition Management (Protocol) Adopted by the National Council for Development, Evaluation and Implementation of National Clinical Practice Recommendations (Guidelines) and State Standards for Clinical Condition Management (Protocols) on November 10, 2017 №4 Accordingly. Approved by the order of the Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia 901-65 / O of March 9, 2018

E.VERDICK, E.REEVE M.D. THE SURVIVAL GUIDE FOR KIDS WITH AUTISM SPECTRUM PAPERBACK, 2021.

ობამას საგარეო პოლიტიკა და „ჭკვიანი ძალის“ კონცეფცია

ანი კობახიძე

საქართველოს დიპლომატიური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობების
დოქტორანტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი - ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი სალომე ხიზანიშვილი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიულ ჭრილში. მეტად კომპლექსური საკითხია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ისეთ ზესახელმწიფოს ეხება, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

სტატია მიზნად ისახავს პასუხი გასცეს ძირითად კითხვებს: რა დაედო საფუძვლად „ჭკვიანი ძალის“ კოცეფციის შემუშავებას? რა გავლენა მოახდინა ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიამ და იქნა თუ არა მიღწეული ის შედეგები, რაც „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის გამოყენებით უნდა მიეღწია ამერიკის პირველ აფრო-ამერიკელ პრეზიდენტს?

მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ სტრატეგიაზე დაყრდნობით საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების განსაზღვრა ყოველთვის არ არის მომგებიანი. ნაშრომში შესწავლილია პრეზიდენტ ობამას პოლიტიკური პორტრეტი და იგი აჩვენებს თუ როგორ შეცვალა ობამას ადმინისტრაციამ ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი.

საკვანძო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო მართვა, „ჭკვიანი ძალა“, დიპლომატია, სამხედრო ინტერვენცია, ობამა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჯოზეფ ნაი.

Foreign Policy of the Barack Obama Administration and the Concept of “Smart Power”

Ani Kobakhidze

Georgian Technical University,
Faculty of Law and International Relations
Doctoral Program- International Relations, PhD Student;
Supervisor: Doctor of Philosophy, Professor Salome Khizanishvili

Abstract

The article studies the foreign policy of the Barack Obama Administration through the concept of Joseph Nye’s “smart power” strategy. Analysing a country’s foreign policy is very complex, in particular, when it refers to the foreign policy of such a superpower as it is the United States of America.

The article aims at answering the following research questions: What was the concept of “smart power” based on? What impact did the “smart power” strategy have on the Barack Obama Administration foreign policy? Were the intended goals achieved through the usage of “smart power” strategy?

The reader discovers that it is not always beneficial to determine the foreign policy of the country on the basis of only one particular strategy.

This publication examines President Obama’s political portrait and emphasizes the fact how the Obama Administration changed US foreign policy.

Keywords: Foreign policy, state governance, “smart power”, diplomacy, military intervention, Obama, the USA, Joseph Nye.

შენსაქალი

საბჭოთა კავშირის ცივ ომში დამარცხების შემდეგ, სამყარო კვლავ უნიპოლარული გახდა. ლიბერალიზმი კი გამარჯვებულ იდეოლოგიად დამკვიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა გაიმარჯვა, მსოფლიო განსხვავებული რეალობის წინაშე იდგა: გლობალიზაციამ სამყარო უფრო რთული გახადა; შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე ცვალებადი მოვლენები ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია თანდათან იკრეფდა ძალას; ევროპაც აშკარად ამერიკისგან განსხვავებულ პოზიციას იჭერდა; ამასთან, ჩინეთი, რომელიც მუდამ ძალაუფლების მოხვეჭისაკენ ისწრაფოდა ნელ-ნელა ძლიერდებოდა. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტერორიზმი, რომელსაც ამერიკა წლების მანძილზე უშედეგოდ ებრძოდა, აშკარად მოუწოდებდა ვაშინგტონს საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლისაკენ.

არსებულ რეალობას წარმატებულად მოერგო ამერიკის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. წინამორბედი პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომების საპირწონედ, პრეზიდენტმა ობამამ ახალი, განსხვავებული და ახალ გამოწვევებზე მორგებული პოლიტიკური პოლიტიკური კურსი აირჩია.

ნაშრომის აქტუალობას სწორედ ის ფაქტი განაპირობებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ საფუძვლიანად შეცვალა ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ ცვლილებების გახორციელებაში კი დიდი როლი ითამაშა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიამ, რომელსაც ეფუძნებოდა ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის უპირველესი მიზანია, ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გატარებული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის ანალიზის საფუძველზე განვიხილო ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა „ჭკვიანი ძალის“ მეცნიერულ ჭრილში.

„ჭკვიანი ძალის“ კონცეფცია და ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა

პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მეტად განსხვავდებოდა ამერიკის წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატარებული პოლიტიკისაგან, რომელიც, უმეტესად, ხისტი ხასიათით გამოირჩეოდა და სამხედრო ინტერვენციისაკენ იყო მიმართული. პრეზიდენტ ობამას პოლიტიკური მრწამსი ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატები შემწყნარებელი ჰეგემონის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა.

ობამას საგარეო პოლიტიკა დაფუძნებული იყო მშვიდობასა და ანტიაგრესიულ ქმედებებზე. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე თვეში იგი გახდა ნობელის მშვიდობის პრემიის მფლობელი.

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკას აქტიურად განიხილავდა მრავალი პოლიტოლოგი. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას „ჭკვიან ძალად“ აღიქვამდა.

საინტერესოა პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა „ჭკვიანი ძალის“ პოზიციიდან.

ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციამ, დემოკრატიზაციის მიზნით, მოახერხა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობის „ფერადი რევოლუციების“ წყალობით ამერიკულ ბანაკში გადაყვანა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, დემოკრატიზაციის ილუზია მალევე გაქრა, რადგან უკრაინული, ქართული და ყირგიზული ე.წ. „დემოკრატიები“ დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ბუშის პოლიტიკას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ბალკანეთზე - კოსოვოს აღიარება ჩამოყალიბდა პრეცედენტად, რომელსაც უკვე მრავალი ნეგატიური შედეგი მოჰყვა.

ბარაკ ობამას პრეზიდენტობა მეტად რთულ პერიოდში მოუწია, თუმცა, საკმაოდ „მდიდარი“ ავანსები გაიკა მასზე. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ობამას ადმინისტრაციის უმთავრესი სლოგანი: „ჩვენ გვჭერა ცვლილებების“ რადიკალურად შეცვლიდა ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

ამერიკა ცივი ომის დროს და შემდგომ პერიოდში აქტიურად იყენებდა ორ პოლიტიკურ სტრატეგიას: „უხემ ძალას“ და „რბილ ძალას“. რაც გულისხმობდა ერთის მხრივ, დიპლომატიის, ხოლო, მეორეს მხრივ, სამხედრო ძალის აქტიურ გამოყენებას. ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამერიკის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებით შეხედულება შეიცვალა. ცნობილი ანალიტიკოსები ობამას ადმინისტრაციის საგარეო სტრატეგიას „ჭკვიან ძალად“ აღიქვამდნენ.

2009 წელს ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა უმთავრესად ეფუძნებოდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის („smart power“) პრინციპს.

„ჭკვიანი ძალის“ ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ

ნაიმ განსაზღვრა. „ჭკვიანი ძალა“ არის „შესაძლებლობა, რომ უხეში და რბილი ძალის კომბინირება მოხდეს გამარჯვების სტრატეგიის მისაღებად“. [1]

„ჭკვიანი ძალის“ კონცეფციაში მოიაზრება პოლიტიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი მექანიზმების აქტიური გამოყენება, დარწმუნების უნარი, ნდობის გამყარება და ამ საშუალებებით გავლენის მოპოვება.

„ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია შემუშავდა 2003 წელს ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ. სტრატეგიის შემუშავება იყო ერთგვარი უკუკავშირი ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულ საგარეო პოლიტიკაზე და მის ლიბერალურ ალტერნატივას წარმოადგენდა. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად დაედო მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები, რომელთა მიხედვითაც, ამერიკის იმიჯი შეილახა და, შესაბამისად, ვაშინგტონისადმი ნდობაც დაბალ ნიშნულამდე დაეცა.

„11 სექტემბრის შემდეგ ჩვენ ორმაგად დავზარალდით. უპირველესად, მსხვერპლით-ადამიანებით, ვინც დაიღუპნენ თვითმფრინავების შეჯახების გამო, მაგრამ, ასევე ჩვენ დავკარგეთ ნაციონალური ნდობა და ოპტიმიზმი. დაზარალდა ეკონომიკური სისტემა, შესუსტდა ამერიკის ლიდერის როლი გლობალური მასშტაბით, მაგრამ „ჭკვიანი ძალად“ ქცევის შემთხვევაში, ჩვენ მათ დავიბრუნებთ“. - მიაჩნდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემოქმედს, ჯოზეფ ნაის. [1]

ჯოზეფ ნაი არ იზიარებს მაკიაველის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, 'სჯობს ემინოდეთ შენი, ვიდრე უყვარდე' და მიაჩნია, რომ გლობალური ინფორმაციის ეპოქაში ორივე მათგანს: შიშსაც და სიყვარულსაც დამსახურება და მოპოვება სჭირდება. ფაქტია, რომ ამერიკულმა „უხეშმა ძალამ“ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს. ნაი აღნიშნავს, რომ სამხედრო ინტერვენციით სახელმწიფოს დამარცხება შედარებით ადვილია, მაგრამ იდეებით ბრძოლა უფრო მომგებიანი და მიზანშეწონილია. მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის კი აუცილებელია „რბილი ძალის“ კონცეფციის გამოყენება. თუმცა, ადამიანები არ უნდა აიძულო, რომ გახდნენ დემოკრატიულები. ნაის მიაჩნია, რომ ამერიკას უღვევი რესურსი აქვს რომ გარესახელმწიფოები ამერიკული იდეოლოგიით მოხიბლოს, განსაკუთრებით კი კულტურულით. ამერიკას შეუძლია მრავალი ადამიანის მოხიბვლა ამერიკული ოცნებებით, ღირებულებებითა და პოლიტიკური სისტემით, თუმცა, მას აქვს უამრავი პრობლემა, რომლის გადაჭრის უმთავრეს სტრატეგიად „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიას მიიჩნევს.

„ჭკვიანი ძალა“ არის მიდგომა, რომლისთვისაც აუცილებელია ძლიერი სამხედრო ძალა, მაგრამ, ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი ალიანსები, პარტნიორობა და მაღალი დონის ინსტიტუციები, რომელთაც შეეძლებათ ლეგიტიმურობის მინიჭება ამერიკის პოლიტიკური ნაბიჯებისათვის.

სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, ჯოზეფ ნაიმ ახალი პრეზიდენტისათვის შეიმუშავა სტრატეგია, რომელსაც უნდა აღედგინა და გაეძლიერებინა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მათი აზრით, ამერიკას უნდა მოეხდინა არა „სიძულვილის, არამედ იმედისა და ოპტიმიზმის ექსპორტი“.

ობამა მსოფლიო წესრიგს მისი წინამორბედი პრეზიდენტებისაგან განსხვავებულად აღიქვამდა. იგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და თავის ადმინისტრაციასთან ერთად შეეცდებოდა მათთან პარტნიორობის გაღრმავებასა და განმტკიცებას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი თუ რატომ ცდილობდა ობამა ურთიერთობების ნორმალიზებას რუსეთთან, ჩინეთთან და ევროპასთან.

2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ობამამ განაცხადა: „აუცილებელია ამერიკის აქტიური ჩართვა საერთაშორისო ინსტიტუტებსა და კოლექტიური მოქმედებებში, რაც მოემსახურება საერთო ინტერესებს.“ [2]

ნაწილობრივ ეს ეხებოდა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს, თუმცა, იგი ასევე გულისხმობდა სახელმწიფოთა შორის ორმხრივ თანამშრომლობას.

გაეროს 70-ე გენერალურ ასამბლეაზე პრეზიდენტმა ობამამ ძირითადი აქცენტები გააკეთა ადამიანის უფლებებზე, მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და მათი ერთობლივი თანამშრომლობით გადაწყვეტის აუცილებლობაზე: „არ აქვს მნიშვნელობა თუ რამდენად ძლიერია ჩვენი ეკონომიკა. ჩვენ გვესმის, რომ ამერიკა მარტო ვერ გადაჭრის მსოფლიოს პრობლემებს“. [1]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის მიხედვით; სტრატეგიით, რომელსაც უნდა აღედგინა და განემტკიცებინა ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობა, თუმცა ეს არ უნდა მომხდარიყო ძლიერ სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობის შედეგად.

ნათელია, რომ ობამას ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა აშშ-ს საერთაშორისო იმიჯის აღდგენა. საინტერესოა, ჯენტლესონის მოსაზრება პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ჯენტლესონის აზრით, საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევა არც ისეთი ადვილია, როგორც ამას

თუკიდრდესეული მაქსიმა გვეუბნება: „ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც აქვთ და სუსტნი ეგუებიან იმას, რასაც უნდა შეეგუონ“. რადგანაც თუ უხეში ძალა გამოყენებულია ისე, რომ აღრმავებს დაძაბულობას ან აძლიერებს დაპირისპირებას, სასურველი შემოქმედების მოხდენა კიდევ უფრო გართულდება.[2]

ჯენტლესონი აღნიშნავს, რომ ობამას ადმინისტრაციამ ხაზი გაუსვა ამერიკის გლობალური რეპუტაციის აღდგენის აუცილებლობას არა იმიტომ, რომ ხელისუფლებას თავი კარგად ეგრძნო, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი პრაგმატული ნაბიჯი გაზრდიდა ამერიკის ძალას მსოფლიო მასშტაბით.

დასკვნა

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, „ჯკვიანი ძალის“ სტრატეგიის უმთავრესი მიზანია პარტნიორობის განმტკიცება და გამყარება. ობამას პოლიტიკური მრწამსიც სწორედ ამ პრინციპზე იყო დაფუძნებული: იგი თვლიდა, რომ არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და სრულიადაც არ მიაჩნდა ამერიკა ერთადერთ ჰეგემონად მხოლოდ ერთ პოლუსთან მსოფლიოში. ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჯკვიანი ძალის“ სტრატეგიით და ცდილობდა ამერიკის ლიდერობის განმტკიცებას არა ძლევამოსილ სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობის გზით. სწორედ ამიტომაც წარმოადგენდა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზება ისეთ ზესახელმწიფოებთან, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ობამას საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე გაცილებით მეტი მარცხია, ვიდრე გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა უამრავ დათმობაზე წავიდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, მისი ადმინისტრაციის ზომიერმა მიდგომებმა წაახალისა „ისლამური სახელმწიფო“ და გასაქანი მისცა რუსულ ინტერვენციას სირიასა და უკრაინაში. მსგავსი ინერტული საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგია მიგრანტთა კრიზისიც, რომელმაც ევროკავშირის ერთიანობასა და მდგრადობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

ჯენტლესონ, ბ. (2015), ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). New York: W.W. Norton Company

Joseph S. Nye, 2008, Public Diplomacy and Soft Power. Retrieved from: <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0002716207311699> (ბოლო ნახვა: 20.06.2021)

Inter-University Consortium for Political and Social Research (ICPSR).(2008) Campaign Issues and Candidates Positions. Retrieved from: <https://www.icpsr.umich.edu/web/instructors/setups2008/campaign-issues.jsp>

Cohen, S. (2011). Obama’s Russia ‘Reset’: Another Lost Opportunity? The Nation. <https://www.thenation.com/article/archive/obamas-russia-reset-another-lost-opportunity/> (ბოლო ნახვა: 20.02.2021)

Council for Foreign Relations (2017). U.S. Foreign Policy Powers: Congress and the President. Retrieved from <https://www.cfr.org/backgrounder/us-foreign-policy-powers-congress-and-president> (ბოლო ნახვა: 2.03.2021)

Goldberg, J. (2016). The Obama Doctrine. The Atlantic. Retrieved from <https://www.theatlantic.com/magazine/archive/2016/04/the-obama-doctrine/471525/> (ბოლო ნახვა: 08.06.2020)

Kaplan, R. (2013) Obama’s “I’m not George W. Bush” Foreign Policy https://www.realclearworld.com/articles/2013/08/15/obamas_not_george_w_bush_foreign_policy.html (ბოლო ნახვა: 23.02.2021)

National Security Strategy 2010, Obama White House Archives.

Obama Whitehouse. Vice President Biden in Central Europe 2009. Retrieved from: <https://obamawhitehouse.archives.gov/blog/Vice-President-Biden-in-Central-Europe> (ბოლო ნახვა: 08.06.2021)

Pifer, S. (2014). US- Russia Relations in the Obama Era: from Reset to Refreeze? OSCE Yearbook, 111-123.

Suslov, D. (2013). The US- Russia Relations after the “Reset”: Pragmatics of a New Confrontation? (Working Papers, Series International Relations WP BRP 04/IR/2013)

The Guardian. (2010). Kyrgyzstan: A Russian Revolution? Retrieved from <https://www.theguardian.com/commentis-free/2010/apr/08/kyrgyzstan-vladimir-putin-barack-obama> (ბოლო ნახვა: 01.04.2021)

Маркедонов, С., 2015, «И Путин и его команда – Стихийные Западники», Мнения, Ссылка: http://bogudonia.ru/opinions/sergej_markedonov_i_putin_i_ego_komanda_stihijnye (ბოლო ნახვა: 06.05.2021)

Филиппов, А., 2007, Новейшая История России 1945-2006, Издательство «Просвещение», стр. 416



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საერთაშორისო ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

ISBN 978-9941-8-4118-7